ანეული

ლიტერატურული ჟურნალი

N3, 2018

გულნაზ გვალია:

„ნოდარ ნულეისკირი — „თეთრაჩელა"

გასეირნება დიდგორისკენ

„ეურონბი ჰერბერტი"

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

ბელა ლობჯანიძე — „ლაზარეს დაბადება“



ანეული

№3. (№22) ოქტომბერი. 2018 წ.

ლიტერატურული ჟურნალი

ალექსანდრე ყაზმეგი–170

თენგო ავსაჯანიშვილი ალექსანდრე ყაზბეგის ლოცვა სამების ტაძარში 3

პოეტი სამ დროში

თამაზ შაიშმელაშვილი „მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის“ 4

პოეზია

ქეთევან შენგელია 5

პროზა

ლეჯა ხატიაშვილი ას ოთხმოცი მარგალიტი 7

პოეზია

მაჰინა შანიძე 14

ბიბლა ჭინჭარაული 17

ელლა ელლენი 19

ინტერვიუ – „ანეულის“ სტუმარია ექიმი თამარ შავგულიძე 21

მაჰინა ნონიხაშვილი დავით შემოქმედელის მოთხრობები 26

ერთი ლექსი

მიხეილ თუმანიშვილი სულო, ილოცე! 30

თარგმანი

უცნობი ჰერბერტი – ქს. იანუშ პაშერბი ესაუბრება ზბიგნევ ჰერბერტს 31

ზბიგნევ ჰერბერტი პოლონურიდან თარგმნა რუსუდან კიკალეიშვილი – დომუხოვსკიმ 35

მეხტიჩ სარქისიანი მამაცი ნაზარი სომხურიდან თარგმნა მაყვალა გეურქოვა-სააკიანმა 38

საბა შიხაზელი რჩეული იგავები „ბუსთანიდან“ სპარსულიდან თარგმნა ალ. ელერდაშვილმა 42

პოეზია

მაჰიამ ჯაჯაშვილი 44

ნინო აესენაშვილი 46

ნიკოლოზ ჯეხტანიძე 46

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია კიდევ ერთი ახალი წიგნი 48

პროზა

ლეილა ქიტოშვილი-სახლთხესიშვილი ქართული საკაზმით შეზავებული ამბავი 49

მეა ივანისელი ორი მინიატურა 52

ლეიზა ბოჩკოვა-ხვიჩია ლაზო ზამბახიძე, ჯუმბერ ჯიშკარიანი 55

ილუსტრაციის ჩანაწერებში

მიხეილ ლანიშაშვილი ბებოჩემი და იმისი საციქველ-ჯამ-ჭურჭელი (დასასრული) 56

ბიოსბი ლილიაშვილი დროა, გასცდეს საქართველოს ფარგლებს 59

წერილში

ხათუნა ჩაქვიაშვილი „შეიყვარეთ სიყვარული“ 60

ბელნაზ ბვალია ნოდარ წულეისკირი – „თუთარჩელა“ 63

ივანე ჯაფარიძე მოგონებათა სკივრიდან 66

ინტერვიუ

თამაზ შაიშმელაშვილი მხატვარი ნიკალას სოფლიდან 67

პოეზია

ბიოსბი უეთთაშვილი 69

თენგო ავსაჯანიშვილი 70

თამაზ შაიშმელაშვილი 72

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რევაზ ბალანჩივაძე
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი redaქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი redaქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოხბი ზუხებიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: ბელა ლობჯანიძის ფერნული ნამუშევარი „ფიროსმანი“

გარეკანის ბოლო გვერდზე: ბარბარე და ილია იაბოლაშვილები

redaქტორის ტელეფონი: 551 00 50 58

redaქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

ჟურნალი დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში, შშმ პირების მონაწილეობით

თენგო ავსაჯანიშვილი

ალექსანდრე ყაზბეგის ლოცვა სამების ტაძარში

წმინდა სამების ტაძრად მოველ, აქ დავსახლდები,
წუთისოფლიდან ვირიყები და ვიდევნები,
მოველ ტაძარში, სად სახლობენ თემის კაცები,
დეკანოზები, ხევის გმირნი, ხევისბერები.
ო, ღვთისმშობელო, მაინც მოველ, მაინც გადავრჩი,
მე, ფიქრი შენი, მიწა შენი, შენი წილხვედრი,
წმიდათაწმიდა უფლის გამზრდელ შენს თბილ
კალთაში
დღეს ლოცვითა და სიხრულით მეც ჩავიშლები.
მუდამ უდაბურ და გაუვალ გზებით ნათეთქვი,
მეც სამშობლოდან ღმერთისაკენ ბილიკს ვკვალავდი,
საქართველოზე დარდის თოვლით ასე გავთეთრდი –
მამულზე დარდით ნაადრევად გავჭაღარავდი.
მე უარვყავი რუსთა მეფის მედალ-ჩინები,
მე უარვყავი სხვა სიმდიდრე, ყალბი ტიტული.
ეს წმინდა ჯვარი, საქართველოს ეს მზის სხივები,
იმედ-ნუგეშად გულზე მქონდა სულ დაკიდული.
მთელი ცხოვრება ვიყავ მწყემსი,ვიყავ სარქალი,
დრო იყო მგლობის, ძალადობის, ძარცვის, ქურდობის.
ღვთისგან ბოძებულ ნიჭისა და კალმის ფარ-ხმალით
მეც საქართველოს დიდების გზას წინ
მივუძღვოდი...
მეც შემიფარე ღვთისმშობელო, შენი ტაძარით,
მტერთა ჩემთაგან სამშობლოდან დღეს ვიდევნები.
ვიცი, საბჭო და საკრებულო ისევ აქ არის
დეკანოზების და სულმნათი ხევისბერების...

პოეტი სამ დროში...



„მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის“...

„მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის“, – ეს ხმა წინა საუკუნიდან მოარღვევს სივრცეს... ეს ხმა პოეტის ალამია! თემურ ჩალაბაშვილის დიდი რწმენაა. შორეული ათასწლეებიდან ტალღად მომსკდარი და ცრემლად გარდასახული.

ეს ხმა „დაცოტავებულ სამშობლოში“ წრიალებს, ილეწება „ცალუღელა სევდის კალოები“... ვინ ვართ და რანი ვართო? – პოეტის გულის ხმაური იზრდება და იზრდება, რეკვიემს ემსგავსება.

დაცოტავებული სამშობლოს რეკვიემია პოეტი... დიდგზაგამოვლილი, უხსოვარ სივრცეებად ქცეული და ჩაკარგული, ჩამღერებული... ამ სივრცეებში...

დაცოტავებული სამშობლოს სევდაა პოეტი! და ცრემლი – მისი სავიზიტო ბარათია... სინანულია ჩვენს სულში ცრემლად მომწყვდეული ქართველობის, სარწმუნოებისა და დიდი ისტორიის გამო. ცრემლით ნაფერებია ოშკი და ხახული, „სინანულის ცრემლში დგანან ისევ ქართლის მთები“ და განწირული და მდუმარია მიწა... ამ დროს იწყება საუბარი გულთან...

„რანი ვიყავით და რანი ვართო“... – თემურ ჩალაბაშვილი ცრემლში საკუთარ ბედისწერას ძერწავს და ამ ბედისწერით სამშობლოს ბედისწერას აცნაურებს.

პოეტი, რომელიც სამშობლოზე მდიდარი არასოდეს ყოფილა და რომელიც სამშობლოს სამ დროში დაატარებს, სამ დროში აერთიანებს – წარსულში, აწმყოსა და მომავალში...

სამშობლოს ბედისწერასთან გადაჯაჭვა შემთხვევითი არ არის... როცა უგულებელყოფილია ქართული მწერლობის ტრადიციები, როცა ილიას გზა გამრუდებულია... მწერლობას ავტორიტეტი დააკარგვინეს, ზენობრივი იდეალი მოუსპეს... ამ დროს ყველაზე მწარედ პოეტმა უწყის, თუ „რა სცოდნია დაკარგული სამშობლოს განცდას“...

როგორი ტკივილია, როცა „სულ სხვა ხალხი მომრავლდა, სხვა ყაიდის, სხვა რჯულის“... სხვაგნებურებიო, ჯერ კიდევ რევაზ ინანიშვილმა გვითხრა სინანულით...

იქნებ სიმღერაც ლაღი და სევდიანი იმიტომ დაგვყვა? გრიგოლ რობაქიძემ – „ჭეშმარიტად აკაკის ღიმილი ქართველთა სულის სუნთქვას აცნაურებდაო“... ეს სულის სუნთქვა სევდის ღიმილი იყო პოეტისა...

როგორც „მრავალჟამიერი“, ძალზე მხიარული და თან ნაღვლით შეფერილი სიმღერა...

ეს ნაღველი დაკარგული სამშობლოს განცდაა ჭეშმარიტი პოეტისა საქართველოში...

„ხელთ გეცლება სამშობლო, მახლას შენი ნაწერი“... – ამბობს თემურ ჩალაბაშვილი და „სულთან ჭიქის ჭახუნით“ მარტოობას უნაპირდება...

პოეტობა მხოლოდ ტექსტების წერა არ არის... პოეტობა სულში სანთელია, რომელიც ყველას ხვედრი არ არის, რომელიც ჩუმად იწვის და უხილავ ნათელს ტოვებს... ხილულად!

შემთხვევით მოვკარი ყური, ამას წინათ თემურ ჩალაბაშვილისთვის „სახალხო სიყვარულის“ საპატიო სიგელი მიუციათ... მას არ სჭირდება ხელოვნური წოდებები და სიგელები! სახალხო სიყვარული ისედაც აქვს – ხალხის პოეტს და მისი გულისნადების მცნობს...

...თემურ ჩალაბაშვილი თაობებს შორის დარღვეული კავშირის სამანია...

ყველგანაა, სადაც ახალგაზრდობაა და ახალგაზრდული სიტყვა ჟღერს... სადაც „ილიაა – შუბლი საქართველოსი“ და ეროვნული იდეალები.

მახსენდება სიმონ ჩიქოვანის სიტყვები გალაკტიონზე: „საქართველო იყო მისი ოჯახი, მისი მშფოთვარე სულის სამყოფელი და მისი სიმღერის საგანი. ის მუდამ ატარებდა გულის სიღრმეში დაბინდულ ქლიავისფერ მამულის ხატებას“...

მე თემურ ჩალაბაშვილზე ასე ვიტყოდი, ის მუდამ ატარებს გულის სიღრმეში დაბინდულ იისფერ კავკასიონს, კავკასიონის ხატებას, რომელიც მშობლიურ ძველანაგაში ბავშვობიდან მამის ბეჭებით გადაზომა...

და თუ პოეზიამ უნდა გადაარჩინოს სიტყვა ქართული და „ხანდახან ლექსითაც მარცხდება ურჩხული“... ამიტომაც მკვდარი იმედი არ ეკუთვნის პოეტს....

თამარ შაიშმელაშვილი

სურათზე: ზაზა ჩუბინიძის ნახატი

ქეთევან შენგელია

შეეწირები ყვავილი ნაყოფს

ტყემლის ყვავილის თეთრი გვირგვინი,
როგორც პეპელა ისე ფარფატებს,
გაიძარცვება ხე მომღერალი,
დაემსგავსება ბავშვის ნახატებს...
რას ფიქრობ ნეტა, პატარძალივით,
თეთრად რომ გვმოსავს აპრილის ღამე?!
როცა ყველა ხის გესმის ძახილი...
ანდა მდინარე დახაზავს ღარებს,
როცა ნაყოფი ჯერ არ მოგისხამს,
სავსე ხარ ზრუნვით და ნეტარებით...
რას ფიქრობ ნეტა, დრო რას მოგიტანს?
ჩიტებს ალერსით წაეტანები...
და ჟღურტულებენ შენს მხრებზე, ტანზე,
ბელურები და გულწითელები...
შემოგნატრიან ალვის ხეები,
წიფლიანები, მუხა-თელები.
შენ ალბათ ფიქრობ, რომ გაზაფხულმა,
ტახტზე დაგსვა და გიწოდა მზის ხე
და სულ ვერ ამჩნევ მაისის ნიავს,
შენს გაქურდვას რომ ჩუმჩუმად იწყებს...
თეთრი ყვავილი ფრიალებს, გოდებს
და უსასრულო სამყაროს ერწყმის
მერე ნაყოფი აგივსებს ტოტებს
და არ იქნები სხვასავით ბერწი.
შეეწირები ყვავილი ნაყოფს,
ეს იყო შენი სიცოცხლის აზრი
და შემოდგამენ მერე ტყემლებით
სავსე კალათებს დახლებზე ბაზრის.
ასე მოკვდება ოცნება ქარში
და სილამაზე ფულზე გაცვლილი...
წამოვა სეტყვა – ვაგნერის მარში...
და დასრულდება, რაც გაქვს განცდილი.

* * *

ამ გადარეულ ღამეებს ვფიცავ,
შენ, დედამიწავ, ვერ მივხვდი, რა გსურს!
მე, როგორც მინდვრის გვირილა მიწას,
ისე მომწყვიტეს უეცრად წარსულს.

შენ მიპასუხე, საიდან ჩნდება,
მოწმენდილ ცაზე ღრუბელი შურის?!
მერე შავდება და ნება-ნება,
მიიძურწება ნელი და ჩუმი.

ამ გადარეულ ღამეებს ვიცნობ,
უძილობის და დარდის ჯადოქრებს,
ამოდი მთვარევ, გიყურო ვინძლო,
ცრემლებმა გული ლამის გამოხრეს.

ეს ღამეც გატყდა, ვით ძველი ციხე,
იყო შფოთი და დავიდარაბა,
შენთვის გავხსენი, სამყაროვ, კლიტე,
შენთვის ვაღებდი, მზეო, დარაბას!

ამ გადარეულ ღამეებს ვფიცავ,
შენ, დედამიწავ, ვერ მივხვდი, რა გსურს?!
თორემ მე, როგორც გვირილა მიწას,
ისე მომწყვიტეს უეცრად წარსულს.

შენ მიდიხარ...

ტანჯვა წვეთავს ჩემი თვალის უპეთაგან,
და ცრემლები დამდენია სისხლის,
მეასეჯერ ვეკითხები საკუთარ თავს,
ეს რა მოხდა? რატომ ანდა რისთვის?

ყველაფერი, ისედაც ხომ ტრაგიკული,
სევდიანი, დარდიანი იყო?!
თავიდანვე ასე იყო განწირული,
ჩვენი ერთად ყოფნის მზე და სითბო.

ვერ მივხედეთ დიდ საჩუქარს განგებისას,
წყრება ზევსი, უსაშველოდ წყრება;
ეს რა ცუდი უფსკრულები დამესიზმრა,
შიგნით ზორბა ურჩხულების წყება...

შენ მიდიხარ, შენი ხმა კი ჩემთან რჩება,
წუთისოფელს ეთხოვები ტანჯვით,
უსიცოცხლო ნუთუ შენი თვალებია?
ნუ მოკვდები, გეხვეწები, დარჩი!

* * *

ქარებო, ერთხელაც მითხარით,
რა ხდება ამ ზეცის გადაღმა?!
ცუდად რომ ამიხდეს სიზმარი,
არა ვარ, არა ვარ თანახმა.

არა ვარ, არა ვარ თანახმა,
უბრალოდ მეძინოს ლოგინში,
თუ ვინმემ სიმშვიდე დამიფრთხო,
არ მინდა არავის ბოდიში.

მოდი და... თუ გინდა მე გეტყვი,
ეს ზვრები რატომაც გადახმა,
იმდენად არ მიყვარს სიყალბე,
წესებზეც არა ვარ თანახმა.

ავდრებო, ერთხელაც მითხარით...
მაინც ხომ მზე გიფრთხობთ სიმშვიდეს?!
ამიტომ ავი და ბოროტი,
წესით ხელს ვერ უნდა მიშლიდეს.

ქარებო, ერთხელაც მითხარით,
რა ხდება ამ ზეცის გადაღმა?!
არ მახსოვს ეგ ცუდი სიზმარი,
არ მინდა... არა ვარ თანახმა.

გასეირნება დიდგორისკენ

აი, აქ იდგა ურდო ილღაზის,
ქარიც ჩამდგარა აქვე, დიდგორთან,
ნამი ციმციმებს, ვით ქვა ძვირფასი,
მტერი ცრემლებით ტირის თითქოსდა...
ჩანდა დავითის ლანდიც მანგლისთან,
რას უქადიან ფეღამბარები?*
ლაშქარს მომხდური როგორ დაღლიდა?!
ახსოვდათ ქვეყნის დანაბარები.
ნიჩბისის ხევით მივყვები მზის სხივს,
ჭენებით მიმყავს ცხენი დიდგორთან,
ნეტა მესიზმროს დიდი დავითი,
სიცოცხლის ბოლოს რაზე ფიქრობდა...
.....

** ფეღამბარები – წინასწარმეტყველნი*

* * *

ქარიშხალს დარჩა მეფობა,
ბობოქრობს, ყველას აშინებს...
მე ბედისწერის არ მჯერა,
კარებს ვუკეტავ მაშინვე;

თუმცა, ტრიალებს მხეცივით,
მილეწ-მოლეწა ტოტები,
გაუთრევ-გაუთელია
კვირტები – მარტის ნოტები...

გულწასულია ბულბული,
ვეღარ გალობდა ნეტარად,
ანგელოზს ჩასძინებია,
ვისაც ეს დილა ებარა...

წითელი ყვავილი

რადგან ცუდად მაქვს სიტყვა დაცდილი,
მე გეფერებით ჩუმად, უთქმელად,
ქარშიც და მზეშიც უკვე განცდილი,
ჩემო თელავ და ჩემო ურთხმელავ –

წარსულზე დარდი ალბათ ჩაივლის,
ძეძვის ტოტებზე ქარი ბანცალებს
და დაკაწრული ეკლით ყვავილი,
თითქოს სულიდან ამომაცალეს.

შენ აღარ ხარ...

მწიფდა ქლიავი... თითქოს მხატვარმა,
შავ-შავ ლაქებად გააკრა ცაზე,
ქროდა ნიავი... და შემოდგომის
ჭრელმა ბაღებმა ნაყოფით სავსემ,
მამოგზაურეს ოცნების რთველში,
შენც იქ დამხვდი და გოგრების ოქროც...
მოდი, პატარა ქოხი მოვძებნოთ,
სიყვარულისთვის, სანამდე მოთოვს.
დავკმაყოფილდეთ სხივის სითბოთი,
სანამ ამ ქვეყნად ჯერაც ვარსებობთ,
ამბობდი, მოთოვს... მცირედს ვითხოვდით...
მაინც გაგვწირეთ, წლებო თარსებო.

ლუკა ხატიაშვილი

„ადრე სადღაც წამიკითხავს: ადამიანის სული მკვლელობის დროს იყოფაო. არა და არა – არასწორია ფიქრობდე, რომ შენი სული მხოლოდ შენ გეკუთვნის. ის ნაწილებადაა გაყოფილი და ბევრია მისი წილხვედრი:

ოჯახი, საყვარელი, მეგობრები.

ერთ დღეს გადავწყვიტე, რომ მინდოდა ჩემი სული მხოლოდ ჩემი ყოფილიყო და შევცდი. ჩემი სულიც იყო გაყოფილი, ას ოთხმოც ნაწილად გაყოფილი“.

ას ოთხმოცი მარგალიტი

ლარისა კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით ცხოვრობდა. ეს ყველაფერი ამ ყელსაბამის ბრალი იყო, რომელსაც არასდროს იშორებდა. გრძელ, უხილავ ძაფზე წამოცმული ას სამოცდაცხრამეტი მარგალიტი ყოველ შემხვედრს თვალს სჭრიდა. სარკისებრის არეკლილ სინათლეს გულგრილად გვერდს ვერავინ უვლიდა, ვერც ჩაუვლიდა. სწორედ ამ მოპარული სხივით იქცევდა პირველად ყურადღებას. თუმცა ერთი სიმართლე იყო – მართლაც, შთამბეჭდავი სანახავი იყო ლარისას გრძელ კისერზე მოხვეული სამკაული. თეთრი მარგალიტი ფერმკრთალ კანს ყველაზე ნაზი ქსოვილის მსგავსად ედებოდა. სათუთად მფლობელს ეალერსებოდა. ყოველი შემხვედრი მზერას ჯერ მარგალიტებს აყოლებდა, შემდეგ ახალგაზრდას სინაზისა და სინატიფით აღფრთოვანებულის ყურადღება ლარისას მოკლე, მუქ, ქერა თმას თვალებამდე მიჰყავდა. თუ გაუმართლებდა და მისი მკრთალი ცისფერი თვალების შეთვალიერებას მოასწრებდა, მას ვეღარასდროს დაივიწყებდა. იღბლიანი იდუმალი სილამაზის შესახებ ხშირად მოყვებოდა. იმედსაც დაიტოვებდა, რომ კვლავ იხილავდა. გონებაში კიდევ მრავალჯერ დახატავდა. დროის განმავლობაში შეცვლიდა, შეალამაზებდა, არევდა, აამღვრევდა და მისგან მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებოდა, როდესაც საბოლოოდ დაივიწყებდა და გააცნობიერებდა, რომ წარმოსახვაში სრულიად სხვა ადამიანს უყურებდა. ასე დაიკარგებოდა კვლავ ლარისა მორიგის გონებიდან.

ეს რუტინა უსასრულოდ გრძელდებოდა და არც დასრულდებოდა მანამ, სანამ არ შეივსებოდა, სანამ სამკაული ას მეოთხმოცე მარგალიტით არ შეივსებოდა.

ლარისას ეს ყველაფერი არ ანაღვლებდა. მან იცოდა, რომ ეს მუნჯი, ჩახლეწილი ხმა, რომელსაც ყელსაბამი ყოველი მოძრაობის დროს გამოსცემდა, არავის ესმოდა. ყოველ მარგალიტს საკუთარი ტონალობა ჰქონდა და გამალებით ცდილობდა საკუთარი ამბის მოყოლას. ყოველთვის გაუჩერებლად ლაყბობდა, მაგრამ ერთი მეორეს არ უთმობდა, წინ არ უშვებდა, ყველა ერთად მღეროდა. ეს ხმა არ ჰგავდა ხმებში გაშლილ სიმღერას, ყოველი ბგერა ერთმანეთს ერეოდა, ისინი ერთ მთლიანს ვერ ქმნიდნენ, სივრცეში ქაოსურად იფანტებოდნენ და ბოლოს უგზოუკვლოდ იკარგებოდნენ.

არც ლარისამ იცოდა დანამდვილებით რა ახრჩობდა, რას ვერ ეგუებოდა, თუმცა სიმძიმის მიუხედავად, წინ ამაყად, წელში გამართული მიიწევდა. ეს ყელსაბამი იყო ერთდროულად ბედის საჩუქარი და წყევლა მისთვის. ხანდახან დაღლილს ძალიანაც უნდოდა შემოეგლიჯა, მოეშორებინა, ყოველი მარგალიტის იატაკზე დაშვების ხმა სათითაოდ მოესმინა. მობეზრებული თვალს გააყოლებდა შეშინებულებს, მათ მგლოვიარე ნოტებს მოუსმენდა და მანამ არ დაკმაყოფილდებოდა, სანამ სიცარიელე თეთრს არ ჩაყლაპავდა, სანამ სამარადისო სიჩუმე არ დაისადგურებდა. გამბედაობას ვერ პოულობდა, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ეფემერულად მოსული ჟინი, ის სიმამაცეს ვერ ანიჭებდა. დარწმუნებული იყო ლარისა, რომ, როგორც კი მის კისერს მოხვეული მახრჩობელა გველი მოშორდებოდა, ყველაფერი შეიცვლებოდა, დამძიმებული სივრცე ძველებურად დარბილდებოდა, დრო კვლავინდებურად კამკამა მდინარეს დამეგავსებოდა, დაკარგულ სიმსუბუქეს მოიპოვებდა და ნიავს უსასრულობისაკენ გაჰყვებოდა. მაგრამ უნდოდა ლარისას ეს ყველაფერი?

დანამდვილებით არ იცოდა და ეშინოდა, ლარისას სიჩუმედ ქცეული ხმების ძალიან ეშინოდა.

ან როგორ იცხოვრებდა ლარისა ამ ხმების გარეშე? ის ხომ უკვე დიდი ხანია გახდა მისი განუყრელი მეგზური. არა, ასე ვერ მოიქცევა. მას პასუხისმგებლობა აქვს და ვერ გაიქცევა. წვიმიან ამინდში მიმავალი კვლავ ცდილობს გაერკვეს, რამდენიმე სიტყვა მაინც გაარჩიოს. ამაოდ, იღლება, გადახურულ სკვერში შესასვენებლად მარტო ჯდება.

საღამოს წვიმის ყურება ყველაზე მეტად ამშვიდებს გრძელი დღის შემდეგ გადაღლილ ლარისას. წვიმის წვეთების დაცემის ხმა ყრუ ბგერებს ფარავს. ყველაფერი მისი ასარჩევი რომ ყოფილიყო, დიდ ქალაქში ცხოვრებას არასდროს დათანხმდებოდა. მას არ მოსწონდა ხალხმრავლობა, უამინდობის გამო გადაჭედილი ქუჩები და გამონაბოლქვის სუნითა და ღრიალით გაჟღენთილი ჰაერი. ხო, ასეთ ამინდს განსაკუთრებით არ უხდება ხმაური. სულ სხვანაირი სანახავი იქნებოდა ცარიელი, ნისლად ჩამოწოლილი ნესტის სუნით სავსე თბილი ქუჩა, სულ სხვა სურნელი დატრიალდებოდა.

ეს სკვერი დიდი ხნის წინ ამოირჩია. დილით აქ გაჩერება შეუძლებელი იყო. წრედ დალაგებული სკამებისაკენ მიმავალი კიბე დღე სხვადასხვა ვაჭრით ივსებოდა. ყველას საკუთარი საქონელი ჰქონდა და ყოველი მათგანი ერთმანეთს ავისმსურველ მზერას ესროდა, ყოველ გამვლელს კი მოწიწებით, თვალებით სთხოვდა სწორედ ის ამოერჩია და მისი დახატული ტილო თუ ხელნაკეთი სამკაული შეეძინა. სკვერი გადახურული იყო, ამიტომ ვაჭრებს წვიმა არ აშინებდათ.

თუმცა მათაც ჰქონდათ ერთი საერთო — მათ ეშინოდათ, უფულოდ სახლში დაბრუნების ყველას ძალიან ეშინოდა.

ლარისას უყვარდა მოძველებული ნივთების დათვალიერება და სწორედ ცნობისმოყვარეობამ აიძულა, პირველად ჩვიდმეტი წლის გოგონა აქ მოსულიყო. დანახულმა მოლოდინს გადააჭარბა. ყოველ ნივთს აკვირდებოდა, ნახატებთან რამდენიმე წუთი ჩერდებოდა და თვითონაც არ იცოდა, ამღვრეულ ფერებში რას ეძებდა. მას ესმოდა ყოველი გასაყიდად გამზადებული ნივთის ხმა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ყველას ჰქონდა საკუთარი ამბავი, რომლის მოყოლასაც ლამობდა.

ყველა შეეჩვია დამკვირვებელი, ახალგაზრდა ქერა გოგონას ყურებას. ბევრს აღიზიანებდა მოუსვენრის ცქერა, მაგრამ თქმას ვერავინ უბედავდა. თუმცა ერთ დღეს მომხდარის შემდეგ ლარისა აქ დღე აღარასდროს გამოჩენილა. იმ დღეს მას ჯერ კიდევ გრძელი თმა და ას სამოცდათხუთმეტი მარგალიტი ამშვენებდა:

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ლარისას უხეში, თვალებჩაწითლებული კაცი გამოელაპარაკა. მისთვის არ დარჩენილა შეუმჩნეველი, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევდა ტილოებს, მაგრამ გოგონას გრძელ კისერს გულგრილი ვერავინ უყურებდა, კაცი ჯერ ეეედრებოდა, ევაჭრებოდა, სამკაული ყიდვას სთავაზობდა, ბოლოს დაჟინებით, ღრიალით მოსთხოვა, სამკაული მოეხსნა, ლარისამ არ გაუგონა. გაავებულს ბრაზი მოერია. მაგრამ ვერაფერს გააწყობდა. ცივი უარის გარდა ვერაფერი მიიღო. ასე დარჩა მარგალიტებით დამშვენებული ყელსაბამი კვლავ ლარისას კისერზე, თუმცა ამ დღის შემდეგ გააცნობიერა, რომ ეს სილამაზე შეიძლებოდა საფრთხე ყოფილიყო მისთვის, ამიტომ სკვერში მხოლოდ ღამე მოდიოდა.

ბავშვობიდან ყოველთვის წვრილი ქუჩები იზიდავდა და ხშირად ირჩევდა გზებს, სადაც შეიძლებოდა დაკარგულიყო. არა იმიტომ, რომ საკუთარი სახლი არ უყვარდა. თვითონაც ვერ აეხსნა, თუ რატომ უნდოდა, დაჟინებით ყველა ქუჩა შეესწავლა. ცნობისმოყვარეობას აბრალებდა, მაგრამ ერთი ნათელი იყო — ის ვერასდროს იკარგებოდა, რადგან ყოველთვის ხვდებოდა მას, ვისაც ეს გზაც უკვე აეთვისებინა. სინამდვილეში, ის უბრალოდ ცარიელ ყველასათვის უცნობ ადგილს ეძებდა. ადგილს, რომელიც მხოლოდ მისი იქნებოდა და არავის უწილადებდა.

ასეთი ადგილები მხოლოდ სიზმარში ენახა. ხო, ყველა სიზმარი მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ყოველი ღამე საძინებელში გრძელი განათებული დერეფნის გამოჩენით იწყებოდა. პირველად მისი დანახვისას შეეშინდა, საბანში გაეხვია, ქუთუთოები ერთმანეთს მაგრად მოუჭირა და დაიძინა. შემდეგ გამბედაობა მოიკრიბა, გაჰყვა და მიყვებოდა უსასრულოდ, მთელი ღამის განმავლობაში ხან ერთ მოსახვევს ირჩევდა, ხან მეორეს. ლაბირინთში გახვეული ციცინათელას წააგავდა და დაძრწოდა მანამ, სანამ მზის სხივები მის სინათლეს არ გადაფარავდა.

და მაინც, ნესტიან ქუჩაში, სახლისაკენ მიმავალმა ლარისამ იცოდა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ვერ შეეგუებოდა ამ სიმძიმის გარეშე ცხოვრებას. ეს პასუხი მაშინ იპოვა, როდესაც პირველად მიხვდა, რომ სიხარულით ფრთებშესხმული მუდამ მიწაზე ეცემოდა. დიდხანს აღმაფრენი გრძნობით ტკბობის საშუალებას არავინ აძლევდა.

ეცემოდა, მიწას უყურებდა, ტიროდა, ოხრავდა, დახმარებას ითხოვდა. არავინ მოდიოდა და კვდებოდა, ლარისა სასოწარკვეთისაგან მიწაზე დავარდნილი კვდებოდა.

მისი ნაზი სხეული არ იყო შექმნილი აქაურობისათვის და სწორედ ეს მძიმე სამკაული აბრუნებდა დედამიწაზე. მასში იმალებოდა ძალა, რომელიც ლარისას წელში გამართვის საშუალებას აძლევდა, რომლის წყალობითაც მის ზურგს ყოველი გამვლელი თვალს აყოლებდა.

ლარისამ დიდი ხნის წინ გააკეთა არჩევანი. ტკივილისაგან ხორცშესხმული, ცრემლებისაგან ფორმირებულ ბალადაში ცხოვრებას, მუდმივად გონების გამაპობელ ხმაურში არსებობა არჩია. სამაგი-

ეროდ? ის მუდამ მზად იქნება მორიგი დარტყმისათვის. ჰყავს ოჯახი, მეგობრები, მაგრამ ვერავის იმ ტკვილს ვერ პატიობს, რომელიც ოდესღაც მათ გამო განეცადა. ბევრის ატანა მოუწია ლარისას – დამცირების, იმედგაცრუების – ყველაფრის, რისი ატანაც უწევთ ადამიანებს, თუმცა ლარისა არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი. მან ეს იცოდა და მშობლიურ სადარბაზოში ნელი ნაბიჯით ადიოდა.

ლარისა კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით ცხოვრობდა. იცოდა ლარისამ, რომ მოვიდოდა დრო, როდესაც სამართალი იზეიმებდა და სწორედ იმ წუთს ორად გაიხლიჩებოდა. ერთი ნაწილი – ფილანთროპი ცრემლებად დაიღვრებოდა, მეორე კი – სამართლიანი, თავდადებული მუჭს მაგრად შეკრავდა და ნანატრი გამარჯვების ჟამით დატკბებოდა. ხო, ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც ლარისაც გაიქცეოდა, ას მეოთხმოცე მარგალიტად გადაიქცეოდა და მორიგ ადამიანს კისრის გარშემო სიმძიმედ მოეხვეოდა.

175

ვის ესმის შენი ყველაზე კარგად ლარისა? – ეს ხმა პირველად შემოესმა მაშინ, როდესაც სახლში დაბრუნებულს აღარ ეყო ძალა საწოლამდე მისულიყო და მუხლებზე დაეცა. იატაკზე ნამსხვევებად დაიშალა. სწორედ, დამსხვრეულ სარკეს წააგავდა მისი სხეული.

ბუნებას ესმოდა. სიბნელეში ტალღებად დაშლილი, წვრილი ოხვრა მხოლოდ ბუნებას ესმოდა. პასუხს სეტყვის სახით უბრუნებდა. იწვა ლარისაც იატაკზე და უკუნითის დამარღვეველ ჭექას თვალს ადევნებდა. ის თავისუფალი არ იყო და ვერც ვერასდროს იქნებოდა. რა მოხდა? ლარისამაც გააცნობიერა, რომ მისი სული მხოლოდ მას არ ეკუთვნოდა, როგორც ბებიის სული, რომლის სამახსოვროდაც მხოლოდ თეთრი მარგალიტებით შემკული სამაჯური დარჩა. სიკვდილიც მართლაც არის საზარელი. ბევრისთვის ის ცეცხლს ჰგავს, გონებაში გაჩაღებული, დაუნდობელს. ლარისასთვის კი ეს ცეცხლი მთელს სხეულს მოდებული გენიაა. იწვის იატაკზე წამოწოლილი ლარისა და ვერაფერს გრძნობს. სწორედ ყველა გრძნობას წვავს ეს ცეცხლი და არაფერს ტოვებს გარდა ცარიელი სხეულისა, უსულო ფიტულისა.

ჭექა გრძელდება, ლარისა ჯერ კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით არ ცხოვრობს. გაშლილ, ყვავილებით სავსე მდელოში გაბნეულ მთვარის სხივს ჰგავს. იატაკზე წევს და მკრთალ სინათლეს თვალს ადევნებს. სახლში არავინ არის – არც მამა, არც დედა, ყველა წასულია. ლარისაც ბებიის სახლში იყო, უკანასკნელად ნახა. არ უყვარს მიცვალებულების ყურება. როგორ შეიძლება ყველაფრის ასე გაწელვა? – ფიქრობდა მთელი დღე, ჭირისუფლის მაყურებელი ლარისა. რატომ არის ამდენი ხალხი? რატომ გადაიქცა ეს დღე, რომელიც ნაწილებად მშლის, დღესასწაულად? დაუსრულებელ ღრეობად? – ეს კითხვები იმდენად საშინელი მოსასმენი იყო, რომ ერთადერთი შვილიშვილი ცრემლებს ვერ იკავებდა. ყველას თავს არიდებდა და ტიროდა. ლარისა ყველასაგან მალულად, თავჩაღუნული ტიროდა.

გრძელი, ტალახში ამოსვრილი შავი კაბა არ ანაღვლებდა. სახლისაგან მოშორებით, ბოსტანში ხის ძირში ჩამოჯდა. სწორედ იმ ხის ძირში, სადაც ბებია გაუჩერებად საკუთარი ახალგაზრდობის შესახებ უყვებოდა. წვიმდა. მთელი ეზო ატალახებულიყო. ლარისა ფოთლებს გრძელ თითებში ათამაშებდა და ფიქრობდა. უნდა გადაწყვიტო, ვინ გინდა იყო ლარისა! მართლაც იხლიჩებოდა თვალებჩაწითლებული ტალახსა და სასიამოვნო ნესტის სურნელს შორის. ბაგეებს ერთმანეთს მაგრად უჭერდა. ყოველი სიტყვა დაეკარგა. ეშინოდა ლარისას და აკანკალებულ ხელებში ფოთლებს ათამაშებდა – თუ ხმამაღლა აღიარებდა, რომ ბებიის სიკვდილმა მასშიც რაღაც მოკლა, ტალახში, ხის ფესვებთან ერთად ჩაიძირებოდა, მაგრამ ესეც არ იყო ბოლომდე სიმართლე – ბებია საკმაოდ მოხუცი იყო. დაღლილს ხშირად წამოცდენია, რომ აღარ შეეძლო ცხოვრება. იქნებ ასე იყო უკეთესი? – ვერც ამას ამბობდა ხმამაღლა, რადგან მისი ბაგეებიდან წამოსულ სიტყვებთან ერთად ცვრიან ბალახში დაიკარგებოდა.

არ ახსოვს, როგორ შევიდა ბებიის საძინებელში, როგორ გამოემშვიდობა შეკრებილ სტუმრებს, რა მოიმიზეზა სახლში წასასვლელად, როგორ დაბრუნდა შინ – საერთოდ არაფერი ახსოვს მძიმე წვეთების და ჭექის გარდა.

მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როდესაც ხელი ასწია და იატაკზე დაცვენილი მარგალიტების ხმა გაიგონა. კვანძი უეცრად გაიხსნა. აკვირდებოდა, უყურადღებოდ როგორ იბნეოდა იატაკზე და თითქოს ყოველი დაცემის ხმა მოხუცის ჩავლილი დღის შესახებ უყვებოდა. მას შეეძლო სამუდამოდ დაევიწყებინა ყოველი ნაწილი და სწორედ ასე გადაწყვიტა, როდესაც ოთახიდან გავიდა.

ცრუწმენების ნაკლებად სწამდა, მაგრამ რატომღაც ბებიის ნაჩუქარი სამაჯურის გაწყვეტა სწორედ ბედის ნიშნად ჩათვალა. ხო, სწორედ მოხუცის ძველ სკივრში აღმოაჩინა რამდენიმე წლის წინ ლარისამ მტვერით დაფარული სამაჯური. იმ დღის შემდეგ ხელიდან აღარ მოუხსნია და ახლა, როდესაც სამუდამოდ მოიშორა საოცარი სიმსუბუქე იგრძნო. არ მოეწონა, ლარისას ცარიელი ხელის ყურება არ მოეწონა.

ოთახში რამდენიმე წუთში შავი ძაფით დაბრუნდა. დანამდვილებით არ ვიცი, რამდენი ხანი მოანდომა ყველა მარგალიტის შეგროვებას, მაგრამ მანამ არ შეუდგა სამკაულის აწყობას, სანამ არ დარწმუნდა, რომ არც ერთი არ გამორჩა. ხო, ცნობისმოყვარემ მათი რაოდენობა დიდი ხნის წინ გადაითვალა – სამაჯური ას სამოცდათოთხმეტ მარგალიტს ითვლიდა.

განერვიულებულს, გრძელი დღის შემდეგ აკანკალებული ხელების დამორჩლება უჭირდა, მაგრამ მაინც მთელი ღამის განმავლობაში მარგალიტებს ძაფს უყრიდა, წმენდდა, ითვლიდა და ერთს ოცნებობდა არც ერთი დაეკარგა, ყველა შეეგროვებინა. ხო, ლარისამ მისი გაშვება არ გადაწყვიტა. ის ყოველთვის იქნებოდა მისი მეგზური და გაჰყვებოდა თან მანამ თვითონ ასე მოისურვებდა.

თუმცა ამ ღამაზი გადაწყვეტილების მიღმა კიდევ ერთი რამ იმალებოდა – ლარისამ პირველად მოინდომა საკუთარი სულის პატრონი მხოლოდ თვითონ ყოფილიყო და შეცდა, დაბნეული ლარისა ძალიან შეცდა.

– ას სამოცდა თხუთმეტი – ხმამაღლა წარმოთქვა და შეცბა. ნუთუ შეეშალა? არა, შეცდომა გამორიცხული იყო. ზუსტად ახსოვდა, რომ რამდენჯერმე ას სამოცდათოთხმეტი მარგალიტი დაეთვალა. ალბათ, უბრალოდ შეცდომა იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ამ დღის შემდეგ ლარისა კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით ცხოვრობდა და ამბობდა, ლარისა ყოველ უთქმელ, დაკარგულ სიტყვას უშიშრად ამბობდა.

176-177

ას სამოცდამეთექვსმეტე მარგალიტი ლარისამ სიზმარში ნახა, მაგრამ არ იცოდა. ისრები ღამის სამ საათს აჩვენებდნენ. შიში არ უგრძვნია. უბრალოდ თვალები გაახილა და გაიღვიძა. რამდენიმე წამი, შეიძლება წუთიც იწვა გაუნძრევლად. მშვიდად, გაწონასწორებულად სუნთქავდა. რატომღაც არ შორდებოდა შეგრძნება, რომ საკუთარ თავს ზევიდან უყურებდა. მართლა გამოფხიზლდა? დროში დაიკარგა. გაუნძრევლად იწვა და სიზმრიდან გადმოსული ბურუსის გაფანტვას თვალს ადევნებდა.

ადრე სულ სხვანაირად იქცეოდა – გრძელი სიზმრის შემდეგ საბანში ეხვეოდა და ყველაფერზე ფიქრობდა ნანახის გარდა.

...დღეს, ქუჩებში დაკარგვის შემდეგ, სახლში დაბრუნებლმა გრძელი სამკაული მოიხსნა და მარგალიტები თავიდან გადათვალა.

– ას სამოცდათქევსმეტი – დამარცვლა, მშვიდად თქვა, ამჯერად ზედმეტი მარგალიტის აღმოჩენამ აღარ გააკვირვა, მაგრამ, როდესაც კვლავ გაიკეთა უცნაური შეგრძნება დაეუფლა. სამკაული ჩვეულზე მძიმე ეჩვენა. თითქოს არ უნდა მოშორებოდა. ამ ღამეს არ უნდა მოეხსნა – ჩვეულად მსუბუქი, ჰაეროვანი ქსოვილის მსგავსი ქცეულიყო ჯიუტ სახრჩობელად. რაც უფრო ცდილობდა მოეხსნა, მით უფრო ძლიერ ეხვეოდა. შეეშვა. ახლა ამ ყველაფერზე არ ფიქრობდა. მხოლოდ დღე ნანახი ანაღვლებდა.

გამოღვიძების შემდეგ მარგალიტების დათვლა აღარ სჭირდებოდა, ამჯერად იცოდა ლარისამ, რომ კისერს ას სამოცდაჩვიდმეტი მარგალიტი უმშვენებდა.

ხო, ჯანღის გაფანტვის შემდეგ ლარისა მიხვდა, რომ ას სამოცდამეთექვსმეტე მარგალიტი სიზმარში ნახა, სახლში დაბრუნების შემდეგ აღმოჩენილი კი ნომრად ას სამოცდამეჩვიდმეტე იყო და რეალობამ აჩუქა. ამჯერად ის კვლავ დაიკარგა რეალობასა და სიზმარს შორის და გაება, ლარისა მარგალიტებით მოჭედილი ობობის ქსელში გაება.

რეალობა ასეთი იყო – შუადღე გრილი, დეკემბრის შუა რიცხვები.

ვაჭრები ჩვეულზე აღელვებულნი ჩანდნენ. ნაცნობი სახის მოახლოვება არც კი შეემჩნიათ. ყველა ყურადღებას მხოლოდ ვიღაც მაღალ,უცნობი მამაკაცს აქცევდა. ცოლისათვის საჩუქრად ნახატის შეძენა განეძრახა. უეჭველი მყიდველის გამოჩენამ კი ყველა ააფორიაქა.

მაღალ, უცნობს, გარშემო ვაჭრები ეხვეოდნენ. ზოგი იღიმოდა, ზოგი თავს აბრალებდა. ყველა ყურადღები მიქცევას ცდილობდა და ერთმანეთს შურით უყურებდა.

როგორი იყო ეს ყველაფერი? – ამაზრზენი. ქერა, წითელ კაშნიან ლარისას ებრალოებოდა ყოველი ვაჭარი, მაგრამ ვერაფერს გააწყობდა, ამიტომ მოშორდა და ნახატების დათვალიერებას შეუდგა.

– როგორ მოგწონს ეს ყველაფერი? – ჩაფიქრებული უცნობის ბოზმა, მჭექარე ხმამ გამოაფხიზლა.

– რას გულისხმობ? – რა თქმა უნდა, იცოდა, რაზეც ლაპარაკობდა.

– დაივიწყე.

– კეთილი. – თავაზიანად სცადა საუბრის დასრულება.

– აქ, ხშირად დადიხარ.

– ნახატების დათვალიერება მიყვარს.

–კარგია, შენნაირი აქ ცოტა დადის.

– მე კი სულ მეგონა, რომ აქ არასასურველი სტუმარი ვიყავი.

– რატომ?

– თითქმის ყოველ დღე მოვდივარ. ალბათ, ბევრი ფიქრობს, რომ სადაცაა რაიმეს შევიძენ. მე კი კვლავ მივდივარ და მოვდივარ. მორიგ იმედგაცურებასთან ერთად – უცნობი ვერ ხვდებოდა ამ სიტყვების თქმისას ლარისას თავისი თავი ეზიზღებოდა თუ უყვარდა.

– რა გქვია?

– ლარისა. შენ?

– ალექსანდრე. ლარისა, შეიძლება ერთი ამბავი გიამბო?

– რა თქმა უნდა.

– ხატვა ყოველთვის მიყვარდა და სულ ვფიქრობდი, რომ შემეძლო, დაუსრულებლად მეხატა. ბავშვი ვიყავი. მშვიდი ცხოვრება მიზიდავდა და მუდამ დავფრინავდი, ნახატიდან, ნახატში, ფერიდან – ფერში – აშკარა იყო, რომ დიდხანს ეძებდა ადამიანს, რომელსაც ამ სიტყვებს გაანდობდა. ყოველი ბგერა გულწრფელი იყო. სასიამოვნოდ ლაპარაკობდა. – ერთ დღეს ჩემი მშობლების ლაპარაკს შევესწარი.

რამდენი წლის ვიყავი? არ მახსოვს. ჩვიდმეტის, თვრამეტის. რა მნიშვნელობა აქვს მაშინ გავიგე სიტყვები, რომელმაც გული ძალიან მატკინა — მაგის მხატვრობა არავის სჭირდებაო... ვერ აგიღწერ რა ვიგრძენი, როდესაც ეს გავიგონე. იცი. რა იყო ყველაზე მტკივნეული? გაცნობიერება იმისა, რომ ჩემს ოცნებას არავინ იზიარებდა.

— მიწაზე მძიმედ დაეცი. — თავისდაუნებურად წამოცდა. მოსაუბრე ლარისას ბაგეებს ვერ ხედავდა. სახის გარშემო შემოხვეული, წითელი, შალის კაშნე მალავდა. მხოლოდ გრძელ ქერა თმასა და თვალებს უყურებდა.

— ასეც შეიძლება. მოკლედ ამ ამბის შემდეგ აქ ვარ. არ ვცდილობ. ვინმეს კეთილგანწყობა ან სიბრალული მოვიპოვო. — არ ტყუოდა, ყოველი სიტყვა წყალზე კამკამა იყო — უბრალოდ მინდა — სიტყვა გაწყვიტა. შესაფერისი წინადადება ვერ მონახა.

— გინდა, დაამტკიცო, რომ მხატვარი ხარ.

— მართალი ხარ.

— იცი, ჩემი აზრით, შენი მშობლები მართლები ივყნენ. შენი მხატვრობა არავის არ სჭირდება. — უცნობს, თვალებში ელვა აენთო, თითქოს ისევ ის ახალგაზრდა ბიჭი იყო და მიწაზე მეორედ დაეცა, ლარისამ კაშნე სახისაგან მოიშორა. ლაპარაკი მშვიდად განაგრძო — ხატვა შენ გჭირდება! ეს შენი ცხოვრებაა. ამ ყველაფერს იმიტომ აკეთებ, რომ შენი სამყარო შექმნა. არ აქვს მნიშვნელობა, რას იტყვიან სხვები. ვიცი, მესმის რთულია გააცნობიერო, რომ არავინ იზიარებს შენს ოცნებას. მაგრამ შეხედე შენს ნახატებს — თავის ფრთხილი მოძრაობით საკუთარი ტილოებისაკენ მიანიშნა — ისინი მართლაც ძალიან კარგები არიან, თითქოს შენი ცხოვრების შესახებ ყვებიან.

უცნობი თითქოს თავიდან დაეცა, მაგრამ დაცემის შემდეგ ადგა, ლარისას გაწოდებული ხელის წყალობით კვლავ ფეხზე დადგა.

— ჩემი წასვლის დროა. იმედია კიდევ შევხვდებით — ლარისამ იგრძნო, რომ უცნობი მადლიერების გამოხატვას ცდიდა და უხერხულობისათვის თავის არიდება ამჯობინა.

— დროებით შეხვედრამდე. დიდი...

— არ არის საჭირო — სიტყვა გააწყვეტინა.

ლარისა სახლის გზას კმაყოფილი დაადგა.

— შეჩერდი! — შეცბა — სამკაული მომყიდე. — მოხუცი ზანტი ვაჭარი ლარისას დაეწია.

— არ ვყიდი.

— გემუდარები. რაც გინდა წაიღე. ორი კვირაა არაფერი გამიყიდია.

— ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია.

— წყეულო! ახლავე მომეცი. — მოხუცი სამკაულის წართმევას აპირებდა, როდესაც ალექსანდრე გამოჩნდა და ხელის ძლიერი მოძრაობით მოიშორდა.

— დიდი...

— არ არის საჭირო. არ გაბრაზდე. არავის უთხრა ამ ამბის შესახებ. — ალექსანდრემ სიტყვა გააწყვეტინა.

— მესმის. არავის ვეტყვი — სქელი კაშნეთი სახე კვლავ დამალა.

ორივე თავის გზას გაუყვა.

სახლისაკენ მიმავალმა ლარისამ ორი რამ იცოდა — აქ დღე აღარასდროს მოვიდოდა, სახლში მისულს კი ყელზე კიდევ ერთი მარგალიტი დახვდებოდა.

ამ ამბავრმა ლარისას ას სამოცდამეჩვიდმეტე მარგალიტი აჩუქა, რომელიც სავსე იყო ყოველი ალქსანდრეს ბაგიდან ამომავალი ბგერით, რომელიც ლარისას ესმოდა, მაგრამ, რომელიც იმარხებოდა, ილოს სხეულში ძალიან ღრმად იმარხებოდა.

სიზმარი ასეთი იყო:

დღე თბილი, ივლისის მიწურულს წააგავდა.

ამჯერად გრძელ დერეფანს დაუსრულებელ ლაბირინთამდე არ მიუყვანია. სწორედ იმ ნახატებით სავსე ქუჩაში აღმოჩნდა, რომელსაც ყოველთვის ათვალიერებდა. ვაჭრები ჩვეული თავაზიანობით მიესალმნენ, თუმცა ლარისა როგორც დღე, ასევე ღამე ხედავდა, თუ რა იმალებოდა ამ ღიმილის უკან — სასოწარკვეთილი ვედრება. ბევრი ნახატი მართლაც დამამახსოვრებელი იყო, მაგრამ მათ, ვინმე იშვიათად თუ ყიდულობდა. რატომ? მიზეზი მარტივი იყო- არავინ თვლიდა, რომ აქ რაიმე ღირებულის ნახვა იყო შესაძლებელი. რამდენიმე კეთილსინდისიერი თუ მიაქცევდა ყურადღებას ოფლიან, მზისაგან სახე აწითლებულ ვაჭრებს. ათვალიერებდნენ მათ და თავს ვალდებულად თვლიდნენ რაიმე შეეძინათ.

ლარისა სიზმარში სწორედ იმ ვაჭარს გამოელაპარაკა, რომელმაც დღე შეაშინა. დანამდვილებით ვეღარ იხსენებს, რა უთხრა ან რა ჰკითხა. ერთი ახსოვდა, რომ მისი სახელი ილო იყო და გაყოლა შესთავაზა. მანაც დაუფიქრებლად, უშიშრად მის ნახატში შეაბიჯა.

ნახატი უცნაური იყო — ფერები მუქი, შტრიხები გამოკვეთილი, დეტალები დახვეწილი, მაგრამ მას რაღაც აკლდა. აკლდა ის, რაც ალექსანდრეს ჰქონდა და ილოს ვერასდროს ექნებოდა. სიტყვას ვერ პოულობდა ამ თვისების აღსაწერად, მაგრამ ნახატში შეხვლის შემდეგ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ ჩანდა. ლარისამ კვლავ ახალი ადგილი იპოვა, რომელიც მისი არ იყო, არც ილოსი იყო და იმედია, ოდესღაც, რომელიმე კეთილსინდისიერი ადამიანის იქნებოდა.

ამ სიზმარმა ლარისას ას სამოცდამეთქვსმეტე მარგალიტი აჩუქა, რომელიც სავსე იყო ყოველი მუნჯი სიტყვით, ყრუ ხმაურით, რომელიც ილოს უნდოდა მისი ყოფილიყო, მაგრამ ვერასდროს იქნებოდა.

სხეულის დამორჩილება შეძლო. ბურუსი გაიფანტა. სამკაულის მოხსნა და გადათვლა აზრადაც აღარ მოსვლია. ამჯერად ყოველი მოძრაობის დროს ყოველი მარგალიტი ხმაურობდა, ყაყანებდა და ვერ ლაგდებოდა.

წყალი შეისხა. გამოფხიზლდა, მაკრატელი აიღო და დაგრძელებული,ქერა თმა დაიმოკლა. ყოველ თმის ღერთან ერთად თითქოს უფრო თავისუფლად სუნთქავდა. ასე გააგრძელა მანამ, სანამ არ დარწმუნდა, რომ შემსუბუქდა.

დაიძინა.

ლარისა კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით ცხოვრობდა და უსმენდა, დაუსრულებელ, ქაოსურ ხმებს უსმენდა.

178-179

რაც უფრო მძიმდება ყელსაბამი,მით უფრო ძლიერდებიან ხმები. ლარისას ავიწყდება, ვინ არის. ის მთლიანია და აღარ ახსოვს არაფერი საკუთარ თავის შესახებ. იმდენად ძლიერია ხმა, რომ გარშემო სხვა ყველაფერს აყრუებს. ,,რისი თქმა უნდათ",,,რას მეუბნებიან", ,,მე რატომ ამირჩიეს?" – ეს თავში შემოჭრილი კითხვები ბასრ ნამსხვევებს ჰგავანან. სხეულს ესობიან,მაგრამ ბოლოს არ უღებენ. უბრალოდ,რაღაც ნაწილს ართმევენ. ისინი არ წააგავდნენ ლეშის გარშემო შემოხვეულ მწერებს, რომლებიც მხოლოდ სხეულის ნარჩენებით იკვებებოდნენ, არამედ მომაკვდავი სხეულის გარშემო მოხვეულ ყვავებს, რომლებიც მტაცებელი ცხოველებივით, ელოდნენ, სხეულის დაცარიელებას მოუთმენლად ელოდნენ.

მოსაღამოვდა. ქუჩები ცარიელია. დეკემბრის თვე იწურება.

უყვარდა ლარისას, როდესაც საკუთარ სუნთქვას ხედავდა. ლამაზად თოვდა. ოდესღაც თოვლიც უყვარდა მაშინ, როდესაც თვითონ იყო და არა მარგალიტებით მოჭედილ ქსელში გაბმული მსხვერპლი. გაუგრძელდა ქუჩაში სიარული. ძველებურად განათებულ ლამპიონებს ყურადღებას აღარ აქცევდა, გაფანტულ ჩრდილებს ცეკვა-ცეკვით არ მიჰყვებოდა. ცხვირს სქელ, შალის წითელ კაშნში სამკაულს კი – ხაკისფერი ლაბადაში მალავდა.

არც გახსენებია, თუ რა დღე იყო დღეს, სად იყვნენ წასულები მისი მშობლები. ნუთუ მართლა წყევლაა ეს სამკაული? დღეს, ლარისას ბებიას დაასაფლავებენ. ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღე გასულიყო, მაგრამ ესეც დაივიწყა. უგზო-უკვლოდ დაკარგული ხმებით გაბრუებულმა ლარისამ ყველაფერი დაივიწყა.

მის გონებაში ყველაფერი ასე დაიხატა:

მგლოვიარეები ჯერ დაშლას არ აპირებდნენ. დაესწრებოდნენ ადამიანის მიწასთან შერწყმას. თოვლი მიწასთან ერთად დაეშვებოდა ახალ მომზადებულ საფლავში,მიცვალებულს გამოემშვიდობებოდა, შეახსენებდა, რომ ის მისი შვილი იყო და მუდამ ემახსოვრებოდა. საფლავის ადგილი ბებიას დიდი ხნის წინ შეერჩია, როგორც საფლავის ქვაზე გამოსახული სურათი, როგორც სიკვდილი, რომელზეც წლების განმავლობაში ოცნებობდა. ბებიას საყვარელი მეუღლის გვერდით ასაფლავებენ. შეხვდებიან კი ისინი ერთმანეთს? არავინ იცის.

საფლავის ქვას ახალაყვავებული თეთრი ყვავილებით რთავს ასაკთან შედარებით ახალგაზრდა დედა. ტირის დაკარგულ მშობელს და ყოველი ნიჩბის დარტყმის დროს ფიქრობს ყოველ დღეზე, რომელიც დედასთან ერთად გაატარა და ყოველ ღამეზე, როდესაც უნდოდა მის გვერდით ყოფილიყო. თუ დღეზე ფიქრობდა ცრემლი თოვლში სწრაფად ეშვებოდა, მაგრამ თუკი ღამეზე – მაშინ თვალებიდან წამოსული გამომშრალ ლოყაზე იკარგებოდა. – ასე გაუშრა ცრემლი შავებში ჩაცმულს.

რეალობა ლარისას დახატული სურათისაგან განსხვავებული იყო:

ლარისას დედა მესაფლავეს შორიდან უყურებდა, სახეზე ცრემლებშემშრალი დაკარგულ მშობელზე ვეღარ ფიქრობდა. არ თოვდა. სიჩუმეში იჯდა ტანჯული და რამდენიმე წუთის წინ გაგონილი სიტყვები მოსვენებას არ აძლევდა. ,,სჯობს შვილმა ნახოს მშობლის სიკვდილი". – ამ ყველაფერზე არასდროს უფიქრია და თვითონაც არ იცის, რატომ დაფიქრდა.

მოსიყვარულე დედას საკუთარი თავი შეზიზღდა, როდესაც გააცნობიერა, რომ ფიქრობდა, რომ ლარისას სიკვდილზე ფიქრობდა.

ხო, დედის შფოთვამაც იპოვა ლარისას კისერზე ადგილი. ას სამოცდა მეთვრამეტე მარგალიტის სახით, რომელიც სავსე იყო ყოველი მისი შიშით, შფოთვით,რომელიც არ იყო კეთილშობილი. დედასაც ეშინოდა,სულის კიდევ რამდენიმე ნაწილად გაყოფის ძლიერ ეშინოდა.

მიდიოდა ნაცრისფერ საღამოს სახლში ლარისა და ვერ აცნობიერებდა, რომ მას არავინ ელოდებოდა.

– ლარისა – პასუხი არ ისმის – ლარისა! – უცნობი ხმას უმატებს. ხმებში დაკარგულ ლარისას საკუთარი სახელი ესმის,მაგრამ ვერ ხვდება ნაცნობია თუ არა ეს ხმა მისთვის.

– გაბრიელ. – გაბრიელის თვალებისაგან მომავალი სითბო ზამთრის სიცივეში გამოკვეთილად ჩანდა. ყოველთვის სავსენი იყვნენ მისი მწვანე თვალები. გაოცებულ ლარისას ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა და იღიმოდა.

გაბრიელს ეამა, ნაცრისფერ საღამოს წითელ კაშნიანი ლარისას პოვნა ძლიერ ეამა.

– რა სასიამოვნოა შენი აქ ნახვა. წლებია ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.

– სკოლის შემდეგ.

– არ შეცვლილხარ. რამდენი წელი გავიდა.. ოთხი? ხუთი?

– ექვსი. – გაეღიმა.

–ხომ გახსოვს, რიცხვებს ვერასდროს ვიმახსოვრებდი. ისევ იქ ცხოვრობ?

– კი.

– მიგაცილებ.

– სეირნობა ძველებურად გიყვარს? – გაუღიმა და თავით ანიშნა გაჰყოლოდა.

— რა თქმა უნდა, განსაკუთრებით შენთან სეირნობა...

წამიერად დაავიწყდა ყოველი ხმა, დაავიწყდა ლაბადაში დამალული მარგალიტი. ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ ეს დღე, რომ გაეხსენებინა იტყოდა — დამავიწყდა ვინ ვიყავიო. არა, სინამდვილეში. სწორედ გაბრიელის დანახვისას გაახსენდა, ვინ იყო და თუნდაც რამდენიმე წუთით გახდა ის ალალი, სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელიც ლამპიონებით განათებულ,ჩაბნელებულ ქუჩებში წვიმასა და თოვლს ეალერსებოდა.

— ლარისა, როგორ ხარ?

— კარგად გაბრიელ. შენ?

— არა მიშავს.

— იცი, ხშირად ვფიქრობ სკოლაზე. მახსოვს, თუ როგორი შეკრული კლასი ვიყავით. ერთხელ მითხრეს ერთმანეთს სკოლის დამთავრების შემდეგ დაკარგავთო. არ დავიჯერე. პატარა, მიამიტი გოგო ვიყავი და შევიძულე, შევიზიზღე ის ბაგე, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა.

გაბრიელი რამდენიმე წამის განმავლობაში დუმდა.

— ბოდიში უნდა მოგიხადო.

— შენ დამნაშავე არ ხარ.

გაბრიელი ამ შეხვედრას დიდხანს ელოდა. დიდი ხნის განმავლობაში შენახული სიტყვების გასანთავისუფლებლად მოემზადა. ღრმად ამოისუნთქა:

— მახსოვს, ყოველთვის ყველა საკუთარ გულის ტკივილს გიყვებოდა. ყველაზე ერთგული მეგობარი იყავი, მაგრამ ყოველთვის მინდოდა მეკითხა. შენ რა გაწუხებდა?

— გაბრიელ..

— სულ ვფიქრობდი,რომ შენც გინდოდა,რომ ერთ დღესაც შენთან მოსულიყო ვინმე და ეკითხა, რამე ხომ არ გაწუხებდა,რამის თქმა ხომ არ გინდოდა,მაგრამ ყოველთვის თვლიდი,რომ ამის დრო არ იყო და ბოლოს რა მოხდა. ეს ყველაფერი შენც დაგავიწყდა. მე არასდროს დამივიწყებიხარ და არც არასდროს დაგივიწყებ. ჩემო მოუშორებელი ჭრილობა იქნები... — გაბრიელს საუბარი უჭირდა, კანი უხურდა, მისი ყოველი სიტყვა გულწრფელი იყო...

— საკმარისია.

— მინდოდა მოვსულიყავი,მენახე,მაგრამ არ ვიცოდი,რა მოხდებოდა. ყოველთვის ძლიერი ვერ იქნები.

— შეწყვიტე.

— ბევრჯერ მინახავს, როგორ იღვრებოდა ცრემლებად სხვა შენს პირისპირ,მაგრამ შენ? შენ არასდროს არავინ გეკითხებოდა რას მალავდი. მაპატიე. — გაბრიელი თვალს ვერ უსწორებდა — მაპატიე,რომ შენ გვერდით არ ვიყავი, რომ არ გამოვჩნდი, როდესაც... არ შემეძლო. დამსხვრეულს ვერ გნახავდი.

..მუჭი შეკრა. პასუხს ელოდა და, როდესაც სიჩუმის შემდეგ ლარისას დაბნეული, უგრძნობი სახე ნახა, შეეშინდა.

— არ მესმის, რაზე ლაპრაკობ.

გაბრიელი შეცბა. მან არ იცოდა, რომ ლარისა კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით ცხოვრობდა, არც ლარისამ იცოდა, რომ ახლა ლაბადის ქვეშ ას სამოცდაცხრამეტი მარგალიტი ამშვენებდა. სავსე სიბნელედ ქცეული სინათლითა და სიცარიელეში დაკარგული ხმებით, თუმცა მას ახლა კისრის გარშემო მოხვეული სიმძიმე ნაკლებად ადარდებდა. მუცლის ღრუში შეუჩერებელ, დაუნდობელ ტკივილს გრძნობდა.

არ იცოდა გაბრიელმა, რა ეპასუხა...

— ლარისა. სამი წლის წინ შენი შვილი, ივანე, მშობიარობისას გარდაიცვალა.

180

* * *

ლარისა კისრის გარშემო შემოხვეული სიმძიმით აღარ ცხოვრობდა ისევე, როგორც ივანე, რომელიც არასდროს დაბადებულა და, როგორც მოხუცი ბებო, რომელსაც არასდროს ეცხოვრა.

* * *

დღე თბილი, ივლისის მიწურული:

— გამარჯობა. — მშვიდობიანი დღე. — უცნობ,წარმოსადეგ მამაკაცს ალექსანდრე თავაზიანად მიესალმა.

— ამ ნახატს რამდენად აფასებთ? — საჩვენებელი თითით ახალდასრულებული, ჯერაც გაუმშრალი ტილოსაკენ მიუთითა.

...ალექსანდრემ არ იცოდა, რა ღირდა ეს ნახატი. ან შეელეოდა თუ არა მას ოდესმე. გრძელ ტილოზე გამოსახული მუქ,ი ქერათმიანი ქალის ტუჩები და ცხვირი წითელ კაშნეში იყო დამალული. კისერს მარგალიტებით შემკული სამკაული უმშვენებდა. დიდხანს ხატავდა ალექსანდრე ყოველ მარგალიტს და გაუკვირდა, როდესაც შეამჩნია, რომ ყოველი მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ერთი კი განსაკუთრებით მოსწონდა, ის ნომრად ას მეოთხმოცე იყო და საოცრად ჰგავდა ლარისას მკრთალ თვალებს.

— მაპატიეთ. ეს ნახატი არ იყიდება.

— სამწუხაროა. ლამაზი ნამუშევარია. — უცნობმა სიგარეტს სიამოვნებით მოქაჩა — რა ჰქვია?

— ას ოთხმოცი. ას ოთხმოცი მარგალიტი.

დასასრული

პოეზია

მაჩინა შანიძე

ისევ დავიწეროთ ჯვარი!

(მეუღლეს)

როცა გამეყრება სული,
როცა ვესტუმრები ზეცას,
მინდა, სიყვარულის ნიშნად,
ისევ თეთრი კაბა მეცვას!

მხოლოდ სიხარული თოვდეს,
შვებით დავფრინავდე ცაში,
წლები არ მახსოვდეს ავად,
ვერცხლად გაჩენილი თმაში.

შენ კი... არ იჩქარო მოსვლა,
ჩემი ნუ გექნება ჯავრი,
იქაც დაგიცდი!... და მერე
ისევ დავიწეროთ ჯვარი!

* * *

იები მოსულან, როგორ ვერ შევნიშნე?!
ჩუმად მიღიმოდნენ გუშინ,
ისევ ტკივილები გამიახლეს,
ხსოვნად შერჩენილი გულში.
თავბრუდახვეული, სურნელს დავეწაფე,
ასე რად ვამსგავსებ დედას?
მგონია, მის სულშიც მარტია და
ისევ გაზაფხულად ფეთქავს.
წლები წარსულიდან მომიბრუნეს,
იებს, გულში ჩაკრულს, ვხედავ,
სანამ ვარ – გაზაფხულად იყვავილებს,
სანამ ვარ – სულ იცოცხლებს დ ე დ ა!

* * *

მე ისე მინდა სიცოცხლე ახლა,
თუ ღმერთმაც მადლი გამოიმეტა,
ისევ ერთგულად ვზიდო უღელი
და შვილებს შევრჩე ხვალის იმედად.
არ დავიჩოქებ იმედჩაკლული,
ვერ შემაშინებს წლების მატება,
იმ სიძნელესაც გავუმკლავდები,
ჩემს ძალღონეს რომ აღემატება...

თავგადასავალი

მითხრა საწუთრომ, ტიალმა,
იცხოვრე ცივსა ქვაზედა!
მომკიდა ტვირთი საძნელო,
მემძიმა სუსტსა მხარზედა.
ეგონა, შევშინდებოდი,
რა არ მომაბა თავზედა?!
სულ აღმა-დაღმა მატარა
ნისლში ჩაკარგულ გზაზედა.
თავს შევუძახე, არ შედრკე
საწუთროს მუქარაზედა!
სიკეთის ყველა ამბავი
გადავიხდინე თავზედა.
ჩემის მარჯვენით ვიპურე,
თვალი არ მედგა სხვაზედა,
თხოვნა-მუდარით არავის
არ მივდგომივარ კარზედა.
წყვილი სანთელი დავანთე,
ნიკორას წყვილსა რქაზედა,
მოვხანი, თესლი ვაბნიე,
ძილს არ ვკარობდი თვალზედა!
თუ მტერი გამოჩნდებოდა,
სულ ხელი მედო ხმალზედა,
მიფრთხოდა პირსისხლიანი,
მირბოდა უკუ გზაზედა!
შვილები უხვად დავზარდე,
ნაფერი თავის გვარზედა,
ყველას თაყვანი ვაჩვიე
უფლისა წმინდა ჯვარზედა!
ჩემსავით ნანაც ვამღერე
თვით ანგელოზთა ხმაზედა,
გავმრავლდით, ახლა ბევრნი ვართ
მადლიან ქვეყანაზედა!
ეჰეი, წუთისოფელო, მხედავ? –
მიტომც ვარ ჯანზედა,
გამიშვი, დიდხანს ვიარო
წინაპრის ნაკვალავზედა!

მამულის განთიადი

რა განთიადი გაქვს?! ეჰეი, მამულო,
დღეს, შენთვის ნამღერი, ტოროლას ჰანგი ვარ,
შენ გულის ფეთქვა ხარ, სიცოცხლის იმედი,
მე კი ამ იმედით ამაყი დავდივარ.

ვაზი ვარ და ჩემი ცრემლების ნაკადი,
მთის ბროლის მძივებად გულმკერდზე გაპკურე,
ყანა ვარ გაშლილი, თავნაყარ ჯეჯილის
და ბეღლის სიუხვით გავსებ და გაპურებ.

წყარო ვარ ანკარა, ცელქი და რაკრაკა,
ვიჩქარი მწყურვალეს მოგიკლა წყურვილი,
ხან მდელოს ია ვარ, ხან არწივს ვედრები,
ზეცაში აფრენის მიჩნდება სურვილი.

დილის ცვარ-ნამი ვარ, ბალახის სილაღე,
მზის ოქროს სხივი ვარ მდელოზე ნატყორცნი,
ჯიხვი და არჩვი ვარ კლდის წვერზე შემდგარი,
შენს მთათა მწვერვალებს იქიდან დავკოცნი!

მთვარე ვარ, ღამითაც ნათელით დაგყურებ,
მხრებზე სულ ციმციმა ვარსვლავად გეყრები,
წვიმა ვარ, ზეციდან კურთხევად მოსული,
და დამსკდარ გულმკერდზე მირონად გეღვრები!

ზვარი ვარ, ქარვისფერ მტევნებად ასხმული
და ღვინო, ნაკურთხი, ბარძიმით შესმული,
შენს ბედზე მლოცველი ერთგული შვილი ვარ,
ხარი ვარ, ნიკორა, გუთანში შებმული!

სიცოცხლე მაისობს, ბავშვივით შეგხარი,
მე ამ სიხარულით ზეცაში მფრენი ვარ,
სხვა რაღა ვინატრო, მითხარი, მამულო,
შენ ჩემი გქვია და მე კიდევ შენი ვარ!

მინდვრის ყვავილებო!

როგორ მომენატრეთ, მინდვრის ყვავილებო?!...
ჩემში უთქვენობით მწუხრის დაისია,
ახლა გაზაფხულმა ისევ მოგიყვანათ,
მარტის სიკეკლუცე ეშხით აგივსიათ.
თავბრუ დამახვიეთ მძაფრი სურნელებით,
გარეთ საოცარი დრო და ამინდია,
გულში შემოიჭრა სხივი სიყვარულის,
გრძნობა ნაზამთრალი თქვენთვის ამინთია.
სანამ ცოცხალი ვარ, ასე მეყვარებით,
დღეს ხომ თქვენი ხილვით დარდი დამიკარგეთ,
ოღონდ... ამ ქვეყნიდან როცა ზეცად წავალ,
მოდით და საფლავი იქაც დამიქარგეთ....

გულო ჩემო

გული ბევრჯერ გამებზარა,
განა მართლა ქვითკირია?!
მარტო დარდი კი არა და
სიხარულიც მიტირია.
ხან დიდ ტკივილს ვეღარ ვგრძნობდი,
ხან პატარა წყენაც მკლავდა,
მიკვირს, გული პაწაწინა,
ამდენს როგორ გაუმკლავდა?
გულო ჩემო, გოლიათო,
მაგრამ, ზოგჯერ, ჩიტის გულო,
მე სიცოცხლის იმედი მაქვს,
ოღონდ... შენ არ მიორგულო!

დილის დალოცვა

მზიანად გათენებული,
გეწიოთ მადლი დილისა,
სიმშვიდე გამოგყოლოდეთ
ღამის ნეტარი ძილისა!

სითბო არ გამოგლეოდეთ
ციდან ნაფენი სხივისა,
გესმოდეთ ლაღი ტიტინი
აკვნად მწოლარე ჩვილისა!

მუდამ გემატოთ დღეები
სიხარულის და ლხინისა,
ღმერთმა დალოცოს ოჯახი,
გამზრდელი ბევრი შვილისა!

კვლავაც გქონოდეთ იმედად
სავსე ბეღელი ფქვილისა,
გიკურთხოთ შთამომავალი
მადლმა – ზედაშის ღვინისამ!

მტერიც თუ სადმე გამოჩნდეს,
მაფხიზლებელი ძილისა,
ისეთი თვალით გიმზერდეთ,
თქმა ვეღარ შეძლოს ძვირისა!

გაძლიერდით და გამრავლდით,
დღენი არ ნახოთ ჭირისა,
ლოცვა არ შემოგკლებოდეთ
უფლისა ენა – პირისა!

მარად აკვანთან!

ცაზე მთვარე ამოგორდა, დუმან თეთრი მთები,
ჩემს ანგელოზს, საიმედოდ, გაუშლია ფრთები.
დაქრის სიო, ცელქი სიო, ტოტებს ჩუმად არხევს
და სურნელი ღვინობისთვის, ისევ თავბრუს მახვევს...
ცას გვირგვინად მოხდენია, ღრუბლის თეთრი ფთილა,
მინდა ტრფობის ხელით მივწვდე და შევეხო ფრთხილად,
მაგრამ ღამე ისე დნება, როგორც ნაზი ფიფქი
და არ მაძლევს მოსვენებას ზმანება და ფიქრი...
კვლავ ჩამესმის გარდასული, მშვიდი წლების ექო:
– რაც ეწამე, რაც ეწვალე, ნუთუ აღარ გეყო?
ლამაზ წუთებს მართმევს წლები, მიაქვს ნება–ნება
და სურნელი სიჭაბუკის, უგზოუკვლოდ ქრება..
მახსენდება უდარდელი, უშფოთველი ხანა,
აკვნის გვერდით მუხლჩახრილი, დედის ტკბილი ნანა,
ისიც მახსოვს, ოცნებებში, როგორ ვშლიდი აფრებს
და რა კრძალვით მიყვებოდნენ უსასრულო ზღაპრებს...
...წლების შემდეგ იმ აკვანთან, ისმის ჩემი ნანა,
ახლა უკვე ჩემთვის დადგა, შფოთიანი ხანა,
შვილი ჩემი, ოცნებებში, ლაღად შლიდა აფრებს
და ახლა მე ვუყვებოდი ლამაზ-ლამაზ ზღაპრებს.
შევეჭიდე აღმართ–დაღმართს, დამიმძიმდა ტვირთი,
დავიღალე, ამოსუნთქვაც გამიჭირდა თითქმის,
კალო ჩემი, პურით სავსე, ვლეწე, მარჯვედ ვლეწე
და სიკეთის ყველა მტერი ბნელეთს გადავხვეწე...
გული მაინც არ მისვენებს და უფრო მეტს ითხოვს,
რაც მინდოდა, რაც მეწადა, ვერ მოვასწარ თითქოს,
მაგრამ ის, რაც მე შევძელი, ერთ ქალად ხომ ღირდა?
რადგან ჩემი კალთის სითბო, ოთხ მზედ ამობრწყინდა!!!
ღმერთო ჩემო, სხვა რა გთხოვო, თუ არ ჭირთა თმენა,
დამილოცე ხვალინდელი ზეცად აღმაფრენა,
რომ ჩემს შემდეგ, შვილი ჩემი, კვლავ აკვანთან იჯდეს,
მამულისთვის რუსთაველს და თამარ მეფეს
ზრდიდეს!
კვლავ ემატოს საქართველოს ბევრი გმირთაგმირი,
წარსულს გაჰყვეს ყველა დარდი, ყველა გასაჭირი,
ამიყვავე ფუძე ჩემი, ჩემი სახლის ეზო,
მომეც ძალა, რომ სიკეთე, მეც სიკეთით მეზღოს.
...და სიცოცხლეს, ვალმოხდილი, როცა დავასრულებ,
რაც შეგთხოვე, ყველა ნატვრას, თუკი ამისრულებ,
მაშინ ალბათ, სიხარულით, მეცხრე ცაზე ავალ
და იმქვეყნად გულსავსე და უდარდელი წავალ...
ციდან მთვარე ჩამოგორდა... ისევ დუმან მთები...
ჩემს ანგელოზს საიმედოდ, გაუშლია ფრთები...

ბიბლა ჭინჭარაული

* * *

მწყემსი ვარ, ღამენათევი,
დარდი და დაღლა გროვდება,
ყინვა და ქარი მაწუხებს,
როგორც უდედოდ ცხოვრება.
შორს, მწვერვალებზე, ნისლი ჩანს,
ჩემ ჭირად გამოქროლდება,
მე მაინც სამშობლოში ვარ,
ბევრი კი ტანჯვით შორდება.
ამ მიწას დედის სითბო აქვს,
სხვაგან არ განმეორდება;
ამიტომ არ ვარ ბედკრული,
არც ცრემლი ჩამომგორდება!

* * *

ასაკთან ერთად დღითიდღე
სიკვდილზე ფიქრიც მატულობს,
ალბომში გეძებ წუხილით,
ბავშვობავ, გადაკარგულო!
მე ველარ გნახავ ბედნიერს,
ჩემო სამშობლოვ, ტანჯულო!
ამისთვის მსურდი, სიცოცხლევ,
ძალ-ღონევ ჩამოხარჯულო!
სჯულო, შენც გაქუცმაცებენ,
წმინდა ქალწულის დარგულო...
მკვდარნი ვერ დაცოცხლდებიან,
ცოცხალთა გული არ გულობს!
რა გეშველება, ქვეყანავ,
გაჩენის დღიდან ჩაგრულო?!

* * *

მედგრად სამშობლოვ!
უტკბესო თავზე,
ბევრს უნდა შენთვის მოუსავლეთი,
ჩემი თაობა გეხვევა ტანზე,
როგორც ჯავშანი ვეფხვის ნაფლეთი.

ისევ თავიდან იწყება დაღლა,
რომ შენარჩუნდეს შენი თილისმა...
გაეხსნა გულზე მტერს ძველი დამღა –
რომ ვერ დაგიპყრო და მიგითვისა.

კი არ იწყება, ბრძოლა გრძელდება,
დაუსაბამო და უსასრულო,
სიკვდილი როგორ გაგვიძნელდება,
ვიდრე გვახსოვხარ, ჩვენო წარსულო.

არ დაგვიკარგავს სუნი და გეში,
ღირსების განცდა საქართველოთი,
ძველი თაობა გეკვრება მკერდში,
შენგან ნაწოვი ხსენის გემოთი.

მტკიცედ, სამშობლოვ!
უტკბესო სულზე!
სიყვარულია შენი თილისმა,
ჩვენი ჭაღარი გეხვევა წყლულზე,
როგორც ნაჟური შენზე ფიქრისა.

ასაკს მომდგარი საღამოს გამო
ვჩქარობთ და არ ჩანს კაცი პირველი,
ვიდრე სცემს გული უკიდეგანო,
გვაღირსეთ ბრძოლა გასაკვირველი.

სიყმაწვილე

ჯოხის ცხენზე შემომჯდარი რისხვით
მივერეკები,
ეს ჭინჭრები თათრებია, ეს ნარები – ლეკები,
წკეპლის ხმალით თავებს ვაცლი, ვებრძვი
თავგამეტებით,
სამშობლოს მტრებს არ ვახარებ ცხენით, ხმალთა
კვეთებით...
ჰაი დედას, სიყმაწვილევ, როგორ არ მემეტები!

* * *

გახსოვს? წყაროსთან გაგიცან,
მთებს უხდებოდი ზღაპრულად...
მერე დრო სადღაც გაიქცა,
გზებს ცრემლი მიმოაპკურა.
სიცილი... ბანქო... წაგება...
მწვანე წიგნი და ლექსები,
კვლავ მოვალ, აღარ დამხვდება,
არც ის დრო, აღარც მწყემსები.
გახსოვს დაისი, საფირონს
იზარნიშებდა იალნო?
ვინ დაგვიბრუნებს კვლავ იმ დროს?..
ეეჰ, დღეებო ტიალნო!
ჩვენ შორის იდგა ერთი მთა,
ცხენდაცხენ ხშირად ვლახავდი,
მოვქროდი სულის ექიმთან,
შენ თუ ვერ... შენს სახლს ვნახავდი.
გახსოვს ქეიფი, თენება,
ცალკე სმა სათათბიროდა;
ღვინო რომ იგრძნეს ვენებმა,
რიჟრაჟზე თქმული პირობა?
ან გრძნობა – ბავშვი მესამე,
ჩვენთან რომ დათამაშობდა?
რა მწარედ გამოვესალმეთ,
რა ნაღვლიანად დაგვშორდა!
ჩვენს წმინდა მთებზე გაგიცან,
იმ წყაროსავით ცქრიალა,
მაშინ ეს გულიც მთად იქცა
და იმ დღემ ამაბრიალა.
იმ გორზე ვშლიდი პურმარილს,
ფიქრს ლაჟვარდებში მივყავდი,
წყაროც იქ იყო, ქურანიც,
ცასთანაც ახლოს ვიყავი.
ვეფერებოდი მთა-ველთა,
შენით მომწონდა ქვეყანა!
და რიყე თეთრი, ღამეთა,
ჩემს განვლილ წლებში ეყარა...
და როცა გრძნობა განაზდა,
მეგონე ზეცის ნაწილი...
რას ვიფიქრებდი, ანაზდად,
ცოლს დაირქმევდი ყმაწვილი?!
...დღეს კი კახეთის მინდორზე
შევხვდით, შევცბით და გავხევდით;
აღარ, მე გითხარ იმ დროზე,
აღარც შენ... ჩუმად წახვედი.

ვაჟას

ვინ გადათვალა გრძნობები,
გაბედა სიტყვა ჭკვიანი?
რამდენი უსახელოა,
რა მცირე – სახელიანი!
(ეს, ალბათ, საიდუმლოა,
არც შენ გვითხარი მთლიანი).
ვაჟავ, შემინდე, დავკოცნენ
შენი წაწალნი, იანი;
რა მექნა, აღარ შემეძლო,
ვკვდებოდი სურვილიანი.
მინდოდა, მკერდში ჩამეკრა,
მთელი მთა ყვავილიანი,
რომ ვერ შევძელი, ლურჯთვალას
ვუკოცნე ბაგე ცვრიანი,
ღმერთმა გიცოცხლოს სამშობლო,
სრულად, მიწიან-ციანი!
იქნებ ღვთისშვილიც იყავი,
გვეგონე ადამიანი...
ყველასამც განაცდევინა
ეს აღტაცება ფრთიანი,
რა ცოტას ნიშნავს „მიყვარსო“
ან „გაგიჟებით ტრფიალი“...

* * *

კრავობა არ მსურს, შემჭამენ მგლები,
არც მგლობა მინდა – ბოროტებაა,
ვერც შუალედურ წერტილზე ვდგები,
მკვეთრი ცხოვრება ჩემი ნებაა.

ამ დილემასთან მემტვრევა ფრთები,
ვერავინ ამბობს უკეთეს წამალს,
კრავად ვიქნები – ტანჯვით მოვკვდები,
მგლურად ვიქნები – ჯოჯოხეთს წავალ.

არც ერთი მინდა და არც მეორე,
არც შუალედის ნელთბილი ყოფა,
ჯობია, ვგავდე იმ ძველ მეომრებს,
ვინც მტერს უტირა დედა და ყოფა,

ვინც გაცხარებას ურჩევდა ბატკნებს,
წყლის ამღვრევაში ცილს რომ სწამებდნენ,
სადაც ბოროტი სიკეთეს ავნებს,
იქ უნდა სჭექდე და არ დანებდე.

საქართველო – სამოთხე

მე ვინ დამანათლებს სიტყვას ენამზიანს,
შენ რომ აგსახავდნენ, მათ ვერ შევედრები,
თავად ბუნებაა დიდი პოეზია,
ვერხვის შრიალია შენზე შედევრები.
მიწყივ გიმღერიან წმინდა წყაროები,
ლოცვით მხურვალეთი გლოცავს მთების სიო,
სირით დახუნძლულან ტოტთა თაროები,
უნდა ვუგალობოთ დიდი მერმისიო.
სხივთა სიმებია მზიდან სამოთხემდე,
უკრავს სამყარო და შენზე ილოცება,
უფლის ნაკურთხია, ამ მთებს შემოხედე,
ცვარი სამყურაზე – ზეცით მირონცხება.
უნდა მოვიკრიბო ძალა ღვთისმიერი,
გული გატეხილი კვლავაც ვაჯანმრთელო,
კრძალვით მოვიარო ამერ-იმიერი,
გმადლობ დედობისთვის, ჩემო საქართველო...

* * *

არწივის ბუდეში ვზივარ,
არ ვახამხამებ თვალებსა,
შორეთს გავცქერი გულჯავრით,
თან ვეფერები მთა-ველსა,
ჭანგებით ველარას ვშველი,
აჭრიან თითო მტკაველსა...
სამშობლო – ჩემი გულ-ღვიძლი,
მიირთვეს, მოიხმარესა,
გამიჩანაგეს ყოველი,
ფერი უცვალეს არესა.
საქმეს ვერ შველის კალამი,
ხმალი თუ არვინ გალესა,
...თურმე ცხოვრება მოითხოვს
ზოგჯერ ბართლომეს ღამესა!

* * *

იყო შემოხვედრა,
თბილი შემოხედვა,
შემდეგ – გარინდება,
თვალის არიდება,
ძველის გახსენება
ტკბილად გვარიგებდა,
გული ვერ შევცვალეთ,
დუმილს არიგებდა.

ელა ელენი

*ლალეთა

ვაი იმ ბარათს, მე რომ ვერ წამიკითხა,

შენ რომ დაუღამდი – ვაი იმ დღესო.
ვაი იმ ცრემლს, ლექსები რომ შეიმშრალა,
შუა გზიდან მობრუნებულს – ვაი იმ გზებსო!

დრომ მოიშუშა ყველა ჭრილობა, დრო განიკურნა.
უძირო ჭიდან ვხაპავ საცერით, წყალს წყალი გასდის –
ვაი იმ ლექსსო.
არცა რომ სტკივათ, არცა რომ სცივათ –
იმ დაშლილ დღეებს,
იმ წაშლილ წლებსო!..

ფრთებჩამოყრილი...
მე ახლა მხოლოდ ლალეთას ვეძებ,
ნაოცნებარს... ვაი იმ ფრთებსო!

ბუხარში ცეცხლი გააჩაღოს...
სადა ხარ, ამირმ?
ახლა ერთია, სულ ერთია,
წახვალ თუ მოხვალ.
ყველა სიტყვიდან დუმილი მესმის,
ყველა სიტყვიდან ტკივილი ჟონავს.

ჩემი თავი სად შევაფარო,
ვკითხავ სამყაროს,
ან ჩემი სიტყვა როგორ დავმალო?

გამოვაცალო ყველა ლოდი
ჩემს ძველ სტრიქონებს,
სახლს ავაშენებ, ახლა მხოლოდ ლალეთა მინდა –
სახლი ქვიშაზე!

მომეჩვენება წაშლილ კვალსავით, საიო!
ცრემლს რომ დატბორავს,
იმ შავზღვასავით, საიო!

რა დააბრუნებს გაქცეულ სიტყვებს –
დუმილშეყრილებს,
გაცვეთილ ლანჩებს კვალიც არ შერჩათ
იმ ძველი გზების.

ირინოლამ თქვა, დელა მარინოლამო,
დარჯოლმა მითხრა, დიაშ დარჯოლმა, საიო!
დალი ფუსდამ თქვა, *საი ოდიო, საიო!

ბუხარი ცეცხლში, ცრემლი კვამლში, ჭერი ღამეთა,
კარს ნუ გამიღებ, დამტოვე ბნელში, ჩემო ლალეთა,
აშენებამდე დანგრეულო, კედელო ჩემო,
შენ ახლა ჩემზე უფრო გარეთ ხარ.
ასე მიწერდნენ, ვიდრე წამშლიდნენ,
და ამომშლიდნენ ბედის წიგნიდან,
ასე დავღამდი დაღამებამდე, ასე მიჩვენეს
გზა კარისაკენ,
ვაი იმ კარებს, იმ კარის მცველებს –
ამ უმწიფარ და უწიგნურ ლექსებს!..

თავშენახული ვინმე ხარო, ჩრდილიდან
არ გამოდიხარო...
იყუჩე, მაგრად მოკუმე ბაგე –
სიტყვა არ წამოგცდეს,
სიტყვა, რომელიც არ იკითხება.

გულიდან წვეთავს, საიო!
ცრემლიდან ჟონავს, საიო!

ირინოლამ თქვა – შენ რად მეგონე?
დარჯოლმა მითხრა – შენ რად მეგონე?
დალი ფუსდამ თქვა – შენ რად მეგონე?

გამოვაცალო ქვა-ლოდები
ჩემს ძველ სტრიქონებს,
სახლს ავაშენებ,
ახლა მხოლოდ ლალეთა მინდა,
სახლი ქვიშაზე.

გვიანი სიტყვა ადრე წამომცდა –
სახლი ქვიშაზე!

შინიდან შინ ვბრუნდები...

ეს რა სახლია – შვიდი სახლის სახელი აქვსო,
ეს რა სახლია – ცხრა ციური ნათელი აქვსო,
შენ კი ვინ ხარო, შვიდი სნებით სნეული ხარო.
რომელმა მითხრა, რომელმა მკითხა?

რას ვუმალავდი?
სხვა სასახლეთა შევრჩი დარბაზებს,
მოღალატე ვარ,
თავს ვუღალატე!
ბოლო სიტყვიდან თავს ვერ გამოვყოფ,
აზრი არა აქვს,
ჩავრჩი ამ ლექში.
ეს ამოდენა ნიაგარი რად მინდოდა
ამ მყრალ გუბეში?
– გათოკილი ვარ ამ არარაში.
*ამირმ, გეძახი!

ახსენი ჯაჭვი – ჯაჭვი არ არის,
გალოკავს რკინას ყურშა-ძაღლი,
ძაღლიც არ არის,
მზეო, მზე თუ ხარ, ამოდი ცაში და
მზეც არ არის.

თქვენი ჩრდილი ვარ, სად ვეძებო
საჩრდილობელი,
უარყოფილმა ვწერო ლექსები – უარმყოფელი.

მე ახლა მხოლოდ ლალეთას ვეძებ,
იმ ქოხს ვეძებ, კოჟრივით რომ მიწას ატყვია,
სახურავით ცა რომ გახია!

ცას დავამჩნიო ჩემი ცეცხლის კვამლიო,
მზეს დავამჩნიო შენი ჩრდილის კვალიო!

სიტყვა გამექცა – შინ მივდიოდი, საიო!
გზა ვიწრო იყო – შინ მივდიოდი, საიო!
ჩემს თავს გამოვცდი – შენც გამოგტოვე, საიო!

.....

ლალეთა (სვან.) – ღამის გასათევი, სულის
მოსათქმელი ადგილი წუთისოფლურ გზებზე;

ამირმ (სვან.) – მითიური ამირანი;
საი ოდი საი – რეფრენი სვანური სიმღერის.

„ოქტომბერში (წიფობას) დავდივართ სვეტიცხოველში და სანთელს ვუნთებთ „პაწა სალოცავთან“...

„ანეულის“ სტუმარია – ექიმი თამარ შავგულიძე

დაიბადა ქუთაისში, პედაგოგების ოჯახში. სკოლის პერიოდიც ქუთაისში გაატარა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 1983-84 წლებში დაამთავრა. მას შემდეგ მუშაობს ექიმ-კარდიოლოგად და ოჯახის ექიმად.

მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ვორკუტაგამოვლილი მამის – შოთა შავგულიძის მოგონებები, რომელიც წიგნადაც გამოიცა – „ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები“.

ბევრი რამ ახსოვს მამისგან, ოჯახის რელიკვიაა მისი ყოველი ფოტო თუ წერილი. საგულისხმოა, რომ მამა ჯერ კიდევ გერმანელებთან ტყვედ ყოფნისას გრიგოლ რობაქიძემ გადაარჩინა. მოგვიანებით ვორკუტის საპატიმროში დიდ მწერალთან, ლევან გოთუასთან ერთად აღმოჩნდა. მანვე ჩამოიტანა საქართველოში ლევან გოთუას ხელშენავლები სახარება.

– გვიამბეთ მამის პიროვნულ თვისებებზე...

– მამას იმ დროს უკვე გავლილი ჰქონდა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკები და არანაკლებ სასტიკი კომუნისტური დილეგები. ვორკუტიდან ამინისტიით დაბრუნებულს გაუუქმეს დიპლომი (დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი), აუკრძალეს ცხოვრება მშობლიურ ქალაქ ქუთაისში და იმყოფებოდა ჩეკას ზედამხედველობის ქვეშ. გაუშვეს ხარაგაულის რაიონში (სოფელი ვერტყვიჭალა), სკოლაში, გერმანულის მასწავლებლად. იქ შექმნა ოჯახი, განმეორებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი, ამჯერად დაუსწრებლად, და დაბრუნდა ქუთაისში, ქალაქში კვლავ არ მისცეს ცხოვრების უფლება და გარეუბანში, გუმათჰესის დასახლებაში ვცხოვრობდით.

მუშაობდა ქალაქის მეორე ბოლოში, რიონჰესის სკოლაში. ამბობდა, ჩემს ქალაქს ყოველდღე გზად მაინც ხომ გავივლიო.

მამას ჰქონდა საოცარი იუმორის გრძნობა, იყო სასიამოვნო მთხრობელი, ერთსა და იგივეს არასოდეს იმეორებდა. მისთვის ყველაზე ფასეული ადამიანური ურთიერთობები იყო, ჰყავდა მრავალფეროვანი სამეგობრო წრე, ყველა სფეროში, ყველა ფენაში, თითოეული მათგანი ერთნაირად ძვირფასი იყო მისთვის. დიდ პატივს მიაგებდა წინაპრებს და ჩვენგანაც იგივეს ითხოვდა. განსაკუთრებულად ემზადებოდა აღდგომის დღესასწაულისთვის, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მიდიოდა წინაპართა საფლავებზე და ულოცავდა მიცვალებულთა სულებს (იმ დროში სხვაგან ვერც იდღესასწაულებდი აღდგომას).

ბავშვობაში მამა გვირჩევდა წასაკითხ ლიტერატურას, შეგვაყვარა პოეზია, სამეზობლოში სახელდახელოდ გვიწყობდა კონკურსს მხატვრულ კითხვაში. რომ წამოვიზარდეთ, წასაკითხად და შემდეგ სადისკუსიოდ გვაძლევდა ფილოსოფიურ ლიტერატურას. მისი საყვარელი წიგნი იყო გოეთეს „ფაუსტი“, პერიოდულად კითხულობდა თავიდან ბოლომდე. ამბობდა, სხვადასხვა ასაკში განსხვავებულად შევიმეცნებთო. იყო უკიდეგანო ოპტიმისტი, რაც უნდა პრობლემა ყოფილიყო ოჯახში, მასთან თუ განვიხილავდით, მაშინვე ვგრძნობდით, რა წვრილმანი იყო ის და როგორ მარტივად შეგვეძლო გვერდის ავლა. თითქოს „უპრობლემოდ“ ცხოვრობდა, არ მახსოვს მისგან ჩივილი, რომ რამე აწუხებდა, ან ვინმესთვის რამე ეთხოვოს, ეს მას არ ახასიათებდა. დროს ფეხდაფეხ მიყვებოდა, მის ირგვლივ მუდამ ახალგაზრდები იყრიდნენ თავს. მოუთხრობდა მათ ნამდვილ ისტორიას, რაც საბჭოთა წიგნებში არ ეწერა დაკრძალვის დღეს ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები, მეტწილად ახალგაზრდები, ცრემლით აცილებდნენ ბოლო გზაზე.

ლეო თევდორაძე, შალვა მაღლაკელიძე, დავით კვიტაიშვილი, შოთა შავგულიძე (ვორკუტა)

– მამის ნაამბობი ალბათ გეხსომებათ, როგორ გადაარჩინა ის გრიგოლ რობაქიძემ...

– თავიდან გვიყვებოდა გერმანიაში ტყვეობის პერიოდს. მამა გრძნობდა, რომ მუდამ ჩეკისტების სამიზნე იყო, და რომ წამოვიზარდეთ, მხოლოდ შემდეგ დაიწყო თხრობა საბჭოთა დილეგების წლებზე.

გესტაპოს ციხეებიდან ერთ დღესაც გამოიყვანეს კავკასიელები, დააპურეს, დაბანეს, მისცეს ახალი ტანსაცმელი, დაათვალიერებინეს ვერმახტი. იქმნებოდა ბერგმანის ბატალიონი, შესთავაზეს ცხოვრების კარგი პირობები, მამა ამბობდა, იქ ნათელი გახდა რომ გვამზადებდნენ საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად, მე და რამდენიმე თანამემამულემ სასტიკი უარი ვთქვით და ჩაგვსვეს კარცერში შვიდი თვითო, შემდეგ გადაიყვანეს ვილჰემსაფენის საკონცენტრაციო ბანაკში, მას „ცოცხალთა სასაფლაოს“ ეძახდნენ. ამუშავებდნენ სილის კარიერზე (გამართლდა მამას ვარაუდი, ბერგმანის ბატალიონის გადარჩენილი წევრები ზედამხედველებად ჰყავდათ საკონცენტრაციო ბანაკებში).

მამასთან ერთად იყვნენ: აკაკი მუხაშავრია (ცნობილი ექიმის, გელა მუხაშავრიას მამა), შალვა ჯაში, აპოლონ ჯანელიძე. ერთ დღეს ხელში ჩაუვარდათ ჟურნალ „დი ვოხეს“ ნაწილი, სადაც იყო გრიგოლ რობაქიძის სტატია სათაურით „ჭეშმარიტი ქართველი“.

გადაწყვიტეს, მიეწვდინათ ხმა. დაწერეს წერილი, სადაც მამა წერდა, რომ, საქართველოში, უნივერსიტეტში მოუსმენია მისი ლექციები, დაწერეს ასევე, ვინ საიდან იყო და რომელ ბანაკში იყვნენ. ახლა მთავარი იყო, წერილი მისულიყო მწერლამდე. ზედამხედველებს შორის იყო სამოც წელს მიტანებული ვილჰელმ ციმერმანი (იმ წელს მეზღვაური ვაჟიშვილი დაღუპვია), განათლებული, თან კეთილი ადამიანი ყოფილა. მას აჩვენეს ჟურნალი და მოუყვნენ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ვილჰელმი დაინტერესდა, ქართველებს დიდი ადამიანი გყოლიათო, მის „გველის პერანგს“ ვიშოვი და აუცილებლად წავიკითხავო. მან დიდი რისკის ფასად შეძლო წერილის გაგზავნა. ამის თაობაზე არაერთხელ დაჰკითხეს ქართველები, თუ როგორ მოახერხეს წერილის გაგზავნა, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. მალე შედეგიც დადგა, ქართველები გადაიყვანეს გლეხებთან სამუშაოდ. ეს გადარჩენას უდრიდა

მამას შემდგომში არაერთხელ ჰქონდა მცდელობა, მადლობა შეეთვალა გრიგოლ რობაქიძისთვის, ვერ მოახერხა. მას შემდეგ, რაც მე და ჩემი და დედები გავხდით, ოქტომბრის თვეში (წიფობას) ყოველწლიურად დავდივართ სვეტიცხოველში, სანთელს ვუნთებთ „პაწა სალოცავთან“, მადლობას ვწირავთ დიდი მწერლის, საამაყო მამულიშვილის სულს, ამით მამაჩემის ანდერძსაც ვასრულებთ.

მამა მიამაგრეს სოფელ ჰიუდეში, ჰაინრიხ ლიუნინგის ოჯახში დამხმარედ. ქალაქში გაზრდილი იყო, სოფელს ზაფხულობით თუ ნახავდა ბებიასთან. ჰაინრიხის ოჯახი კეთილად შეხვდა. მამამ გერმანული იცოდა, არცთუ ურიგოდ, ასწავლეს: ხვნა-თესვა, თიბვა, პირუტყვის მოვლა. ეხუმრობდნენ, დიპლომიანი გლეხი გახდიო. მამა გვიამბობდა, როგორ მუშაობდა გათენებიდან დაღამებამდე ოჯახის ყველა წევრი. ჰაინრიხის მეუღლე მარიამ ჰენტენმანი, მისი და ტერეზია და დამხმარე გოგონა კლარა. ერთხელაც ტერეზიას მეუღლე, ავგუსტ დეტერსი, სამხედრო საზღვაო ფლოტის ოფიცერი, შვებულებით ჩამოვიდა, მაშინვე ჩაიცვა სამუშაო ტანსაცმელი და შეუდგა საქმეს. აღმოჩნდა ჭადრაკს თამაშობდა კარგად, შემდეგ დღეებში გადადებდა საქმეს გვერდზე და მამას ჭადრაკს ეთამაშებოდა. წასვლისას დაიბარა, შოთას ტყვეობა შეუმსუბუქეთო. გვიამბობდა, ასევე, როგორ ზრუნავდნენ მასზე. ჰაინრიხმა მამა სტომატოლოგთან წაიყვანა, მან კბილის ამოღება გადაწყვიტა, ჰაინრიხმა სასტიკი უარი თქვა კბილი იქნებ გადავარჩინოთ, უნდა ვუმკურნალოთო და სამი დღე ატარა სხვა სტომატოლოგთან ქალაქ დამეში, გადაარჩინა კიდეც, ექიმმა ფული არ აიღო, ომის მსხვერპლია და უსამართლობა იქნება, გასამრჯელო რომ ავიღოო. ომის მიწურულს, წამოსვლისას, მარიამმა საგზალი გაუმზადა, ეკლესიიდან დაბრუნებულმა უთხრა: დღეს მხოლოდ შენზე ვილოცე, ქვეყანა არეულია, ღმერთს შევევედრე, მშვიდობით დაგაბრუნოს შენს ოჯახშიო და თვალცრემლიანი დაემშვიდობა. ბევრი მოგონება წამოყვა მამას, რომელსაც ნაწილ-ნაწილ გვიამბობდა და, ვფიქრობ, კიდევ დარჩა მოსაყოლი.

მამა იქვე, ომის პერიოდშივე ერთმანეთისგან კარგად არჩევდა, სად იყო გერმანული ფაშიზმი, და სად გერმანელი ერი თავისი დიდი კულტურით, შრომისმოყვარეობითა და სამართლიანობით.

გავიდა წლები... ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა წერილის გაგზავნა შეიძლებოდა, მამამ გააგზა-

ვნა სამადლობელი წერილი სოფელ ჰიუდეში. სამწუხაროდ, ჰაინრიხი, მარია, ტერეზია, კლარა ცოცხალი აღარ იყვნენ, მაგრამ მათმა შვილებმა გადმოცემით იცოდნენ მამას შესახებ, ასევე სოფელში რამდენიმე ადამიანს კარგადაც ახსოვდა, თავისი იუმორით და ჭადრაკის თამაშით.

– მამათქვენმა საქართველოში ლევან გოთუას ხელშენავლები სახარება ჩამოიტანა, სად ინახება ახლა ის სახარება და რას გიამბობდათ ლევანზე, რომელმაც მამას „გმირთა ვარამის კაცი“ უწოდა?

– ქართველი ხალხი კარგად იცნობს დიდებული მწერლის შემოქმედებას, ჩვენი ოჯახი, მამას მონათხრობით, ლევან გოთუას იცნობს ასევე, როგორც დიდ ქართველს, რომლის მთელი ცხოვრება – ყოველი დღე იყო ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის, არა მარტო კალმით. მან სიცოცხლის სამი მეოთხედი ციხეებში გაატარა. მესამედ დაპატიმრების შემდეგ ვორკუტაში ჩაიყვანეს. ლევან გოთუა სულიერად აძლიერებდა იქ მყოფ პოლიტპატიმრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულისთვის იხდიდნენ ხარკს კატორღული შრომით და კატორღული ყოფით. თვითონაც პატიმარი, იბრძოდა მათი პირობების გაუმჯობესებისთვის. ხელმძღვანელობდა საგაფიცვო კომიტეტს იგორ დობროშტანთან ერთად.

1955 წლის მაისში ვორკუტის პატიმარ-მეშახტეთა საყოველთაო გაფიცვამ შედეგი მოიტანა. ლევანი წერს ძმას სანდროს: „რუდენკოსა (სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე) და ჩემმა საუბარმა ორ საათს გასტანა. ვისაუბრეთ საბჭოთა კავშირის არასწორ პოლიტიკაზე პოლიტპატიმრების მიმართ, კერძოდ, უდანაშაულო პოლიტპატიმრებზე, ემიგრანტებზე, ბანაკებში არაადამიანური რეჟიმის არსებობაზე, სისასტიკეზე, ჩეკისტების თვითნებობაზე, უდანაშაულო მსხვერპლზე, დაბოლოს, ისიც დავაყოლე – ურიცხვი გამშრალი, გაშიშვლებული, კახექსიური, დაკნინებული და მეობადაკარგული ადამიანი ისეთივე მძიმე სანახავია, როგორც წალეკილი და გაოხრებული სამყარო. რუდენკო ძალიან ყურადღებით მისმენდა და ყოველი სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე“. („მნათობი“ 9, 1990, გვ. 28).

მამა იგონებდა, მოკლე დროში ტანსაცმელზე კატორღელის ნომრები ჩამოგვხსნეს, თმისა და ულვაშის ტარების ნება დაგვრთეს, კვება გაგვიუმჯობესეს, პატიმრებს, რომლებსაც პატიმრობის ვადა გასული ჰქონდათ, სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს,

თავისუფალ დასახლებაზე გაგვიყვანეს, დაიწყეს საქმეების გადახედვა და პატიმრების თანდათანობით განთავისუფლება.

„ლევანი საქართველოდან არცთუ იშვიათად იღებდა ამანათს. მიღების დღეს ზეიმი ჰქონდათ ქართველებს, იგი მოიწვევდა ყველას უკლებლივ და თავისი ხელით გააწყობდა სუფრას. ცდილობდა, ქართული იერი მიეცა მისთვის. – დღეს მე ვარ მასპინძელიო – იტყოდა და მეტწილად ფეხზე იდგა. მართალია, ისიც კუჭცარიელი იყო, მაგრამ იშვიათად თუ გადასწვდებოდა საჭმელს. სიამოვნებდა, ბიჭები რომ მადიანად შეექცეოდნენ. ამანათიდან მალე აღარაფერი რჩებოდა, გარდა გადანახულისა, რომელიც ღამის ცვლაში მომუშავე მეგობრებისთვის იყო განკუთვნილი“.

იქ მყოფმა ქართველებმა კარგად იცოდნენ ლევან გოთუას ფასი. თურმე ჩექმა გასცვეთია, მისი ზომა ვერ უშოვიათ, არადა გარეთ თოვლში უწევდა მუშაობა. ამ დროს რამდენიმე მეშახტისთვის „ვალინკები“ მიუციათ. მიშა რუხაძეს საგანგებოდ აუღია ლევანის ზომის ჩექმა და მიუტანია მისთვის.

მამასთან, მერვე მაღაროს ბანაკში, 1950 წელს გაჩნდა პირველი და ერთადერთი წიგნი, ლევანის შემოგზავნილი ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897,936 და 973 წ. წ.) გამოცემული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1945 წელს. წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, ქართველები იწერდნენ მათთვის სასურველ ადგილებს. „ქართულმა ოთხთავმა მოიარა ვორკუტის უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებული მკაცრი რეჟიმის ბანაკები“.

ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ქართველები თანდათან ბრუნდებოდნენ სამშობლოში, წიგნი კვლავ მოხვდა მამასთან, ზურაბ მიქელაძემ გადასცა. იგი ინახებოდა ჩვენს ოჯახში, მამა დიდი რუდუნებით გადმოიღებდა ხოლმე, პირველ გვერდზე რეჩლაგის ბეჭედი ჰქონდა წარწერით: „**ПРОВЕРЕНО**“, მეორე გვერდზე ლევან გოთუას ხელწერა, და წარწერა – „მემკვიდრეობით ჩემს ვორკუტელ ძმას შოთას. ზურაბ. 9. 1. 56“. წიგნის ყველა ფურცელი გაყვითლებული, კუთხეებში გაცრეცილი და მთლიანად დალაქული იყო.

მამამ გადაწყვიტა, წიგნი დაბრუნებოდა მის პირველ მფლობელს და გადასცა ლევან გოთუას სახლ-მუზეუმს.

– „ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები“ – ასე ჰქვია შოთა შავგულიძის ახალ წიგნს, რომელიც იმ ეკლიან გზაზე მოგვითხრობს, რაც მან გაიარა საპატიმროებში როგორ წერდა მამა ამ წიგნს?

– მოგონებები „ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები“, 90-ანი წლების დასაწყისიდან იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნალებში: „ცისკარი“, „მნათობი“. 90-იანი წლების ბოლოს კი ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა უშიშროების გაზეთში „სრულიად საიდუმლოდ“ მოგონებები სრულად გამოაქვეყნა. ამით, ერთის მხრივ, „ცენზურა“ გაატარა, მეორეს მხრივ, უშიშროების სამსახურმა თავის ბოროტება თვითონვე

შოთა შავგულიძის ოჯახი – მეუღლე მიმი ციცქიშვილი, შვილები – ქეთევანი, თამარი, ცოლისდა მერი

ამხილა. ასე მოიხადა ქედი ბატონმა ჯუმბერმა ვორკუტელი პოლიტპატიმრების წინაშე, რომელთა დიდ ნაწილს მშობლიური მიწაც არ ეღირსა.

მამას წიგნის ელვერსია შეგიძლიათ იხილოთ ელექტრონული ბიბლიოთეკის საიტზე: saba.com.ge, უფასოდ.

წლების მანძილზე, როდესაც ჩაეკითხებოდნენ განვლილი ცხოვრების შესახებ,მამა მოკლედ ამბობდა:

„ყურძენს საწნახელში დაწურავენ, ჭაჭას წნეხში გაატარებენ. ამის შემდეგაც კი შეიძლება ყურძნის ერთი მარცვალი სადღაც სასწაულებრივად გადარჩეს. აი, ასეთ პირობებში შევინარჩუნე სიცოცხლე.“

ასევე, სასწაულებრივად გადარჩენილი „ვორკუტელი მეგობრები“ ხშირად იკრიბებოდნენ დავით კვიტაიშვილთან,პეროვსკაიას 13-ში. გადიოდა წლები, ბოლოს თითო-ოროლაღა დარჩა, და მამამ დაიწყო თხრობა მათ შესახებ. ბატონმა ემზარ კვიტაიშვილმა სთხოვა, გადაეტანა ფურცელზე. და, მამამ ამოიღო კარგად შენახული, თითქმის გადამალული, ძველი დღიურები. ჩანაწერები, წერილები ვორკუტიდან და დაიწყო წერა იმ სისასტიკეზე, რომელიც მძინვარებდა „გულაგის“ მკაცრი რეჟიმის ბანაკებში, კატორღელთა მაღაროებში.

არ იყო მარტივი წერის პროცესი,მოგონებებს თან ახლდა განცდები. თითქოს უბრუნდებოდა კატორღულ ცხოვრებას. შახტაში, დასიებული მუხლებით, შიმშილისა და შრომისგან ქანცგაწყვეტილი, თავისი მეგობრის უბედურებას ხედავდა და წერდა. ემოცია იმდენად ძლიერი იყო,ზოგჯერ სიზმარშიც გრძელდებოდა „ვორკუტა“.

ხშირად ამბობდა, იმ დიდ უბედურებაში იყო ბედნიერებაც, ასეთ დიდებულ ადამიანებს რომ შევხვდი და მათთან ერთად ვზიდე მამულიშვილობის უღელიო.

ლევან გოთუა და დავით კვიტაიშვილი გამორჩეული იყვნენ პატიმართა შორის. ისინი დანარჩენ პატიმრებს ამხნევებდნენ სულიერად და ფიზიკურადაც პატრონობდნენ. ბატონი დავითის ისედაც მადლიან პროფესიას, მისი პიროვნული მადლიც ემატებოდა, არაერთი პატიმარი, თვით სუკ-ის თანამშრომლის ოჯახის წევრიც არაერთხელ გადაურჩენია სიკვდილს. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ამ ავტორიტეტს ისევ ქართველი პატიმრების მდგომარეობის შესამსუბუქებლად იყენებდა.

ასევე, აქ იყვნენ „ხალხის მტრებად“ შერაცხული, „სამშობლოს ღალატის“ მუხლით ბრალდებული დიდი ქართველები: ზურაბ მიქელაძე, რეზო ტყავაძე, შალვა ბალარჯიშვილი, სერგო ლორთქიფანიძე, ალექსანდრე მაღლაკელიძე, მიშა რუხაძე, რომან ბლიაძე, ვალიკო ხუჭუა, მიტო მამულაიშვილი, დავით ვოლსკი, კოლია მეტრეველი, ნიკო მღებრიშვილი, ვასო შევარდნაძე, ილია ბოჭორიშვილი, გოგი ჭიაბრიშვილი, ბენო ხაჟალია, შალვა ჩხეიძე, ლეო თევდორაძე, ვარდენ ჟღენტი, შამილ გუჯეჯიანი, ვალიკო გაბუნია, იოსებ ქავთარაძე, ვიქტორ ჯღარკავა, დავით გაჩავა, კოლია კალაძე.

ეს ადამიანები, ყველანი უკლებლივ „გმირთა ვარამის“ კაცები იყვნენ.

– ოჯახი...

– ამჟამად ერთ პატარა სამედიცინო ცენტრში ვმუშაობ. მეუღლე – ნუგზარ ლომაძე პროფესიით მათემატიკოსია, შვილები: ალექსანდრე – 29 წლის, პროგრამისტი, მუშაობს „თი-ბი-სი ბანკში“, ასევე არის ლექტორი თავისუფალ უნივერსიტეტში.

26 წლის მარიამმა დაამთავრა ბიზნეს ადმინისტრირება, მუშაობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. მისი მეუღლე, ფარნაოზ ხონელიძე პროფესიით მარკეტოლოგია.

ჩემი და, ქეთევანი და მისი მეუღლე მერაბ სვანაძე მათემატიკოსები არიან. ჰყავთ სამი შვილი: მაია მათემატიკოსია, მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტში ლექტორად. ლიკა პროგრამისტია. გიორგი – სტუდენტი ასევე მათემატიკის ფაკულტეტის.

– სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. კითხულობდა პედაგოგიკაში ლექციებს...

– მამა სიცოცხლის ბოლომდე ჰყავდა უერთგულესი მეგობრები უნივერსიტეტში სტუდენტობის წლებიდან. მისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი არა მარტო განათლების კერა იყო, ასევე განსაზღვრავდა ქართველი ერის ცნობიერებას. მისი დიდი სურვილი იყო, ცხოვრება უნივერსიტეტთან დაეკავშირებინა. მაგრამ ვერ მოახერხა, როგორც თვითონ ამბობს: 43 წლის ასაკში შევძელი დაბურდული ცხოვრების ლაბირინთიდან გამოსვლაო.

სურვილი უფროსმა ქალიშვილმა აუსრულა. დღეს ქეთევანი, მისი მეუღლე და ორი ქალიშვილი მამას საყვარელი უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები არიან.

რეაბილიტაციის შემდეგ, როდესაც მიეცა ცხოვრების უფლება მშობლიურ ქუთაისში, დაიწყო მუშაობა სკოლა-ინტერნატში აღმზრდელად და შეუდგა გარდამავალ ასაკში (V – VII კლასებში) ბავშვთა აღზრდის თავისებურების შესწავლას. 17 წელიწადი აკვირდებოდა მათ ქცევებს და სწავლობდა, მუშაობდა „რთულ" ბავშვებთან. რეგულარულად აქვეყნებდა სტატიებს ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება". წარმატებით დაიცვა დისერტაცია თბილისში. მოსკოვში დისერტაცია გააჩერეს და მამა დაიბარეს. ჩავიდა მზად სამეცნიერო დისკუსიისთვის. სამეცნიერო საბჭოს ნაცვლად დახვდა უშიშროება, მათ ერთხელ კიდევ „გადაამოწმეს", კითხვები იყო პირად საკითხებზე (მამას რეაბილიტაცია მისცეს 1960 წელს, მისცეს ერთბაშად, ერთი ყუთი მედლები, რაც ომის შემდეგ ვეტერანებს დაურიგდათ, პატიმრობის წლები „გადაუკეთეს" პედაგოგიურ სტაჟად).

სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. კითხულობდა პედაგოგიკაში ლექციებს. ასევე, ხელმძღვანელობდა საქართველოში რეპრესირებულთა საზოგადოებაში „მემორიალი" დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ განყოფილებას. ეხმარებოდა რეპრესირებულებს, უგროვებდა და უწესრიგებდა საბუთებს რეაბილიტაციისთვის, პენსიის დასანიშნად.

– გვიამბეთ თქვენს ცხოვრებაზე, ექიმ-კარდიოლოგ თამარ შავგულიძის გზაზე...

– მშობლებმა გადაწყვიტეს, ექიმის პროფესია ამერჩია. მე უფრო მინდოდა, იმ კონკურსში გავსულიყავი, ჩემს დროს სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად რომ იმართებოდა. არჩევანი მეტწილად მამას მეგობრის, ჭეშმარიტი ექიმის დავით კვიტაიშვილის პიროვნებამ განაპირობა. მამა თავისუფალ ზონაში დავით კვიტაიშვილთან ერთად ცხოვრობდა თითქმის ერთი წელიწადი. თან დაჰყვებოდა, ღამის საათებში როცა ავადმყოფთან მიჰყავდათ. მონაწილე იყო იმ განცდების, რაც ექიმს პაციენტის კარგად ყოფნით ეუფლება.

დღეს დიდი მადლობელი ვარ ამ გადაწყვეტილების.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი ქუთაისში და მუშაობა დავიწყე ავტოქარხნის საავადმყოფოში. იქ სამი წელიწადი ვიმუშავე ექიმ თერაპევტად. 80-იან წლებში საბედნიეროდ მედიცინა უფასო იყო, მაგრამ პაციენტებმა მადლიერების ნიშნად იცოდნენ საჩუქრის მოტანა. მიუხედავად ჩემგან კატეგორიული წინააღმდეგობისა, შექმნილა უხერხული სიტუაცია და სუნამო ამიღია, ყოფილა შემთხვევა, სუნამოს ყუთში თანხაც აღმომიჩენია. ამ დროს მამა სუფრაზე მეგობრებში, თუ სამეზობლო-სანათესაოში აცხადებს, ჩემი შვილი თუ ავადმყოფს დასჭირდება, წამალსაც მიუტანს, არათუ გასამრჯელოს აიღებსო. ერთ დღეს ვუთხარი, გთხოვ, მაინცდამაინც სადღეგრძელოში ნუ იტყვი, რომ გასამრჯელო არ ამიღია-მეთქი და დავიწყე ჩამოთვლა. მამამ შემაჩერა – მე არ მითხრაო.

27 წლის ასაკში შევქმენი ოჯახი, რის გამოც მომიწია საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლა. დავიწყე მუშაობა კარდიოლოგად, ბოლო წლებში შევითავსე საოჯახო მედიცინა, დღეს ჩემთან შემოსული პაციენტი თანხა არ ეძებს გადასახდელად.

მამას თხოვნა – „მე არ მითხრა", რომელიც მუდმივად მესმოდა, ჩემთვის ჰიპოკრატეს ფიცზე მეტია და მადლობელი ვარ ამისთვისაც.

– დედა 92 წლისაა, ცხოვრობს ქუთაისში. როგორც მითხარით, აქტიურია აქტიურია იგი, როგორც მოქალაქე, დედა, ბებია... ალბათ ძნელი იქნებოდა, მეუღლის გარეშე ოჯახის გაძღოლა მისთვის...

– ბატონი ემზარ კვიტაიშვილი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „კაცურ კაცს შოთა შავგულიძეს ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი თავისი ფეხით აქვს გავლილი, რათა მერე ღვთის შეწევნით, ისევ ათასფრად აბრიალებული სამზეო მოეხილა"...

სწორედ რომ მამას ცხოვრება მთელი სისავსით შეეგრძნო, ამაში დაეხმარა დედა. იგი მათემატიკის მასწავლებელი იყო. ჩვენს ოჯახში სისტემატურად მოდიოდნენ სკოლის მოსწავლეები, მეზობლები და არამეზობლები დასახმარებლად მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში.

მოდიოდნენ ქართულ ლიტერატურაში „თემების" დასაწერად. ეს საქმე დედას ეკუთვნოდა. მას უყვარს ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია. 92 წლის ასაკშიც ახალ ლექსებს იმახსოვრებს, მისი ასაკის და ცხოვრების შესატყვისს. ახლაც ეხმარება მეზობლის მე-10 კლასელ მოსწავლეს მათემატიკაში სკოლის პროგრამის დაძლევაში. მე და ჩემი და დღესაც, ნებისმიერ საკითხის გადაწყვეტისას, დედას აზრს ვეკითხებით. ათი წლის წინ მეზობლების სურვილით. ქუჩას შოთა შავგულიძის სახელი მიენიჭა. მეზობლებმა ასე გამოხატეს პატივისცემა ჩვენი ოჯახისადმი, ჩემი მშობლებისადმი.

თამარ შაიშმელაშვილი

ნერილები

მაჩინა ნონიტაშვილი



დავით შემოქმედელის მოთხრობები

წლების განმავლობაში გახლდით დავით შემოქმედელის რამდენიმე წიგნის რედაქტორი. მოგეხსენებათ, იყო მკითხველი, ბედნიერებაა, რადგან როგორც ამას გურამ დოჩანაშვილის ერთი არაორდინარული, ყველასათვის კარგად ცნობილი პერსონაჟი აცხადებს, იყო მკითხველი, ნიშნავს იწვე საძილე ტომარაში შეყვარებულებთან ერთად და სრულიადაც არ გრძნობდე მათთან თავს ზედმეტად. იყო რედაქტორი, ვფიქრობ, არანაკლები, მე ვიტყოდი, თუ მეტი არა, ბედნიერებაა, რადგან ამ დროს გეძლევა სრულიად ლეგიტიმური უფლებამოსილება, რაც შეიძლება ღრმად ჩაიხედო მწერლის შემოქმედებით სამყაროში, მაქსიმალურად დაიკმაყოფილო მკითხველურ-პროფესიული ცნობისმოყვარეობა, გამადიდებელი შუშით დააკვირდე პოეტურ ხატებს, სახე-სიმბოლოებს, პერსონაჟებს (ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს...) და სრულიადაც არ უქმნიდე ამით დისკომფორტს თავად შემოქმედს, ან გეგონოს, რომ სწორედ ასეა და არა – სხვაგვარად, რადგან რედაქტორის ლეგიტიმური უფლებამოსილება უშვებს ამგვარი ილუზიის არსებობას.

ვინც დავით შემოქმედელის შემოქმედებას იცნობს, უყვარს და აფასებს, მათთვის სასიამოვნო აღმოჩენა იქნება, ალბათ, რომ პოეტი საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობს პროზაულ ჟანრშიც, ჩვენი წერილის საგანი მწერლის ბოლო წიგნია, სათაურით –„ორმოში“, რომელიც მოიცავს სულ 15 მოთხრობას, რომელთაგან ზოგი უფრო ნოველისათვის დამახასიათებელი ჟანრობრივი თავისებურებითა და მოულოდნელი ფინალით გამოირჩევა. ცალკეული მოთხრობები პერიოდულად იბეჭდებოდა ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში („მნათობი“ „ჭოროხი“, „მწერლის გაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვა), წიგნად გამოცემის შემდეგ კი ითარგმნა რუსულ და სომხურ ენებზე და რუსი, სომეხი და უკრაინელი მკითხველის აღიარება და სიყვარულიც მოიპოვა. რუსული თარგმანი ვლადიმერ სარიშვილს ეკუთვნის, ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს, სომხური თარგმანის ავტორი კი სომხურ ლიტერატურულ წრეში ცნობილი მთარგმნელი მაყვალა გეურქოვა გახლავთ, რომელსაც ნათარგმნი აქვს ქართველი კლასიკოსები: ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე. და მაინც... შემოქმედელს ჩვენში უფრო პოეტად იცნობენ, ვიდრე – პროზაიკოსად. საინტერესო რამაა იმიჯი. რაკი ერთხელ შეიქმნება პიროვნების ირგვლივ, თავისებურ ჩარჩოებში აქცევს მის მიმართ საზოგადოებას. ასეა ეს ხელოვანის შემთხვევაშიც. თითქოს მაგიური ძალით მასზეც მოქმედებს, თითქოს რაღაც ნიში მოიძებნა, იქ იგრძნო თავი უკეთ. მაგრამ ამ ნიშის იქითაც არის სასიცოცხლო სივრცე, რომელიც თავისკენ იხმობს და იზიდავს ხელოვანს. და ისიც მიჰყვება შინაგან ხმას, რადგან ხვდება, რომ ლირიკის, რითმისა და რიტმის იქითაც ჰქონია სათქმელი მკითხველისათვის. წინამდებარე წიგნი სწორედ მწერლის ამგვარი შემოქმედებითი ღვწისა და ძიების შედეგია, საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერიც.

ვინ არიან დავით შემოქმედელის მოთხრობათა პერსონაჟები? ისინი ჩვენ გვერდით მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთათვისაც მთავარი არჩევანია, არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას, სიყვარულსა და სიძულვილს, თავისუფლებასა და მონობას, სინათლესა და სიბნელეს შორის. მათი შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების, დრამატული კოლიზიების ფონზე კი ის მარადიული ფასეულობები იკვეთება, რომლებიც განსაზღვრავდა და, იმედი გვაქვს, განსაზღვრავს მომავალშიც კაცობრიობის ბედს, განვითარების გზასა და ისტორიას; განსაზღვრავს მანამ, სანამ იარსებებს ჰუმანიტარული მეცნიერებანი, სანამ იარსებებს ხელოვნება, განსაკუთრებით მწერლობა. ეს უკანასკნელი პოსტმოდერნულ ეპოქაშიც კი, რომლისთვისაც არაფერია უცხო და მიუღებელი, სწორხაზოვანი დიდაქტიკის გარდა, მაინც ინარჩუნებს მთავარ ღერძს – ამოიყვანოს ადამიანი (ძე კაცისა) ცოდვის ლიიდან – ორმოდან (წიგნის სათაური „ორმო“ მწერლის გააზრებით ამქვეყნიური დაცემული ცხოვრების პარადიგმულ სახეს წარმოადგენს) და განწმენდის, სულიერი ხსნის გზა უჩვენოს, ან აძებნინოს მაინც.

თანამედროვე მწერლობა, შეიძლება ითქვას, იქცა დიდაქტიკად დიდაქტიკის გარეშე. აღარც მწერალია მორალისტი, აღარც ნაწარმოები – ერთმნიშვნელოვნად მორალისტური. ოღონდ ეს კია, თანამედროვე მწერლობა უფრო მოწიფულ, გამოცდილ, დაკვირვებულ მკითხველს საჭიროებს, რომელსაც მით მეტი ფიქრისა და განსჯის საბაბი ეძლევა, რაც უფრო მეტ განვლილ გზს მოიტოვებს კაცო-

ბრიობა წარსულში. დავით შემოქმედელი მკითხველს საზოგადოებასთან, გარემომცველ სამყაროსთან ადამიანის მიმართების იგავურ-ალეგორიულ მოდელებს სთავზობს, რომელთაც მრავალგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მოეძებნოს. იგავურ-ალეგორიულია: „ჩიტისა და მგლის ამბავი", „ორმოში", „არიმანის ქვეყანა", ნაწილობრივ „ბაქურა" და „ცოდვის ტირილი".

შევეცდები, რამდენიმე მოსაზრება გაგიზიაროთ ზოგიერთი მათგანის შესახებ. იგავი იგავში – შეიძლება ასეც ვუწოდოთ „ჩიტისა და მგლის ამბავს", რომელიც უცნაურად გარდაცვლილი გურამ სანთებლიძის ერთადერთი თუ უკანასკნელი ნაწარმოები აღმოჩნდა. ის ფაქტი, რომ გურამ სანთებლიძეს გულის არეში ადამიანის ნაკბილარები ეტყობოდა, მთელი ქალაქის მითქმა-მოთქმისა და შფოთვის საგანი გახდა. ქალაქი აპოკალიფსური ჟამის ჯოჯოხეთს დაემსგავსა. „უზარმაზარ კოცონზე მოთუხთუხე ქვაბს ჰგავდა, შიგ ჩაყრილი ადამიანები... უსიტყვოდ იხარშებოდნენ". მიცვალებული კი ისე იწვა, „თითქოსდა, კი არ მომკვდარიყო, არამედ ადამიანებს გაჰქცეოდა და მათზე გულნატკენს გადაეწყვიტა, სამუდამოდ დადუმებულიყო".

ვინ შეუჭამა გული გურამ სანთებლიძეს? ამ კითხვაზე პასუხს „ჩიტისა და მგლის იგავში" ვპოულობთ. ჩიტისა და მგლის იგავი კი არის ისტორია ქალისა, რომელიც თავისივე მცდარი არჩევნის მსხვერპლი შეიქნა. ქალს უსაზღვროდ უყვარდა ცისფერთვალა ჩიტი, რომელთანაც არამიწიერ ნეტარებას განიცდიდა, მაგრამ მიწაზე რომ დაეშვა, აღმოჩნდა, რომ მის ირგვლივ ქალები მხოლოდ მგლებზე იყვნენ გამიჯნურებულნი. მგლის ფიზიკური და ცხოვრებისეული შესაძლებლობებით მოხიბლული ქალი ჩიტს სისუსტეს უწუნებს, აიძულებს, მგლად იქცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან ურთიერთობის გაგრძელებას შეუძლებლად მიიჩნევს. ასე იცვლება ზეცა მიწით, ფაქიზი და ღვთაებრივი სიყვარული – უხეში ვნებით. მგლის ალერსით გულდაკორტნილი ქალი მხოლოდ სიკვდილის პირას მყოფი აცნობიერებს თავის შეცდომას.

საკუთარი არჩევნით – პატიოსანი, მაგრამ, პასიური ცხოვრების წესით, საზოგადოების ძალადობის მსხვერპლია გურამ სანთებლიძეც. საზოგადოდ, არსებობს მსხვერპლისა და მოძალადის ორგვარი სქემა: ან პიროვნებაა მოძალადე და მსხვერპლი – საზოგადოება, ან პირიქით, საზოგადოება მოძალადე და მსხვერპლი – პიროვნება. ამ შემთხვევაში საზოგადოებაა მოძალადე პიროვნებისათვის. მსხვერპლისა და მოძალადის პრობლემა კი არამარტო ქართული, არამედ ზოგადად კაცობრიობის პრობლემაა დასაბამიდან დღემდე. ამიტომ ეს არ კეტავს ნაწარმოებს ვიწრო ჩარჩოებში და განზოგადოების საშუალებას აძლევს. თუმცა აქ ვერ ვხედავთ საზოგადოებრივი მორალის დიქტატურის ისეთ მძაფრ, პირდაპირ, უშუალო ზემოქმედებას, როგორც ეს ვაჟა-ფშაველას პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტშია წარმოჩენილი, სადაც საზოგადოებას მისი რჩეული უპირისპირდება არა როგორც მტერი, სიძულვილით ან განსხვავებულობის ამბიციით, არამედ, როგორც მოყვასი, რომელიც შემეცნების სხვა სიმაღლეზე ავიდა, სხვა სულიერ სივრცეს, სიმაღლეს ეზიარა და რომელსაც სურს, ამ თვალსაწიერიდან დაანახვოს ცხოვრების მიღმა მხარეები თავის თანამოძმეთ. აქ კი მწერლის მიზანი მსხვერპლადქცეული პასიური საზოგადოების პრობლემაა, მისი ასახვაა.

ქალიც, ჩიტიც, გურამ სანთებლიძეცა და შემოქმედელის სხვა პერსონაჟებიც საზოგადოების ჩვეულებრივი, რიგითი წევრები არიან. მისდევენ ცხოვრების დინებას, იღებენ ისეთსავე გადაწყვეტილებას, როგორსაც სხვა დანარჩენი უმრავლესობა. ცდილობენ, ერთმანეთს დაემსგავსონ, არ იყონ მათგან გამორჩეულნი, საკუთარი განსაკუთრებულობა ეჩოთირებათ, ვერ აცნობიერებენ, რომ სწორედ ინდივიდუალიზმშია ბედნიერება, თვითონვე კლავენ საკუთარ სულში იმას, რაც ლამაზი და სათუთია. გურამ სანთებლიძეც იმ საზოგადოების წევრია, სადაც ყველაფერი თავდაყირაა, ზნეობრივი ორიენტირები ყალბია და მორღვეული. ცრუბედნიერების მაძიებელნი კი ნამდვილს თავისივე ნებითა და არჩევნით კარგავენ. სწორედ ეს სულისშემხუთავი ატმოსფერო ხდება გურამ სანთებლიძის უცნაური სიკვდილის მიზეზი. ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურის გმირს გული ნოსტალგიამ დაუფერფლა, აქ კი სანთებლიძის გულს საზოგადოების მერკანტილიზმი, უგულობა, არაადამიანურობა, ამ ყოველივეს მიმართ უხმო პროტესტი ანადგურებს.

მტკივნეული არჩევნის თემას ეხება მოთხრობა „ბაქურა". მძიმე დარტყმა აგემა წუთისოფელმა ბაბუა სამსონს. ერთად გამოაცალა ორივე – შვილიცა და რძალიც, მათი კუბოები და პატარა დაობლებული ბიჭი შეაჩეჩა ხელთ. იმ დღიდან მხოლოდ მერაბის აღზრდა გახდა მოხუცის სიცოცხლის ერთადერთი მიზანი. მაგრამ ერთ დღეს თავად ბაბუა იქცა მერაბისთვის დაუნდობელი ცხოვრების სახედ, ბაბუას თოფი კი იარაღად, რომელიც საყვარელი არსების მსხვერპლად გაწირვას მოითხოვს. უარი თქვა მასზე, ვინც სიცოცხლეს გირჩევნია, სხვა ძლიერ ვნებას ანაცვალო, ასეთი მძიმე გზაგასაყარებიც არსებობს ცხოვრებაში. „ბიჭი მუდამ ოცნებობდა, რომ ბაბუას თოფის ხმით გაეყრუებინა მთელი სოფელი" (ბაბუა საუკეთესო მონადირედ ითვლებოდა სოფელში, ბაქურას კი ბადალი არ ჰყავდა მეძებრებში). თოფის გასროლის ჟინით კი ბიჭი მუდმივად იყო ატანილი. ბაბუა კი ამის ნებას არ რთავდა. ამასთან, ბიჭს გაგიჟებით, საკუთარ თავზე მეტადაც კი უყვარდა ბაქურა. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ სახელი ბაქურა საყვარელ ძაღლს ნიშნავს.

სიუჟეტი კი ასე ვითარდება. ძაღლი მეზობლის ქათამს შეჭამს და გაბრაზებული მეზობელი ჭიშკარს მოადგება. ბაბუა ერთის მხრივ გრძნობს თანადგომასა

და პასუხისმგებლობას მეორე ადამიანის მიმართ, ამასთან შეიცნო, რომ ძაღლმა ამ წუთიდან თავისი არსი, დაცვის ფუნქცია დაკარგა, მტაცებლად იქცა, ამ დროს იგი, ბაბუა მკაცრი ბიბლიური დოქტრინის აღმასრულებლად იქცევა (,ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა". მათე. თავი 3.10.), იღებს ძაღლის მოკვლის გადაწყვეტილებას. ბაბუა ცხოვრების მკაცრი კანონისა და წესის სასარგებლოდ დადგა, ახლა ის, როგორც არამარტო პერსონაჟი, არამედ სიმბოლური სახე ცხოვრებისა შვილიშვილს აძლევს არჩევანის უფლებას. მაგრამ თითქოს ეს არც არჩევანია და სადღაც არჩევანსა და იძულებას შორის დგას. მწერალი ექსპრესიულად აღწერს ჟინს ატანილი, ცდუნების წინაშე მდგომი ბიჭის სულიერ თრთოლას, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების სირთულეს, მისგან გამოწვეულ შედეგს: ,,შავი ლულა მზის სხივებზე ელავდა. ბიჭს თოფი უსაშველოდ მძიმე ეჩვენა. კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ერთიანად ცახცახებდა. საკუთარი გულის ხმა ესმოდა. ძალა მოიკრიბა. ბაბუას ხმა თითქოს ძარღვებში გაყინულ სისხლივით შედედდა. ბიჭი მუდამ ოცნებობდა, რომ როგორმე ბაბუას თოფის ხმით გაეყრუებინა სოფელი. ბეჭები ეზრდებოდა, თხელი სიფრიფანა მკლავები უმსხვილდებოდა. და სწორედ ახლა, ამ წამს ეძლეოდა საშუალება ნატვრის ასრულებისა, როცა სამიზნედ მის წინ ბაქურა იდგა. ცდუნება გასროლისა იმდენად დიდი იყო, ბიჭი უჩვეულო ჟინმა აიტანა. გაუბედავად თითი სასხლეტს შეახო და... გარინდებული სივრცე თოფის ხმამ შეძრა. ბაქურა თეთრი ღრუბლის ქულასავით ეგდო ჭის ახლო".

ესროლე! – ხშირად უბრძანებს ცხოვრება ადამიანს. ამ განსაცდელისათვის არამცთუ ბავშვი, ბევრჯერ დიდებიც უმწიფარნი აღმოჩნდებიან ხოლმე. მძიმე ჯვარი აჰკიდა ბაბუამ მერაბს. შუა ხანს მიწეული მამაკაცი, რომელმაც კარგ ხანს დაყო უცხოეთში, წარსულში ბრუნდება. სადა, მაგრამ სულისშმძვრელია უკანასკნელი ფრაზა: ,,კაცი გადაჭრილი ხის მორზე იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო და ტიროდა". გადაჭრილი ხე თითქოს ადამიანურობის გადაჭრილი ფესვებია, წარსული კი იმისთვის ცოცხლდება, რომ ცრემლითა და ტკივილით განიწმინდოს, აღდგეს დარღვეული პიროვნული მთლიანობა, პირვანდელი ხატი და სიყვარულის მოკლული იდეა.

დაძაბული სიუჟეტითა და სიმძაფრით გამოირჩევა მოთხრობა ,,ორმოში". ,,ორმოს" პერსონაჟები სიყრმის მეგობრები, განსხვავებული ბუნებისა და ტემპერამენტის ახალგაზრდები არიან. თამაზსა და ნარიმანს პროკლამაციების გავრცელებისათვის აპატიმრებენ. ტუსაღებს ციხეში არაადამიანურად ეპყრობიან. ფიზიკური გადარჩენა მხოლოდ უპირობო მორჩილებით იყო შესაძლებელი.

მოთხრობაში ციხე სიმბოლურად დიქტატორული სახელმწიფოს მინი სქემაა. ციხის უფროსის მზაკვრულ ჩანაფიქრს საზღვარი არ აქვს. იგი ჯერ ნარიმანის სულიერ გატეხას განიზრახავს, უბრძანებს, ამოთხრილ ორმოში ჩადგეს, თამაზს კი მეგობრის ცოცხლად დამარხვას ავალებს. თამაზი, რომელიც ბუნებით ბედისადმი შემგუებლობით გამოირჩეოდა, ინარჩუნებს ადამიანურ ღირსებას და უშიშრად აცხადებს უარს ბრძანების შესრულებაზე. ციხის უფროსის სამიზნეც ამიერიდან უფრო ძლიერი პიროვნება – თამაზი ხდება. ნარიმანის ადგილს ორმოში ახლა თამაზი იჭერს, ნარიმანი კი მისი მესაფლავე უნდა გახდეს. ცოცხლად გადარჩენილი ნარიმანი ლაქიის სისწრაფით იწყებს მიწის წაყრას მეგობრისათვის. ნარიმანი სუსტი რგოლი აღმოჩნდა. არამზადა. სიცოცხლეს არ იმსახურებს. ციხის უფროსი საბოლოოდ გადაწყვეტს ნარიმანის დასჯას. მაგრამ სასიკვდილო განაჩენი ამჯერად თამაზის ხელით უნდა გამოუტანოს. ნარიმანის ლუღლუღსა და ხროტინს მიწის ბელტები ახშობენ. სადისტური ექსპერიმენტი – იერიში ადამიანის ფსიქიკაზე – წარმატებით სრულდება. ჯალათმა შეძლო დაენგრია ორივეში ადამიანური სხივი (ხატი). შემზარავია ფინალი, სადაც ვხედავთ, როგორ ასამარებს კაცი ადამიანურობას საკუთარ არსში. ციხის უფროსი განსხეულებული ეშმაა, აღზევებული სატანური ძალა, რომელსაც ყველა ამქვეყნიურ ბოროტებაზე მიუწვდება ხელი.

კადრი კადრს დინამიკურად ენაცვლება. არჩევნის ზღვარზე მყოფი ადამიანები საბოლოოდ ეშმას ემონებიან. თამაზი გადარჩა, მაგრამ სულიერი სიკვდილისგან ხსნის გზა, რაც სინდისის ქენჯნისა და სინანულის გარეშე წარმოუდგენელია, არ ჩანს. ორმო, სადაც ადამიანური ღირებულებები იმარხება, დაცემული ცხოვრების პარადიგმული სახეა. მივიღეთ სიმბოლური სახე, ალუზიური მდგომარეობა, დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოდელისა, საკუთარი ცხოველური გადარჩენის პრინციპით, მორალური პრინციპების უგულელყოფით, ერთმანეთის განადგურებას ვცდილობთ, ამ დროს მესამე ძალა, ყოველივე ამის რეჟისორი კმაყოფილია.

და ბოლოს, შევეხები მოთხრობას, რომელიც გამაოგნებელ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ეს არის ,,ცოდვის ტირილი", საოცარი დინამიკითა და ექსპრესიულობით დაწერილი ნაწარმოები, რომელიც მხატვრული დამაჯერებლობით გადმოსცემს თავზარდამცემ სინამდვილეს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იქცეს ძალაუფლებისა და თავისუფლების სიყვარული (უკიდურესად პოლარიზებული ეს გრძნობები) ერთნაირად სახიფათო და ფატალური საზოგადოებისთვის. როგორ შეიძლება იქცეს კოლექტიური გონი კოლექტიურ უგუნურობად, მსხვერპლი – ჯალათად და ჯალათი – მსხვერპლად, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი კი – უპასუხისმგებლო ბრბოდ.

ერთი ცნობილი საგვარეულო, რომელიც დიდი

გავლენით სარგებლობდა სვანეთში, გადაწყვეტს, ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში და თავი მთის ბატონ-ბატრონად გამოაცხადოს. საიდუმლო შეკრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ფარულად აცნობებენ ზემო სოფლებში მცხოვრებ გვარლიანებს, დათქმულ დროს კი სახალხო ყრილობაზე იწვევენ ბეჩოს მკვიდრთ და მათგან დამორჩილებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალისმიერი გზით აპირებენ ანგარიშსწორებას. „თავისუფალი მთიელი ხელებზე ბორკილს, პირზე კლიტეს, ფეხებზე ხუნდებს არ დაიდებს“ (დავით შემოქმედელი), არც სხვას მისცემს ამის უფლებას,თავისუფლებისათვის სიკვდილს ამჯობინებს მონობაში ყოფნას. როგორც ყაზბეგის მოხევეები ვერ ეგუებიან თავისუფლების გარეშე ცხოვრებას, ნუგზარ ერისთავის ბატონობის უღელს, ისე მიუღებელია სვანების ერთი თემისათვის მეორის გაბატონების სურვილი. მოძალადენი „ცხო ხალხად“ იქცევიან ერთმანეთისთვის – „გავწყდეთ ხალხო და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!“ ამ სიტყვებს ონისე წარმოთქვამს სამების ეზოში. ჯამლეთ სალიანიც თავისი გვარის სათქმელს ამბობს, დავიხოცებით და თავისუფლებას არ დავთმობთო. ერთი მგზნებრე მოწოდებაც და თავდაცვის ინსტინქტით გაერთიანებული ხალხი ფოლადის ცივ მუშტად შეკრული ეძგერა მოწინააღმდეგეს. „სისხლიან სასაკლაოდ იქცა დილის ცვრით პირდაბანილი ველი. ბროწეულისგულისფრად შეიღება იქაურობა. ომის ღმერთი – არესი ზეიმობდა“... (დავით შემოქმედელი).

ფრაზით, – „თანატოსს ცივი, ყინულის ხელები შემოეხვია მთისთვის და სასიკვდილო სარეცელზე აწვენდა“, — მწერალი მიანიშნებს, რომ ძმათამკვლელი ომის სახით მთის საკრალურ სიწმინდეს განადგურება ელის. შურისძიების შიშითა და სამუდამო მონობისაგან თავდაცვის ბრმა ინსტინქტით მოქმედი სალიანები გადაწყვეტენ, გვარლიანების გვარში არც ერთი მამაკაცი არ დაინდონ, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც. ექსპრესიული დასაწყისი, ცივი და უსუსური მთვარით განათებული ღამე, მათრახივით დაქნეული ბილიკები, მთვარის ნახევარტონები და რუს ჩხრიალი, რომელიც საამურ რაკრაკად კი არ ჩაესმის ყურს,არამედ,მოშლილი ფანდურის შეუწყობელ ბგერებად, იმთავითვე მოვლენების საბედისწერო განვითარებაზე მიანიშნებს მკითხველს. შურისძიების წყურვილით გამხეცებულ ადამიანთა გაუგონარი სისასტიკის მსხვერპლნი ხდებიან ბავშვები.

გვარლიანების უკანასკნელი ნაშიერი თავშესაფრის თხოვნით სწორედ ჯამლეთ სალიანის მეუღლეს მიაკითხავს. ქალი ბავშვს ჩუმად გადამალავს, ხოლო როცა ბრბო მისი სახლის ზღურბლს მიადგება, საკუთარ შვილს ჩაუგდებს ხელთ დასაჯიჯგნად. ბრბომ ისე აღისრულა სურვილი, არც კი იცოდა, ვის მოუსწრაფა სიცოცხლე. გულიზარს თავზარს სცემდა სალიანთა ნამოქმედარი, აძრწუნებდა იმაზე ფიქრი, რომ გვარლიანთა გვარი უძეოდ უნდა გადაგებულიყო. სისასტიკე ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. თავისი ხალხის უმძიმესი ცოდვის გამოსყიდვის გზა ვერა და ვერ გამოენახა, მერე კი მოვლენები თავისთავად წარიმართა... ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვა ისეთი დიდი მსხვერპლგაღებითაც კი,როგორიც დედის მიერ საკუთარი შვილის გაწირვაა, სათუოა – ამაზე მეტყველებს რიტორიკული შეკითხვა, რომელიც ნაწარმოების დასასრულს გაისმის: „ცის დასალიერზე სუსტად მოციაგე მკრთალი მთვარე შეძლებდა კი ცოდვით დამძიმებული მიწის განათებას?!“ ნაჩვენებია ადამიანური ფსიქიკის გრადაციები, რაც წამის უსწრაფესად ცვლის ვითარებას, მსხვერპლს მოძალადედ აქცევს და ჯალათობის მსურველს – მსხვერპლად. სახიფათო ზღვარზე შემდგარი ხალხის მასისათვის შეძახილიც საკმარისია, რომ ცივ, ბეტონის მასად იქცეს და ყველაფერი ერთბაშად წალეკოს, რაც გზად შეხვდება. ეს ბრბოს ინსტინქტია, გონების დაბნელების ჟამი, რომელიც გულის კარს უხშობს ადამიანებს. პიროვნული ნება ეგზალტირებულთა მასაში ითქვიფება და მექანიკურად იწყებს ქმედებას. ბობოქრობს, იზავთება, ბრძანებას ელის, რომ დაუყოვნებლივ აღასრულოს. ყველას ეშმაკის თითო ქვა უპყრია ხელთ. აღარც თანაგრძნობა,აღარც სინდისის ქენჯნა,აღარც საკუთარ ქმედებაში – დაეჭვება. გულიზარმა მხეცად ქცეულ ბრბოს საკუთარი შვილი გადასცა ჩასაქოლად – ეს კი საკუთარი ხალხის უმძიმესი ცოდვის გამოსყიდვის მაცხოვრისეული გზის ალუზიაა.

ისე კი თავისთავად უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ ქალთა ლიტერატურულ გალერეას ჰყავს ორი, დღეიდან, ალბათ უკვე, ორი განსაკუთრებული ასული – კოლხი მედეა და სვანი გულიზარი, რომელთაგან ორივე ქართული სულის ანასხლეტია, მარადქალურის გამოხატულება, ოღონდ განსხვავებული, სხვადასხვა რეგისტრშია თითოელი მათგანის საქციელი, ქმედება აყვანილი და სხვადასხვაგვრი კვალიფიკაცია ეძლევა. ერთ შემთხვევაში ქალი,რომელიც საკუთარ შვილებს მოუსპობს სიცოცხლეს შურისძიების მიზნით და, მეორე შემთხვევაში, ქალი, რომელიც საკუთარ შვილს გაიღებს მსხვერპლად, იმისათვის, რომ გამოისყიდოს საკუთარი ხალხის მიერ ჩადენილი უმძიმესი ცოდვა. გულიზარმა მხეცად ქცეულ ბრბოს საკუთარი შვილი გადასცა ჩასაქოლად – ეს კი თავისი ხალხის უმძიმესი ცოდვის გამოსყიდვის მაცხოვრისეული გზის ალუზია გახლავთ. აი, ეს იყო ის,რაც მე მინდოდა დღეს თქვენთვის დავით შემოქმედელის მოთხრობების შესახებ გამეზიარებინა და, ვფიქრობ, თავად მოთხრობათა გაცნობა-წაკითხვა გაცილებით უფრო მეტ და საინტერესო საფიქრალსა თუ შთაბეჭდილებას აღგიძრავთ და სიამოვნებას მოგანიჭებთ.

ერთი ლექსი

მიხეილ თუმანიშვილი

სულო, ილოცე...

სულო, ილოცე, მარჯვენა ხელმა
არ მიუტანოს მარცხენას ამბად
და არ გაიგოს ქვეყანამ მთელმა
(ესაა ღმერთის წყალობა ალბათ),

რომ მან გაულო მტრედებს გალია
და აღასრულა ფრინველთა ფიქრი,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავთა შიგნით.

სულო, ილოცე, მარჯვენა მხარმა
არ დაიჩივლოს მარცხენა მხართან
და ტკივილი არ უქციოს ხარკად
(ტანჯვა არრაა სიცოცხლის გარდა),

მისი ნაზიდი რომ ღვთის ჯვარია
და თავს ახსენებს ჭრილობა ხშირად,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავთა შინა.

სულო, ილოცე, მარჯვენა თვალმა
ამაოდ არ თქვას მარცხენა თვალთან
და სინანულის არ დასწვას ალმა
საგანსვენებო აღსავლის კართან,

რომ ჰგავს ანკარა ზეცას მთვარიანს
მარადიული განგების მორჩილს,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავთა ბროლში.

სულო, ილოცე, თუკი გახსოვარ,
სასოწარკვეთით არ იგრძნოს გულმა,
გულმა, რომელსაც, ვითარც მაცხოვარს,
ანგელოზები დასდევენ გუნდად,

რომ სამუდამო დღე და ღამეა
იგია მტრების მსახური მუნჯი,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავთა გულში.

სულო, ილოცე, მომფინე ძილი,
ის, ღმერთობამდე კაცს რაც აკლია,
(მის წამებაში ყველას აქვს წვლილი,
მაინც მის გულში ყველას სახლია),

რომ ამაღლების მექცეს მანიად
მე საკუთარი მშვიდობის პიკი,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავებს იქით.

სულო, ილოცე, ვითარც იაკობს
მასიზმრე კიბე ცისკენ აწვდილი,
შენ, ჩემეულო თვალთა ციაგო
სინათლეს მადლის ჯვრიდან მაწვდიდი,

მზით რომ მოსავდა დედა მარიამს
წმინდა ვარსკვლავთა სამეფოს ელჩი,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავთა მტვერში.

სულო, ილოცე, ცის გახსნის ამბავს
თუ მომიტანენ მთაზე მტრედები,
თუ საკმეველი პლანეტას განბანს,
რომ სარკმელიდან ჩანდეს ედემი,

არა ვთქვა: ჩემი ცისკრის ჟამია,
ნასიზმარევი ათასწლის წინათ,
დავიწყებულნი ნეტარ არიან
დაუსაბამო საფლავთა შინა.

სულო, ილოცე, მარტის პეპლებად
აამთოვარე ჩემი სანთელი,
წლები განსაცდელს თუ ემსხვერპლება,
„წმინდა ქაოსში“ გავიფანტები,

ამაოების ჟღერდეს არიად, –
(მე უპასუხო ქვესკნელში ვთვლემდე)
დავიწყებულნი ნეტარ არიან
ამაღლების და აღდგომის შემდეგ.

უცნობი ჰერბერტი

პაპის პრელატი ქს. იანუშ პაშერბი ესაუბრება ***ზბიგნევ ჰერბერტს*** *– „კალმის შოპენს“, განუმეორებელი შემოქმედებითი და მორალური ავტორიტეტის მქონე, ტოლდაუდებელ პოლონელ პოეტს, ესეისტს, დრამატურგს, ცნობილი პოეტური ციკლის „პან კოგოტოს“ შემქმნელს, რადიო პიესის ავტორს;*

ზბიგნევ ჰერბერტი თეთრი არწივის ორდენის რაინდი. განათლებით ეკონომისტი, იურისტი და ფილოსოფოსი, სწავლობდა კრაკოვის ხელოვნების აკადემიაში. ოცი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი. 1960-იანი წლების ბოლოდან ის იყო ლიტერატურული ნობელის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კანდიდატი. მისი წიგნები მსოფლიოს 38 ენაზეა თარგმნილი.

მოგზაური, მექალთანე, მარტოსული, ემპათიური დამკვირვებელი, ალკოჰოლთან და საკუთარ დემონებთან მებრძოლი გენიოსი პოეტი, ჰუმანისტი და მოაზროვნე.

იანუშ სტანისლავ ანტონი პაშერბი *Janusz Stanisław Antoni Pasierb (7.01.1929 ლუბავა – 15.12.1993 ვარშავა) – პოლონელი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, მოძღვარი, მეცნიერი, პოეტი, პედაგოგი, კულტუროლოგი და ხელოვნებათმცოდნე;*

კათოლიკური თეოლოგიის აკადემიის კარდინალ სტეფან ვიშინსკის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, პელპლინის უმაღლესი სასულიერო სემინარიის პროფესორი, მისი უწმინდესობის, რომის პაპის, პრელატი, მრავალი საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ასოციაციის წევრი, მრავალი ჯილდოსა და პრიზის ლაურეატი მფლობელი.

ასევე იყო მრავალი გამოფენის სცენარის ავტორი და ინსპირატორი, კონკურსების ჟიურის წევრი, პოლონეთსა და მის საზღვრებს გარეთ სახელგანთქმული მოქადაგე და ლექტორი, ვისი ბიბლიოგრაფიაც ოთხასზე მეტ დასახელებას მოიცავს, მათ შორისაა რამდენიმე ენაზე თარგმნილი ესეების შვიდი ტომი და თვრამეტი პოეტური კრებული.

პირველწყარო: *უცნობი ჰერბერტი. საუბრები. ვარშავა.* ***Zeszyty Literackie, 2008.***

საუბრის ქართული თარგმანი პოლონურენოვანი ორიგინალის მცირედ შეკვეცილი სახეა.
ჰერბერტის არქივიდან. იბეჭდება კატაჟინა ჰერბერტისა და მემკვიდრეების ნებართვით.
საუბარი, სავარაუდოდ, შედგა 1973 წელს. ავტორიზებულია 1975-ში. (კ. ჰერბერტის ინფორმაცია)

ქსენძი იანუშ პაშერბი: „პოლონურის მასწავლებელი“ რომ ვყოფილიყავი, იქნებ საუბარი თქვენს ლექსებში რელიგიური მოტივებიდან დამეწყო, მეტადრე ქრისტიანულიდან.

ზბიგნევ ჰერბერტი: მაგრამ ჩემს ნაწერებს არა ეს მოტივები, არამედ ფასეულობათა ტაბულა განსაზღვრავს. ეს განმასხვავებს მე პოეტების მომდევნო თაობისგან. ჩემი „ქრისტიანული სკოლა“ ნიჰილიზმისგან თავდაცვაა. მე მინახავს კულტურის სიკვდილი. მინახავს, როგორ იწვის ბიბლიოთეკა. ციცერონი და ბიბლია იმავე ალით იწვის, რითაც Mein Kampf.

ი.პ.: ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილების ძირი კვდომაა. კულტურის სიკვდილი, ქრისტიანობის სიკვდილი, ღმერთის სიკვდილი... რაოდენ მძლავრად უნდა გქონდეს გადგმული ფესვები იმაში, რაც ცოცხალი და სიცოცხლის მომცემია, რომ სასოწარკვეთაში არ ჩავარდე.

ზ.ჰ.: ოჯახი და რელიგია... ეს განგვსაზღვრავს ჩვენ. პოლონეთში განსაკუთრებით გვაქვს რელიგიისადმი ემოციური დამოკიდებულება. რელიგიისადმი მგრძნობიარე ადამიანად ბებიამ გამხადა, სომეხმა, მშვენიერი ყურებითა და ლამაზი კანით... ის თექვსმეტი წლის იყო, როდესაც პაპაჩემზე დაქორწინდა, ცნობილ ადვოკატზე, რომელიც ინგლისიდან ჩამოვიდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ოცდაორი წლის ქვრივი დატოვა. მამაჩემი პოზიტივისტი იყო, ორგანიზატორი. იგი ჭუჭყსა და უწესრიგობაზე ძლიერ ბრაზობდა. მეშინოდა მამის. იცოდა, რომ ლაბილური ვიყავი და საბოლოოდ ხელოვნებას ავირჩევდი.

ის თავად მალავდა საკუთარ თავში ხელოვანსა და პოეტს. და მან იცოდა, რომ გავანადგურებდი იმას, რისთვისაც იბრძოდა, კარიკატურად ვაქცევდი. მას ჰქონდა სიბრძნე, ცხოვრებას მასწავლიდა.

ი.პ.: ქრისტიანად თვლიდა თავს?

ზ.ჰ.: იყო აბსოლუტურად ანტი. უყვარდა ბებია და ცდილობდა მის სწორ გზაზე დაყენებას. ბებია წმინდანი იყო. მის ცხოვრებაში მხოლოდ ტკივილი, მხოლოდ ტანჯვა იყო და, ამავე დროს, როგორი დიდებულება!... ბედნიერი იყო. ახლახან დასავლეთში მომცეს წიგნი იმის შესახებ, როგორ ვიყოთ ბედ-ნიერი, ორგაზმის თეორიის შესახებ და მისთანანი. გავიფიქრე, ბებია არასოდეს ყოფილა ბედნიერი სექ-სუალურად. საერთოდ მორიდებული იყო, მორცხვი... ნამდვილად დიდებული ცხოვრება ჰქონდა. მესამე ორდენის[1] წევრი იყო. მამა დასცინოდა. მუდმივად დამორცხვებული იყო თავისი გულითადობის გამო. მას პენსია ღარიბების დასახმარებლად არ ჰყოფნიდა. მამას ზოგჯერ ქვითრები მოსდიოდა გადასახდელად... ბებია მუდმივად თავს იცავდა, მაგრამ არასოდეს იმით, რომ უფალმა იესომ ასე თქვა... არგუმენტად არასოდეს იყენებდა რელიგიურობას, რომ ასეა საჭირო ცხოვრება. არავის აიძულებდა, მისთვის მიებაძა. მიაჩნდა, რომ მათ, ვინც სხვაგვარად იქცევა, თავიანთი მოსაზრებები აქვთ. როცა მოდიან, უნდა მიიღო. როგორც ანგელოზები. არაფერს იგონებდა. არავითარი წიგნები და ლექსები. მუდამ ჩემთანაა. ფსიქოანალიტიკოსებთან რომ მივსულიყავი, ბებიას თავიდან ამომიგდებდნენ.

ი.პ.: კიდევ კარგი ფროიდი ბებიებს არ მისწვდა... ეს დიდი ბედნიერებაა, შეგხვდეს სახარების ასეთი ხორცშესხმა, ასეთი კვინტესენცია.

ზ.ჰ.: დიახ.

ი.პ.: მთელი სიცოცხლე ისე შეიძლება გაატარო, რომ ასეთს არავის გადაეყარო. თქვენ იცნობთ ძა-ლიან ბევრ მორწმუნეს. სხვაშიც შეგხვედრიათ ასეთი დატვირთვა? იეჟი ზავეისკი[2] თავისებური, გულში ჩამწვდომი წმინდანი იყო.

ზ.ჰ.: დიახ. ძალიან მიყვარდა იგი, მაგრამ მასში იყო ისეთი სხივი, რომელიც ინთებოდა და ქრებოდა. ჩემშიც არის. ამიტომ არ მინდოდა კათოლიკური პოეტი ვყოფილიყავი. არ მინდოდა, მეთაღლითა. როდესაც ის სხივი ჩემში ქრება, უნდა ვიმკრეხელო, რომ ნათელი გამოვიხმო. ბებიაში არ იყო მკრეხ-ელობა, იყო მორჩილება. მასში ნათელი არასოდეს ქრებოდა... ბებიას უფრო მოკლავდი, ვიდრე რწმე-ნას მოწყვეტდი. ამასთან ერთად, სულაც არ მიაჩ-ნდა, რომ ღმერთს მისთვის რამე უნდა გაეკეთებინა, დახმარებოდა. თვლიდა, რომ ღმერთი უბრალოდ არსებობს და იგი მასთან იყო... როგორც წყალი. წყალი, რომელშიც არის ნათელი, ღრმა დინება. არ იყო უჭკუო. მე განვასხვავებ ინტელექტსა და სი-ბრძნეს: ბებია არ იყო ინტელექტუალი. იგი ჭკვიანი იყო. ლოცულობდა, კითხულობდა ნოვენებს[3], ლოცვას აღავლენდა წმ. ფრანცისკე ასიზელისადმი... ისეთებს, ლოცვანში რომ არ არის, რაღაც პანთეისტურს? როგორც ქმნილების მადიდებლი წმ. ფრანცისკეს საგალობელი და რომელსაც ვუკითხავდი ჩემს ამერიკელ სტუდენტებს. ეს ერთადერთი მოხვდათ გულზე მთელი ქრისტიანობიდან. კარგია ყველაფერი, რასაც უფალი თავისი სიყვარულით მოიცავს. მე არ მესმის, რატომ დაიღუპა ჩემი მეგობარი. ბებიამ იცოდა, რომ არსებობს რაღაც გეგმა და რომ თვითონ ძალიან ცუდად უწყობს ხელს მის განხორციელებას. არ სურდა სამყაროს გარდაქმნა ისე, როგორც მამას, არამედ მიღება.

ი.პ.: მშურს თქვენი ასეთი აღჭურვილობა ცხოვრების გზაზე. და მაინც, როგორიც არ უნდა იყოს საწყისი წერტილი, საკუთარი გამოცდილება უნდა დავაგროვოთ. რწმენაც კი, ან იქნებ, სწორედაც რომ, განსაკუთრებით რწმენა, ემორჩილება კრიზისის კანონს.

ზ.ჰ.: ეგ გამოვიარე. მინახავს, როგორ კვდებიან ადამიანები. ვიცოდი, რაც არ უნდა მომხდარიყო, ბე-ბია ზეცაში წავიდოდა. გამოვიმუშავე გულუბრყვილო მეტაფიზიკა, თუ ადამიანს გარდაცვალების მომენტში აქვს რწმენის ძალა, როგორიც ბოლომდე ჰქონდა ბებიას, მაშინ ის გააღწევს იმ საშინელი საბურველის მეორე მხარეს, ხოლო, თუ გარდაიცვლება, როგორც ცხოველი, მაშინ უკვე სამუდამოდ მოკვდება. ვიცი, რომ ეს არის ჩემი წერა. დავიტანჯები, უარვყოფ, ვიტყვი, რომ ვერ ვხედავ ამ საბურველს. რაღაც ღირსება მაინც მექნება შენარჩუნებული ღმერთის წინაშე... ვისურვებდი, ჩემი საკუთარი გამოცდილება დამეგროვებინა, თუნდაც ცუდი, იქნებ სულაც ღმერ-თის, ეკლის გვირგვინდადგმული იესოს რწმენის გამანადგურებელი. შემიძლია, მუხლებზე დავეცე, მაგრამ კათოლიკური ეკლესია, რომელიც საშინელი სიკვდილით სჯიდა ერეტიკოსებს, ახლა უარს ამბობს... და რად იქცევა?

ი.პ.: სადისკუსიო კლუბად? ადამიანები, ვინც საყრდენს ეძებენ, ტკივილით შეჰყურებენ, როგორ აკლდება ეკლესიას თავდაჯერება, როგორ ხდება ნა-კლებად მბრძანებლური, ნაკლებად ავტორიტეტული, მაგრამ იქნებ ამით კიდევაც ემსგავსება იესოს, რო-მელიც იყო „მშვიდი და გულღია“. იქნებ ჩვენ ჩავთ-ვალეთ ეკლესიის განმსაზღვრელ სახედ ის ფორმა, რაც მან უფრო გვიან მიიღო?

ზ.ჰ.: ბავშვობაში მყავდა ტაძრის წინამძღვარი, გვარად სოკოლოვსკი. კათოლიკური ეკლესიის ნამ-დვილი სერჟანტი. წირვის დროს ვემსახურებოდი ხოლმე. მისი საყვარელი გამოთქმა იყო – „გაჩუმდი, როცა მე მელაპარაკები“.

ი.პ.: ზუსტად. ბებია კი არ ჰგავდა სერჟანტს.

ზ.ჰ.: ჩემმა მეგობარმა, რომელიც ციხეში იყო ნაჯდომი ჩემს ლექსზე, ბატონი კოგიტო გამოსყიდვის შესახებ, მითხრა: ზბიშეკ, შენ მე რელიგიურად შემძარი. მიყვარს ეს ლექსი. კაშას4 არ უყვარს.

ი.ჰ.: იქ თქვენ წერთ, რომ ასე დაბლა დაშვება არ შეიძლება, რომ ღმერთს არ უნდა გამოეგზავნა თავისი შვილი. ფაქტია, რომ ხორციელი შობა ნამდვილად არის რწმენის უდიდესი გამოცდა და დამდაბლება, რომლის უარყოფის მცდელობები იყო უდიდესი მწვალებლობა: ნესტორიანიზმი, მონოფიზიტობა, დოკეტიზმი გარკვეულ წილად. თუნდაც მხოლოდ განსხეულებული, და მით უფრო ტანჯული და მომაკვდავი იესო, იყო შეუსაბამობა, ღვთიური ძალის კომპრომეტაცია.

ზ.ჰ.: იესო ჩემთვის ხელშესახები სახეა. ლექსში, პროცესის მარგინალზე, მინდოდა დამეწერა, რომ ებრაელები არ იყვნენ დამნაშავენი. და ეს სისხლი მათ კისერზე არ არის. სინედრიონი არასოდეს ასამართლებდა ღამით. Ius gladii (მახვილის სამართლი) რომაელების ხელში იყო.

„შეიძლებოდა უსახური ყოფილიყო ვნებადაცლილი“

ერთნი დიდებით კვდებიან, სხვანი ასეთ დამცირებაში. მომაკვდავი ადამიანი ბევრი გვინახავს ფოტოებზე... ტოლედოში არის ელ გრეკოს გრაფ ორგაზის დაკრძალვა. ერთმა ქალმა, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა, დაწერა: „ჩვენი სიკვდილი დიდებაში უნდა ხდებოდეს და არა განავალში“...

ი.ჰ.: მიფიქრია ამაზე მამა კოლბეს წმინდანად შერაცხვისას. როდესაც ბენინის „დიდება“-ში ჩნდება ადამიანი, რომელიც მარტოობაში კვდება შიმშილით, შიშველი. გავიფიქრე, რომ ჰიტლერიზმის ყველა მსხვერპლი საკურთხევლის ბრწყინვალებაში აღზევდა სიბნელიდან, დამცირებიდან. რომ ეს არის ნამდვილი დასასრული იმ დიდი ომის. ჰიტლერელების ჩამოხრჩობა კი არა, არამედ იმის ჩვენება, რომ სწორედ მათ მსხვერპლთან არის სიმართლე, რომ მათი სიკვდილი ნათლით მოცულია.

ზ.ჰ.: ადამიანებს უნდა ვუთხრათ, რომ უკეთესები არიან, ვიდრე სინამდვილეში.

ი.ჰ.: სხვაგვარად დაიჯერებენ, რომ იმაზე უარესები არიან, ვიდრე არიან.

ზ.ჰ.: ადამიანი ის არის, რაც სურს, რომ იყოს. ხორცის და ოცნების კავშირი. ლექსების წერას არ აქვს აზრი. ის მხოლოდ იმისთვისაა, რომ ვიღაც გადაარჩინოს, დაიხსნას, გარკვეული აზრით. ზოგჯერ ქუჩაში რომ მივდივარ, აქ თუ პარიზში, თავში გამიელვებს ხოლმე, რომ ჩემ შემდეგ არაფერი დარჩება.

ი.ჰ.: თვითონვე უარყოფთ ამას თქვენი მწერლობით.

ზ.ჰ.: უდიდესი იმედგაცრუება ვარ ჩემთან მოსული ადამიანებისთვის: არ ვარ პოეტი. ჩემთან ყოველი შეხვედრა იმედგაცრუებაა. ხალხს წარმოუდგენია, რომ ვარ საოცრად კულტურული, დიდი თავით, ბერძნებს ვკითხულობ...

ი.ჰ.: განსაკუთრებით დასაწყისში, მიმართავდით აპოლონს, ათენას, მარკ ავრელიუსს, წერდით მეფე მიდასის შესახებ, არიონზე, ბერძნულ ლარნაკებზე, ტროაზე, ნიკეზე, რომელიც ორჭოფობს... ხმელთაშუაზღვისპირეთში მოგზაურობა თავმდაბლად, ან იქნებ ჭირვეულად, ბარბაროსის ბაღში ყოფნად მონათლეთ. სულ ახლახანსაც, რატომ „კლასიკოსები“-ს წერისას ანტიკურობის დიდი გაკვეთილი ჩაგვიტარეთ: ხელოვნება სიღრმისეული და მამაკაცური უნდა იყოს.

ზ.ჰ.: ეს დაკავშირებულია იმ საფრთხესთან, რაც კულტურას ემუქრება. კულტურა შენაძენია და არა მემკვიდრეობა. ახალი ენის შესწავლაა. მარსზე გამგზავრება კი არ არის, არამედ ჩვენი ცივილიზაციის სათავეების გააზრება. ლათინურად ვკითხულობ. ახლახან უნივერსიტეტში ბერძნულის სწავლა მინდოდა, მაგრამ არ მიმიღეს. მე გრამატიკა მჭირდება. გული მწყდება, რომ არ ვიცი ებრაული... ერთმა რეცენზენტმა კულტურული ჭიანჭველა მიწოდა.

ი.ჰ.: თავად ბრძანეთ, რომ არ ხართ პოეტი, აბა, ვინ ხართ?

ზ.ჰ.: ადამიანი, რომელსაც არ აქვს, მაგალითად, მკურნალობის ან ჭურჭლის სარეცხი ფხვნილის გამოგონების უნარი. სურს იმოქმედოს, ვინმეს დაეხმაროს, რომ მეტ ადამიანამდე მიაღწიოს, ვიდრე ეს ბებიაჩემმა შეძლო. „ლიტერატორობა“ არასოდეს მისწავლია. ვერ ვიტან კაფეებს. მაგალითად, აი, იმას ლიტერატურულ კავშირში. ვერ ვიტან იქაურ საუბრებს სულზე. მე მატერიის სფეროში ვცხოვრობ...

ი.ჰ.: ეგ სულის სფერო კი არა, ასოთა სფეროა.

ზ.ჰ.: ბიოლოგიით ვსაზრდოობ, ვკითხულობ ცხოველების, ხეების, ფრინველების შესახებ, ფიზიკაზე, კვარკებზე... ანუ ლიტერატურა შეიძლება ყოფილიყო რაღაც, რომ არა ის, რაც არის.

ი.ჰ.: ხომ არ გრძნობთ, რომ აქ, ჩვენთან, აღმოსავლეთში, მიუხედავად ყველაფრისა, ის უფრო მეტს ნიშნავს და აკეთებს, ვიდრე დასავლეთში? იქ ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ არაფერი მოახდენს შთაბეჭდილებას. ამიტომ აქ ყოფნა ღირს.

ზ.ჰ.: დიახ. დიახ, ვიცი, რომ აქ არის რაღაც რეზონანსი. აქ ისე ვარ, როგორც ვიოლინო ბუდეში.

ი.ჰ.: რა კარგი შედარებაა (მაპატიეთ, ოსტატო!), განსაკუთრებით, თუ ძველებურ ვიოლინოს ელექტროგიტარას შევადარებთ.

ზ.ჰ.: აქ ძველთაძველი ხალხია. აქ კითხულობენ. ვიცი, რომ მყავს უცნობი მკითხველები. არის რაღაც ერთობა იმას შორის, რასაც ვწერ და ვინც ვარ. ეს დასავლეთში დაკარგულია. ჩემმა მეგობარმა, ტედ ჰიუზმა5 ერთხელ ლუდხანაში მითხრა (საშინელი ალკოჰოლი!): მისმინე, ზბიგნევ, შენ შეგიძლია, დაწე-

რო წგნი, რომლის გამოც დაგიჭერენ. მე შემიძლია, დავწერო ინგლისის დედოფლის საწინააღმდეგო და ამისთვის ფულსაც გადამიხდიან. ამ ჯეელს ჩემი შურდა. ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რაღაც კონცხზე ვცხოვრობთ.

ი.პ.: სად? კეთილი იმედის?

ზ.ჰ.: არა, ცუდი იმედის ... მაგრამ ოცი წლის შემდეგ, დასავლური ცივილიზაციის რიტმში შესვლით, როცა ტელევიზორში სიშიშვლე დასაშვები გახდება და ვინც უფრო ჭკვიანი იქნება, მეტი მანქანა ექნება და ა.შ. მივაღწევთ იმას, რომ სხვა ქვეყნებს დავემსგავსებით. ადამიანებისთვის ეს იქნება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (და დაუკმაყოფილებლობა). ჩემთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს... ჩემი აზრით, სამყარო ენტროპიისკენ მიექანება.

ი.პ.: პოტენციალების გათანაბრებისკენ. და ეს სიკვდილია.

ზ.ჰ.: და ეს სიკვდილია.

ი.პ.: რისი გადარჩენაა საჭირო? ამჟამინდელი სიტუაცია ხომ რაღაცას მაინც შველის? მთელი მისი არასრულფასოვნებით, მოუქნელობით...

ზ.ჰ.: უცნაური არასრულფასოვნების და საოცარი მოწყობის შედეგად რელიგია აქ უდიდეს როლს თამაშობს. მე ძალიან იშვიათად დავდივარ ტაძარში; ვთვლი, რომ ლოცვა ტყეშიც შეიძლება. საერთოდ, იშვიათად ვლოცულობ. ჩემი გულმხურვალება და სიამაყე გამოცდილებით დაითრგუნა. არ მაქვს გულთბილობა, სიკეთე, მიღების უნარი, რაც ბებიას ჰქონდა, უმთავრესის აქცეპტაციის, რაც ჰქონდა ჩემს ოსტატს, პროფესორ ელზენგერგსნ. იგი მრავალი რელიგიის ადამიანი იყო, მრავალი ფილოსოფიის... ადამიანის ფილოსოფიას მისდევდა, ვარშავა-ლვოვის ლოგისტების სკოლის წინააღმდეგ გამოვიდა. მე თავს ვიცავ ქვეყნიერებისაგან, რომელიც დგება. როგორი იქნება ფასეულობათა ტაბულა? თუ ჩაქრება მეტაფიზიკური კითხვები ცხოვრების აზრზე, ქვეყნიერებაზე, რობოტების თაობა შეიძლება მოვიდეს. შევხვედრივარ ასეთ ადამიანებს ამერიკაში. მე ეს ძალიან მტკივა. თუმცა ვწერ ლექსებს, რომლებიც არ არის ძალიან კათოლიკური, ამ პრობლემატიკით ვცოცხლობ. სხვაგვარად არც ღირს ცხოვრება ისეთი ვინმეს შემთხვევაშიც კი, როგორიც მე ვარ, რადგან ვიცი, რომ ვერ გავაღწევ იმ საბურველის მეორე მხარეს... ვცდილობ...

ი.პ.: ბევრ ესქატოლოგიურ ლექსს წერთ. მაგალითად, ოღონდ ანგელოზი არა.

ზ.ჰ.: მაგრამ ესეც... პროვოკაციაა! გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში, რამის გასაკეთებლად, ორი ფრთაა საჭირო. ბებია ცალფრთიანი არსება იყო, საოცარი, სრულყოფილი, მე კი ეშმაკიც მყავს. აი, უფალ ღმერთს, სწორედაც რომ, ვერ ვხედავ, მაგრამ ვშრომობ, რომ იგი შევქმნა, და მაქვს პოლიტიკა, და ჩემი ცუდი ხასიათი, და ვისურვებდი, ისტორიაში ვაჩვენოთ, რომ ტოლერანტობა კარგია, მე თვითონ კი არატოლერანტული ვარ... რამე რომ გააკეთო, ინკვიზიტორი უნდა იყო და შენმდობი.

ი.პ.: თქვენი ლექსები შემობრუნების, ან თუნდაც ძიების, საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. ჩვენებური ეშმა, მღვდლები და გლეხები, მალახოვსკის ხრამი, ეკლესიის თაგვი...

ზ.ჰ.: ეს დაცინვა არ არის.

ი.პ.: არა, არა, ცხადია. მაგრამ ეს მოტივები ხომ არ ხდება უკვე თქვენთვის, ან თუნდაც მკითხველისათვის, მხოლოდ რეკვიზიტები, პოლონური პეიზაჟის ელემენტები, ფოლკლორის ძეგლები ... ვშიშობ, ისინი უკვე ფუნქციონირებენ არა რელიგიურად, არამედ მხოლოდ საერო, ხალხოსნური ფორმით.

ზ.ჰ.: არ ვიცი. არ მეხერხება აბსტრაქტული საუბარი, მხოლოდ სახეებით. ამიტომ არ ვარ თეოლოგი.

ი.პ.: არც მე. ამიტომ შევეშვათ ამას. მაგრამ თქვენ ქრისტეს „პროცესი“ გადაგაქვთ პოლიტიკურ სიბრტყეში. „მოხსენება სამოთხიდან“ არის კონკრეტული რეალობის აღწერა. ვფიქრობ, რომ, პირველში ერთგვარი განკონფესიებით, მეორეში კი რელიგიური მეტაფორიზმით, გსურდათ თქვენი გზავნილის ტევადობის გაზრდა. დრამაში „პოეტის რეკონსტრუქცია“, თუ საკუთარ თავს აიგივებთ პოეტთან, ჰომეროსთან, საუბრობთ ღმერთზე... ღმერთზე?:

„მიმზიდველი
როგორც ყველაფერი რაც არ
არსებობს“

ზ.ჰ.: არასოდეს დამიწერია, რომ ღმერთი არ არსებობს. არასოდეს!

ი.პ.: ეს მართალია – შემდეგ კი:

„პატივს მოგაგებ
შენი არ ყოფნის
სხეულზე შეხებით“

ხოლო ზემოთ წერთ, რომ ადამიანების ყვირილის თოკი ცარიელ მარყუჟად ბრუნდებოდა დედამიწაზე, რომ:

„არც სისხლი
არც ძვალი
არც სხეულის აზრი
შეუძლებელია, რომ შექმნა ღმერთი.“

– ამ ერთხელ ვიქნები დოგმატიკოსი: – ეს თეოლოგიურად კორექტულია.

ზ.ჰ.: მე თეოლოგიის საწინააღმდეგოდ ვწერ. მე შემიძლია, ეს დავწერო.

ი.პ.: მაგრამ ბიბლიას ორივენი ვეთანხმებით.

ზ.ჰ.: ო, დიახ! ჩემი საყვარელი წიგნი რუთის წიგნია. მოთხრობა ქალზე, როგორ შეუყვარდა, გათხოვდა და იყო ბედნიერი. ეს რაღაც მინიშნებაა. ვფიქრობ, რომ უფალი საუბრობს ყველაფრიდან. რომ არსებობს. მე მას ვკარგავ, მაგრამ მიმაჩნია, რომ, თუ იგი ამდენ

ნიშანს მიგზავნის, ანუ ვინ მიგზავნის? ბებია?

ი.ჰ.: ვფიქრობ, რომ თითქმის ყოველთვის ეს ხდება იმ ადამიანების მეშვეობით, ვისაც ვუყვარვართ. მიუხედავად იმისა, ცოხცლობენ აქ თუ უკვე იქ. რუთის წიგნი... სიმშვიდის, ბედნიერების რელიგია... თქვენს მონატრებაში ქრისტიანობა არის სწორედ ასეთი რელიგია, აღსავსე შეგუებით, ნდობით, რწმენით განვითარების ძალსა და მორალურ პროგრესში, როგორადაც ხედავდნენ მას XV საუკუნის ჰუმანისტები, ან იქნებ, როგორც მიქელანჯელოს და სემპ შაჟინსკის7 შემდგომი თაობები, მასში ხსნის დრამას ხედავთ,?

ზ.ჰ.: ის, რის შესახებაც საუბრობთ, მე მირტყამს... ეს უნდა იყოს უდიდესი დრამა, რომელიც ჩვენ ღირსებას გვძენს. არა, მე არ მსურს იოლი შეწყალება, ამიტომ არ დავდივარ აღსარებაზე. მე არ ვაღიარებ ადვილ შენდობას.

ი.ჰ.: ღმერთს უფლება აქვს, იყოს გულმოწყალე.

ზ.ჰ.: ოდესღაც ვესაუბრებოდი ერთ ურწმუნოს (ეს ჩემთან საშინელი სიტყვაა), სასწაულ ადამიანს, რადგან ის ყველაფერს აკეთებს საკუთარი ბედნიერების საწინააღმდეგოდ... დიახ! შეინარჩუნო ამბოხების მთელი მხურვალება, მწვალებლობა, და, ამავე დროს, რწმენა, რომ ეკლესია არის ეკლესია და თუ იქ არ შევდივარ... ეს ნიშნავს: არ მსურს, ვიცრუო.

1. მესამე ორდენი – კათოლიკური მრევლის, დაოჯახებული ადამიანების, ერთობა. საერო და საეკლესიო წესრიგის ურთიერთკავშირი.
2. იეჟი ზავეისკი (Jerzy Zawieyski) – პოლონელი მწერალი, კათოლიკური საზოგადო მოღვაწე.
3. ნოვენები – კათოლიკური ლოცვის ერთ-ერთი ფორმა
4. კაშა – ზბიგნევ ჰერბერტის მეუღლე კატაჟინა ჰერბერტი
5. ტედ ჰიუზი (Edward James Hughes) – ინგლისელი პოეტი
6. ელზენგერგ (**Henryk Elzenberg**) – პოლონელი ფილოსოფოსი
7. სემპ შაჟინსკი (**Mikołaj Sęp Szarzyński)** — პოლონელი პოეტი რენესანის და ბაროკოს ეპოქების მიჯნაზე.

პოლონურიდან თარგმნა რუსუდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკიმ

• • •

ზბიგნევ ჰერბერტი

ჩვენებური ეშმა

1

მეათე საუკუნის დასაწყისში დასავლეთიდან მოვიდა. ენერგიასა და მოსაზრებებს თავიდანვე აფრქვევდა. ყველგან მისი ჩლიქების ბაკუნი ისმოდა. ჰაერში ბელზებელის სუნი ტრიალებდა. ეს უმწიკვლო ქვეყანა, უფრო ჯოჯოხეთის ვიდრე ცის მახლობელი, მისთვის თითქოს აღთქმული მიწა იყო. ხალხის უმწიფარი სული შავი ცეცხლით ნათლობას თავადვე ითხოვდა
გორაკებზე სამრეკლოები ირწეოდნენ. ბერები თაგვებივით დასუნსულებდნენ სათლობით იღვრებოდა ნაკურთხი წყალი

2

სასახლეები და ქალაქები არენდით ალქიმიის მაგისტრებს და მაგიის შარლატანებს გადასცა. თავად ათივე ბრჭყალი ჯანსაღ ხორცში ჩაასო ხალხს – გლეხკაცობას. სხეულში ღრმად აღწევდა, თუმცა კვალს არ ტოვებდა. დედისმკვლელები აშენებდნენ აღთქმულ სალოცავებს. მრუშ-მეძავები ყელს იღერებდნენ. ეშმაკით შეპყრობილები სულელურად იცინოდნენ.
ანგელოზებს კუნთები უდუნდებოდათ. ადამიანები ჩლუნგ სათნოებაში ვარდებოდნენ.

3

ძალიან სწრაფად მოიშორა გოგირდის სიმყრალე. თივის უწყინარი სურნელის ფრქვევა დაიწყო. ცოტა არ იყოს სასმელსაც მიეძალა. საერთოდ დაკნინდა. ბოსელში შესული ძროხებს კუდებსაც კი ვერ დაუგრეხს. ღამ-ღამობით დედაკაცების ძუძუს კერტებსაც კი აღარ აწვალებს.
მაგრამ ყველას წინ გაისტუმრებს. ჯიუტი როგორც სარეველა, ზარმაცი როგორც დაბდური.

ჟამნი III

უფალო,
დაგვეხმარე შევქმნათ ნაყოფი
სიტკბოების სუფთა ხატება
ერთმანეთს შეახვედრე
აისი – დაისი
ზღვის ტალღებიდან დაიხსენი
დვრინი სუფთა სიღრმეების და
კიდევ გოგონა
ბრმა როგორც ბედისწერა
ბელკანტო – მომღერალი გოგონა

ოღონდ არა ანგელოზი

სიკვდილის შემდეგ თუ ნიავქარის ბილიკებით მოარულ მშრალ ნაპერწკალად გადაქცევას დაგვიპირებენ – ამბოხებაა საჭირო. ჰაერის წიაღში, ყვითელი დიდების ჩრდილში, სამარადჟამო განსვენება რა ბედენაა, ორგანზომილებიანი გუნდების ბუტბუტში.
ქვაში უნდა ჩასახლდე, ხეში, წყალში, კარიბჭის ღრეჩოში. უმჯობესია იატაკის ჭრაჭუნი იყო, ვიდრე გამაოგნებლად გამჭვირვალე სრულყოფილება.

მოხსენება სამოთხიდან

სამოთხეში სამუშაო კვირა ოცდაათ საათს გრძელდება
ხელფასები მაღალია, ფასები მუდმივად ეცემა
ფიზიკური შრომა არ ღლის (ნაკლები მიზიდულობის გამო)
ხის ჭრა აქ ისეთივე რამეა რაც საბეჭდ მანქანაზე წერა
საზოგადოებრივი წყობა სტაბილური მთავრობა გონიერი
სხვა ნებისმიერ ქვეყანას სამოთხე ნამდვილად სჯობნის

თავდაპირველი ჩანაფიქრი სხვაგვარი იყო
სხივმოსილი წრეები ქორალები და აბსტრაქციის საფეხურები
მაგრამ ვერ მოხერხდა სხეულის სულისაგან
სრული გამოწვილვა და ცად ადიოდა
ცხიმის წვეთებით და ხორცის ნართით
დასკვნების გამოტანა გახდა საჭირო
აბსოლუტის მარცვალი თიხის მარცვალს უნდა შერეოდა
კიდევ ერთი გადახვევა დოქტრინიდან უკანასკნელი გადახვევა
ეს მხოლოდ იოანემ განჭვრიტა: ხორციელი მკვდრეთით აღდგომა

უფალს ხედავენ მხოლოდ მცირედნი იგი არსებობს სულით სუფთათვის
დანარჩენი კი წარღვნებსა და სასწაულებზე ისმენენ გზავნილებს
ღმერთს ოდესმე ყველა დაინახავს
როდის მოხდება ეს არავინ იცის

ახლა კი შაბათის შუადღის თორმეტზე
როცა საყვირები ტკბილად ღმუიან
ფაბრიკებს ტოვებს ცის პროლეტარიატი
იღლიაში ვიოლინოსავით უხერხულად ამოდებული ფრთებით

ბატონი კოგიტო გამოსყიდვის შესახებ

არ უნდა გამოეგზავნა შვილი
ძალიან ბევრმა ნახა
ძის დალურსმნული ხელები
მისი ჩვეულებრივი კანი

წერილ არისო ასე
ერთობათა შორის უარესი
ჩვენი ერთობისთვის

ძალიან ბევრმა ნესტომ
სიამით შეისუნთქა
სურნელი მისი შიშის
არ შეიძლება ასე დაშვება
დაბლა
დაძმობილება სისხლით

არ უნდა გამოეგზავნა შვილი
უჯობეს იყო ემეფა
მარმარილოს ღრუბლებიან ბაროკოს სასახლეში
გაოგნების ტახტზე
სიკვდილის კვერთხით

ვარაუდები ბარაბას თემაზე

რა დაემართა ბარაბას? ვკითხულობ არავინ იცის
ჯაჭვი შეხსნეს და გამოუშვეს ნათელ ქუჩაში
საითაც უნდა იქით წავა მარჯვნივ წინ მარცხნივ
ბუქნას დაუვლის სიხარულით დაიყივლებს რა ენაღვლება
იმპერატორი საკუთარი თავის ხელების
უზენაესი უფალია თავისი სუნთქვის
ვკითხულობ რადგან გარკვეულ სახით ამ საქმეში გახვეული მეც ხო ვიყავი
ბრბოში ჩათრეული პილატეს კარის წინ აკი მეც სხვებივით
ვყვიროდი გაუშვი ბარაბა ბარაბა გაუშვი
ყველანი ყვიროდნენ ჩემი დუმილი მარტოსული
არას შეცვლიდა გარდაუვალი არ გადივლიდა

ბარაბა კი შეიძლება დაუბრუნდა თავის ბანდას
მთებში ისევ ისე კლავს და გულდანდობით ძარცვავს
ან იქნებ მეთუნეობაში დასაქმდა
და ბოროტებით გასვრილ ხელებს
თიხის ძერწვაში იწმენდს
იქნებ მეთულუხე, მენახირე ან მევახშეა
გემების პატრონი – ერთ-ერთით პავლე მიცურავდა კორინთელებთან
ან – რაც გამორიცხული სულაც არ არის –
რომაელების კმაყოფაზე მყოფი ჩამშვები
აი ამას ჰქვია წუთისოფლის თამაში
ბედ-იღბალი ფორტუნას ღიმილი

ნაზარეველი კი
მარტო დარჩა
არჩევანის გარეშე
მკაფიო
სისხლიანი
კვალით

პოლონურიდან თარგმნა რუსუდან კიკალეიშვილი – დომუხოვსკიმ

მკრტიჩ სარქისიანი



მამაცი ნაზარი

(ნაწყვეტი ზღაპარ-რომანიდან)

სომხურიდან თარგმნა მაყვალა გეურქოვა-სააკიანმა

მკრტიჩ სარქისიანი (1924-2002) – გამოჩენილი სომეხი პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი. მას ჰქონდა მნიშვნელოვანი და მეგობრული კავშირები საქართველოსთან და ქართველ კოლეგებთან: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე, გრიგოლ აბაშიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, მორის ფოცხიშვილი და სხვანი.

მ. სარქისიანმა შექმნა მემუარები შემდეგ თემატიკაზე: კ. გამსახურდიას „ოსტატთა შორის ოსტატი 1991, სტატიები“ ილია ჭავჭავაძე და სომხეთ-საქართველოს ძმობა, 1978“, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ და სხვა. მან სომხურად თარგმნა გ. აბაშიძის, ვ. გაფრინდაშვილის, მ. მაჭავარიანის, მ. არავკის ლექსები. მ. სარქისიანის ნაწარმოებები არაერთხელ ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. 1987 წელს გამოიცა მისი წიგნი „მისჯილი ბედი“ (მოთხრობები და ზღაპრები). მწერლის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით აგრეთვე გამოიცა საინფორმაციო ბუკლეტი მ. სარქისიანის შემოქმედების შესახებ.

კეთილი დილა გაგითენდეთ თქვენცა და ნაზარა-შენსაც. მამალმა სამჯერ ყივილით სოფელს მზის ამოსვლა აუწყა, ის კი მხოლოდ მესამე ყივილის შემდეგ ამოიწვერა. ქვეყანამაც თავისი ჩვეული ხმაურით გაიღვიძა. ნახირი სოფლიდან მინდვრებისაკენ, საძოვრებისაკენ წარეკეს, რომელთაც რაინდული სიამაყითა და ნახირში თავისი მიჯნურების თანხლებით გათამამებული მოზვერი წინ გაუძღვა. მამალმა შურით შეხედა მას და ქანდარიდან დედლები ჩამორეკა, გარეთ გამოუშვა საქექადა და საარშიყოდ.

ნაზანი უკვე დიდი ხნის ამდგარი იყო. თხა ნახირს შეურია. სახედარს ერთი იღლია ბალახი დაუყარა. ახლა კი ტახტზე ნახევრად შიშველმა დაიწყო საკუთარი თავის წესრიგში მოყვანა. ნაზარს გაეღვიძა, მაგრამ ლოგინიდან ადგომა ეზარებოდა. აქეთ-იქით გვერდს იცვლიდა და თავს იმძინარებდა. ნახევრად ღია თვალებით ცოლს ათვალიერებდა: „ღმერთი ყველა სიკეთეს ერთს არ აძლევს. შეუძლია მზესაც შეეკამათოს: მზეო, შენ ნუ ამოხვალ, მე უნდა ამოვიდეო“. მშვენიერია, მაგრამ მხოლოდ საალერსოდა და სასიყვარულოდაა დაბადებული. ღმერთს მისთვის დედობა ჩამოურთმევია და მხოლოდ ქალობა დაუტოვებია. ისიც შენ გერგო წილად, ახ, შე ნახევრად ბედნიერო და ნახევრად უბედურო ნაზარ. რა ეშველება შენს კეთილშობილ გვარს, გამგრძელებელი რომ არა ჰყავს?.. ვინ უნდა გააღვიძოს შენი კერიის ცეცხლი შენს შემდეგ?.. ვაი, შე უნაყოფო ნაზარ!“ – შემდეგ ხმადაბლა ჩაიჩურჩულა: – კარგი ხარ ნაზან, მაგრამ მე რა?..

ნაზანმა ხმა არ გასცა. თმებს იწნავდა და ფიქრობდა, თუ დღეს რით ერჩინა ოჯახი. თავიანთ ბოსტანში, რომელიც მთის ფერდობზე იყო, მწვანილი, ბოლოკი და კიტრი ჰქონდა დათესილი. საჭირო იყო წასვლა და დაკრეფა. არ უნდოდა ნაზარისთვის ეთქვა, რადგან ნაზარი თვითონ არ წავიდოდა და მასაც არ გაუშვებდა. იეჭვიანებდა. ეტყვიოდა, რომ ფანოსის გოგოსთან ერთად წადიო. გოგონა ტერმარუქესთან (მღვდელი) წერა-კითხვას სწავლობს. ყველი, ერბო და ფქვილიც გათავებულა... ნაზარი კი მაგაზე სულაც არა ფიქრობს. ეგეთი ქმარიც დავმარხე. სად გაგონილა, ცოლმა ქმარი შეინახოს!..

– ნაზარ, ნაზარ...

– მძინავს, ნაზან, სიზმარში ვარ...

– ღმერთმა კეთილად აგიხდინოს სიზმარი, ნაზარ...

– გვირგვინით თავზე მეფე ვარ, ნაზან, ხელს ნუ მიშლი,– ნაზარი ლოგინში წამოჯდა,– შე ოჯახაშენებულო, რომ არ დაგეძახა, გვირგვინს არ დავკარგავდი. რატომ არ დამაცადე მეფედ დავმჯდარიყავი... ბაღდადის ხურმასა ვჭამდი. ინდურ, დაშაქრულ ჩაისა ვსვამდი. შვიდი ცოლი მყავდა... კარგი და, ვთქვათ ავდექი, საჭმელი რა გაქვს...

– შავი ჭირი და ღვთის ცეცხლი.

– როგორ თუ...

– შავი ჭირი და ცეცხლი. ბოსტანში წადი, კიტრი და მწვანილი მოიტანე, რომ საჭმელი რამ გვქონდეს. თუ არ წახვალ, შენ შავი ჭირი და ცეცხლიც გეყოფა. მაგით დაკმაყოფილდი...

– კაცო, მართალი უთქვამთ, რაღა, ცოლი რომ კარგი რამე იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდა. ქალბატონო, შენ ჯერ მეფის ტახტიდან ჩამომაგდე, ეგ არ გეყო, რომ ახლაც გინდა, რომ მეფე ბოსტანში წავიდეს? ეგ რა ჭკვიანური და მისაღები რამაა?..

– კარგი, მიწა კი დავაყარე მაგ შენს მეფე თავს, შენ არ მიდიხარ, ნება დართე შენს დედოფალს მაინც, რომ თვითონ წავიდეს.

– ეგ ვინაა ჩემი დედოფალი? შენ? – სახე დაღრიჯა ნაზარმა და უფერული თვალები დაცინვისგან გაუელმდა. – შენ? ჩემთან ერთად უნდა გენახა ჩემი სიზმარი, რომ დარწმუნებულიყავი, თუ როგორია დედოფალი... თორემ ნაზანი დედოფალი... დედოფალი არა ერთი, თხის კუდი...

ნაზარს ერთი გადარეული სიცილი აუვარდა.

იცინოდა და ჩაბჟირებული გორაობდა ლოგინში. სიცილისაგან იხრჩობოდა. თვალებიდან ცრემლი სდიოდა, გეგონება ვიღაც ულუტუნებდა.

— ნაზანი დედოფალი, ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

— ჭირი და გადაყოლა შენ. ეგ როგორ, ნაზარი მეფე იქნება, ნაზანი კი დედოფალი არა? აი, შე ცხვრის ტყირპო, საქონლის სატკივარო, არ გეყო?..

ნაზანი გაბრაზდა. ხელში მატყლის გასაწკეპი ჯოხი აღმოაჩნდა. ნაზარმა შიშისაგან საბანი თავზე წაიფარა და გაყუჩდა. ჯოხმა საბანი კარგად გაწკიპა, მტვერი აადინა. საბანქვეშიდან ისმოდა ნაზარის გოდება და მუდარა იმდენ ხანს, ვიდრე ნაზანი დაწყნარდა.

— დავმარხე შენი მეფე თავი, შემეშინდა საბანი არ დახეულიყო, თორემ მე შენ ისეთ მეფედ გაქცევდი, რომ შარშანდელი მიცვალებულებისათვის შეგენატრა...

— კარგი, ნაზან ჯან, — წყნარად თქვა ნაზარმა, — ამჯერად, შენი გულისთვის დაგთანხმდი, რომ წკეპლა მეჭამა, რათა დაწყნარებულიყავი. სხვა დროს აღარ ელოდო თანხმობას... ვაჟკაცურად ვიცემე, რომ ქალური სიბრაზე განგედევნა შენგან და ხელი არ შეშლოდა ჩემს მამაკაცობას...

ნაზანი მას აღარ უსმენდა. თავის საქმეს შესდგომოდა. ეზოში ისმოდა ცოცხის რბილი მოსმის ხმა. ნაზარაშენის მინდვრებზე განთიადს ცვარი მოეფინა, ახლა კი მზის საშუალებით მძივად ასხამდა მათ. მთებისაკენ მიმცურავი ბურუსი ორთქლდებოდა, ერეოდა ცის სილურჯეს. თონეების ბოლი ცისკენ იჭიმებოდა, პურის მომაჯადოებელ სურნელთან ერთად. ერთ უცოდველ მზეს თავისი სხივები ფეხების მსგავსად ჩამოეკიდა მთებიდან ძირს და მდინარის ვერცხლისფერ წყალში იბანდა. კეთილი დილა დასთენებოდა ნაზარაშენს.

— ნაზაან...

— რა იყო ნაზარ?

— რა იყო და... იმას ვამბობ, რომ რა კარგი იქნებოდა არა, რომ ქვეყანაზე მუდამ დღე იყოს?..

— მაშინ როდისღა ჩაძაღლდებოდი დასაძინებლად, შე უსაქმურო?

— შენც თქვი რაღა. ვისაც ძილი უნდა მუდამაც იპოვის დროს დასაძინებლად. მე ვამბობ, რომ მუდამ დღე ყოფილიყო, მაშინ მშიშრების, ქურდების და ავაზაკების რიცხვი შემცირდებოდა, მგელი და ნადირი ხალხს გზებზე აღარ დახვდებოდა. მართალს არ ვამბობ?..

— მართალია, მერე?..

— ქვეყანაზე ცხოვრება გაადვილდებოდა. არ მიყვარს ბნელი საქმეები. აი, მაგალითად, მე უკვე ვიფიქრე, რომ ცოტა რამე საქმეები, ესე იგი, ფული და სიმდიდრე ჩავიგდოთ ხელში. ახლა შენ დამეკითხები: — საიდან? ვისგან?.. ინდოეთიდან მომავალი ქარავნებისაგან, რომლებსაც მოაქვთ ოქრო და ვერცხლი, შალი და აბრეშუმი, ქიშმიში და ხურმა, ბრინჯი და ნუში, რა არ გინდა. უნდა გავძარცვო, მოვიტანო და ავავსო ჩვენი სახლი. გვეყო, ასე ნახევრად მშიერი და შიშველი რომ ვართ... მაგრამ შენ იცი თუ რატომ ვიგვიანებ მაგ საქმეს? ბნელი ღამისა მეშინია. შენ იცი თუ ვისი მეშინია? ხალხისა. ვაითუ, სიბნელეში მათ ვავნო რამე. ქონების წართმევა, ეგ არაფერია. ბევრი აქვთ, გაუშვი, ცოტაც ჩვენ გვერგოს. მაგრამ ეგ ხალხი რა დამნაშავეა, რომ თან გაიძარცვონ და თანაც დაიხოცონ? მე ჩემი ხელის სიძლიერე კარგად ვიცი, ნაზან, და არ მინდა, რომ უდანაშაულო სისხლი დაიღვაროს. გადაწყვეტილი მაქვს, რომ ქარავნის გასაძარცვად მხოლოდ მთვარიან ღამეს გავიდე, რომ ღვთით ნაბოძებ სინათლის ქვეშ ერთმანეთში არ ავურიოთ ხალხი და ნაძარცვი. ჩემი სიტყვა კარგად დაიმახსოვრე, ნაზან. შენ ვაჟკაცთან გაქვს საქმე...

ნაზანი უსმენდა მეუღლეს, მაგრამ რა ეპასუხა? ნაზარს კარგად იცნობდა. სულ ახლახან გატყიპა ქმარი, მან კი ეს ცემა ვაჟკაცობად ჩათვალა, თითქმის გმირობის სადარ რამედ და ახლა დგას რა ცოლის თავსზემოდან, ლაპარაკობს ქარავნის გაძარცვაზე ისეთი თვითდაჯერებით, რომ თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე სწორედ ქარავნის ძარცვა ყოფილიყოს მისი საქმიანობა და სამსახური.

— ისიც გითხრა, ნაზან, ჩემი მამა-პაპისეული ხმალი ხომ იცი, აი, ის, რაღა, ამბრის უკან რომ ვინახავ, ეგ ჩვეულებრივი ხმალი არ არის, არამედ ზღაპრული ხმალია. ცეცხლით კი არა, ელვით არის გამოწრთობილი და ალმასს ყველივითა სჭრის. მაგას ჩემი მარჯვენის ძალაც მიუმატე... ერთი სიტყვით, მინდა ერთ დღეს წავიდე ქარავნის გასაძარცვად და თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, კაცი არ შემომაკვდა, მაგის შემდეგ დავიწყებ მაგ საქმიანობას. ჩემი ძალის, მამაცობის ერთი ნაწილის დახარჯვის გზა და საშუალება მექნება, თორემ ასე, მეშინია ჩემი ძალა და მამაცობა დამიჟანგდეს და ერთ დღესაც ნახავ, რომ შენი ნაზარი ქცეულა ამ ჩვენი მეზობლის, ფანოსის მსგავსად, ჩვეულებრივ ბოსტნის მრწყველ კაცად...

ნაზანმა ამოიოხრა, არ იცოდა რა ეპასუხა. იძულებული იყო შეკითხვა მიეცა:

— ღმერთმა რომ ხელი მოგიმართოს, ნაზარ, როდის გადიხარ გასაძარცვად?

— მე ხომ გითხარი, მთვარიან ღამეს ველოდებიმეთქი.

— ამაღამ რომ მთვარიანი იყოს, წახვალ? — დაცინვით უთხრა ცოლმა.

— ვნახოთ, ვნახოთ, — მოიღუშა ნაზარი, — თევზს წყალში ვერ შეაფასებ. არის ისეთი მთვარიანი ღამეც, რომ ბნელ ღამეზე უფრო უბნელესია. მე ჩემს ნანდომ ღამეს ველოდები...

— შენი ნანდომი ღამე არასოდეს არ დადგება, - სთქვა ცოლმა, — ჩემი დღე კი არასოდეს არ გათენდება. სიტყვით ქვეყნის ბატონ-პატრონი ხარ, საქმით კი ქვეყნის ტვირთი. ცოლმა იმუშაოს, რომ შენა ჭამო... ცოლი მუდამ გვერდითა გყავდეს, რომ არ შეგეშინდეს. ცოლმა გცემოს, შენ კი ვაჟკაცივით, მამალივით იყოყლოჩინო, ცოლმა დამარხოს ეგ შენი უსაქმური თავი...

— წიწილებს შემოდგომით ითვლიან, — მკერდი ამაყად წინ წამოსწია ნაზანმა, — ტყუილა აგინებ და სწყევლი შენ შენს ნაზარს. კარგი, წადი საჭმელი გაამზადე, თორემ მუცელში უკვე თაგვები მიხტიან...

* * *

ნათელ დილას მოჰყვა ცხელი შუადღე. ჰაერი გაცხელდა და დამძიმდა. ხის ფოთლები მოშვებუ-

ლი დაეკიდნენ, ძაღლის ყურებივით. ყველა სულდგმული ჩრდილს ეძებდა და ჩრდილქვეშ აფარებდა თავს; დაეცარიელებინათ სოფლის ორღობეები და მინდვრები. ასპარეზი ბუზებისთვის დაეტოვებინათ. სახედრის ფალნით თავქვეშ ამოდებული, ნაზარი თუთის ხის ჩრდილქვეშ ფშვინავდა. არ ვიცით, თუ რა სიზმარს ხედავდა ის, რადგან ნაზარი აწკლაპუნებდა სქელ ტუჩებს, თავისუფალ გზას აძლევდა რა ცხვირსა და ცინგლებს, რომლებიც, ერეოდა რა ოფლს, ეღვრებოდა სახიდან და ცხვირპირიდან. ბუზებსაც ეგ უნდოდათ. მთელი ძალით დააცხრნენ მის ცხვირ-პირს. მძინარეს თითქოს მოუსვენრობა დაეტყო. გაურკვეველი ხმები ამოუშვა ყელიდან. მოძრაობის რამოდენიმე ცდაცა ჰქონდა, მაგრამ ბუზები ეხვეოდნენ ერთთავად. ნაზარმა ხელი ასწია მოსაგერიებლად, მაგრამ ის მოწყვეტილივით დაუვარდა მკერდზე. დაუსჯელად დარჩენა ბუზებს უფრო ათამამებდა. ნაზარმა თვალები გაახილა, სმენა დაძაბა. სახე ბუზებით ჰქონდა მოფენილი, ბზუილისაგან კი ეხშობოდა ყურთასმენა.

— ვაიმე, მე თქვენი... — და ორივე ხელი დაირტყა სახეზე. გარტყმაზე მთლად გამოფხიზლდა. მას მოჰყვა საშინელი ყვირილი, — ვაი, ვაი, ვაი...

ცოლი სახლიდან გარეთ გამოვარდა.

— რა დაგემართა, კაცო?..

ნაზარი იჯდა გაოცებისაგან ფართოდ გახელილი თვალებით და უყურებდა თავის წინ დაყრილ უთვალავ ბუზს, რომლებიც გაენადგურებინა ერთი ხელის მოქნევით და ახლა გაოცებისა და სიხარულისაგან ყვირილით ცდილობდა დაეთვალა თავისი მსხვერპლის რაოდენობა და ვერას გზით ვერ ახერხებდა.

— ეს რა იყო, კაცო?.. ეს როგორ მოხდა? ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ათასი... და ეკარგებოდა ანგარიში. — გეუბნებოდი რა, ნაზან? გეუბნებოდი, რომ ერთ დღეს ჩემთვის ზარალის მომყენებლის თავს საშინელ დღეს დავაყრი-მეთქი. არა გჯეროდა. ახლა შენი თვალითა ნახე. ბუზებმა არ გამიშვეს, დამეძინა. იძულებული გავხდი, მაგათი მთელი გვარ-ტომეულობა გამეგზავნა იმ საიქიოს. საწყალი ბუზები, საწყალი ბუზები. ძალიან ძვირად დაგიჯდათ, თქვენი ავკაცობა. შეგეშალათ, ნაზარი სხვასთან აგერიათ...

— ცხვირ-პირი გაიწმინდე, სირცხვილია, — ყურადღება არ მიაქცია რა ქმრის ნათქვამს, უბწკინა ცოლმა, — პირიდან ლორწო გდის, ბუზების საკვებად ქცეულხარ და ახლაც გიჟივით რაღაც სისულელეებსა როშავ...

ნაზარის სიმხნევე იმდენად დიდი იყო, რომ ნაზანის შეურაცხმყოფელი სიტყვები ვერც კი გაიგო. ცოლის საყვედური ქარივით უქროდა ყურსუკან და არც კი ხვდებოდა მის სმენას. ის თავის მსხვერპლთან იყო. ითვლიდა, ითვლიდა და ათასამდე მიღწეული, თუ არმიღწეული, ჩერდებოდა. მეტის დათვლას ვეღარ ახერხებდა და ათის შემდეგ ვარდებოდა ათასის ფარგლებში. მას ღვინით გაბრუებულის გარეგნობა ჰქონდა. თვალები უელავდა გადარეული ალისაგან. ყვიროდა, ცეკვავდა. შემდეგ ისურვა, რომ ტერ-მარუქე — მღვდელი მოსულიყო. უნდოდა, რომ თავისი სახელი სახარების მინდვრებზე მინაწერი ენახა, რადგან იქ ჩაწერის უფლებას იხვეჭდა მხოლოდ საგანგებო ადამიანი. თვითონ სწორედ მაგათ რიცხვს ეკუთვნოდა. რამდენს ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით გაეხსენებინა ისეთი ადამიანი, ვისაც ერთი დარტყმით ათასი სულიერი არსება გაეწყვიტა, როგორც თვითონ შეძლო. ცოლს შეეშინდა, ეგონა, ქმარი ჭკუაზე შეიშალა, დასაბმელ გიჟად იქცა, მაგრამ მალე დაწყნარდა, რადგან ნაზარი არა მარტო არავის ვნებდა, არამედ ყოველი ყვირილისა და წივილის შემდეგ მას ეხვეოდა და ჩაფ-ჩუფ ჰკოცნიდა... და ბოლოს დაწყნარებული დაჯდა, ხელახლა თუთის ხის ქვეშ გაიჭიმა, თავი ფალანზე ჰქონდა დადებული, მზერა კი — ცისკენ მიპყრობილი.

— ნაზანჯან, ახლა კი წადი, ტერ-მარუქეს დაუძახე, — სთხოვა ცოლს ლმობიერად, — ამ საქმეში ღმერთის ხელიც ურევია. შენ სხვა რამ არ იფიქრო, შენი ნაზარი უკვე გზას დაადგა...

ნაზანმა შეხედა რა აღფრთოვანებულ ნაზარს, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად იცნობდა, მაინც ერწმუნა მის ნათქვამს და წავიდა მღვდლის დასაძახებლად. „ვინ იცის? — თავისთვის ლაპარაკობდა გზად მიმავალი ნაზანი, — ამბობენ, რომ მასეთებს ბედი სწყალობთო. მეც ხომ ვხედავ, რომ ეს ნაზარი ყოველთვის დიდ-დიდ საქმეებზე ლაპარაკობს. ხან ქარავანსა ძარცვავს, ხან მეფედა ჯდება, ხან ეშინია, რომ ქვეყანა არ დაანგრიოს, ააოხროს. ამ კაცს მხოლოდ ქვეყანასთან აქვს საქმეები, უბრალო რამეების თავი არა აქვს...

როცა ნაზანი ტერ-მარუქესთან ერთად ეზოში შევიდა, ნაზარს თავისი მსხვერპლი რიგზე დაელაგებინა და თითების კეცვა-გახსნით, ვინ იცის მერამდენედ, ცდილობდა დაეთვალა, მაგრამ აღწევდა რა ათს, ჩერდებოდა ბედნიერი და გაოცებული.

— ეგ რა გმირობა ჩაგიდენია, შვილო ჩემო? — თქვა მღვდელმა და თან წვერები ჩამოისწორა, - შენმა ცოლმა მითხრა, რომ საშინელი სისხლისღვრა ყოფილა აქ. აბა, ერთი მიჩვენეთ, ვნახო ეგ რა სისხლი დაღვრილა...

— მამაო, — ალაპარაკდა ნაზარი, — ღმერთის წინაშე დამნაშავე ვარ. მაპატიე, ჩემს ცოდვებს შვება მიეცი, - და ასლუკუნდა, - მძიმე ხელი მაქვს. ღმერთის გაჩენილები მოვსპე, მთელი გვარი. ახლა ვუყურებ ამათ ლეშებს და გული მეფლითება, უცოდველი სულიერები იყვნენ, შეცდნენ და მოვიდნენ ჩემ გასაღიზიანებლად და, აი, შედეგი, საწყლები უსულოდ ყრიან, ვაი, ვაი, ვაი...

ნაზარი სლუკუნებდა და შემმოწმებელი თვალით უყურებდა მღვდელს სახეში, ეძებდა რა საპასუხო გამოვლინებას. მღვდელი უყურებდა ნაზარს და მის მსხვერპლს, თან გამამხნევებელ სიტყვებს ბუტბუტებდა. მათი მაყურებელი ნაზანიც იცრემლებოდა. ბუზების გაწყვეტის იშვიათ შემთხვევას ჰქონიყო ადგილი.

— გამხნევდი, შვილო ჩემო, — ბოლოს და ბოლოს, ალაპარაკდა ტერ-მარუქე, — გამხნევდი იმით, რომ შენ არ წამოიწყე ეს სისხლისღვრა, შენ თავდამსხმელი კი არა, მსხვერპლი ხარ. ეგ ერთი, მეორეც, ბუზები მუდამაც ადამიანის მტრები იყვნენ და მათი დასჯის შენი ცდა და მოქმედება თავისთავად ღმერთის სასიამოვნო მოქმედებაა და, ბოლოს, აქ, ჩვენ თვალწინ მომხდარა უმაგალითო მამაცობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თაობებისათვის, მაგრამ მოდით, ჯერ დავთვალოთ მსხვერპლი და აღვნუსხოთ მატიანეში...

ტერ-მარუქემ დაიწყო თვლა.

— ერთი, ორი, სამი, ათი... ათასი, შვილო ჩემო, - გაოცებული მიუბრუნდა ნაზარს, — თვალები დამსუსტებია და ანგარიშს ვურევ, მაგრამ ნახული იმდენად გასაოცარი და იმდენად უმაგალითოა, რომ ეს შემთხვევა ღირსია ცალკე აღნუსხვისა. აი, შენ, მამაცო ნაზარ, იმსახურებ, შენი საკუთარი დროშა გქონდეს, რადგან ქვეყანა მოვალეა გაგიცნოს შენცა და შენი მამაცობაც.

ნაზანი გაოცებული უსმენდა ტერ-მარუქეს და ალერსიანად უმზერდა თავის მეუღლეს, თითქოს პირველად ხედავდა მას. „ეს რაები ხდება ქვეყანაზე? — ფიქრობდა ნაზანი, — ღმერთო ჩემო, ეს სასიკვდილე ნაზარი ახლა მამაცია თუ მშიშარა?.. ამის შემდეგ, როცა ამდენს აქებს მღვდელი მის მამაცობას, საპირფარეშოში ისევ მე უნდა წავიყვანო თუ თვითონ წავა?.. ახ, ნაზარ, ნაზარ, ნეტა ეს ყველაფერი მართალი იყოს. ჩვენც რაიმეს პატრონი გავხდეთ“...

— შვილო, — მიუბრუნდა ტერ-მარუქე ნაზანს, — იპოვე ერთი თეთრი ნაჭერი დროშისათვის.

ნაზანმა ეძება, ვერაფერი იპოვა. არა ჰქონდათ. ნაზარი აქეთ-იქეთ ეცა. მანაც ვერაფერი იპოვა. ტერ-მარუქემ ჯიბიდან ამოიღო თავისი მოზრდილი ხელსახოცი და საზეიმო მდგომარეობაში გაფინა კუნძზე. საწელურიდან ამოიღო ტყავის პორტმანეში შავი მელნით სავსე შუშა და საჩვენებელი თითით დაიწყო წერა: „დაუმარცხებელი ნაზარი, მამაცი ნაზარი, ერთი დარტყმით მოსპო ათასი“...

— აჰა, შვილო ჩემო, აღვნიშნეთ საუკუნეებისთვის...

ნაზანმა მოიტანა მატყლის საწკეპი ჯოხი, რომელიც ხმარებისაგან პრიალებდა, მაგრამ არა იმდენად მატყლის წკეპლვისგან, რამდენადაც ნაზარის ცემისაგან და სიამოვნებით გაუწოდა ტერ-მარუქეს. ფალასი დაამაგრეს ჯოხზე და დროშა დაჰკიდეს სახლის შუბლზე. ნაზარი მღელვარებისაგან ალუღლუღდა და ბლუკუნებდა, მაგრამ მას ფიცის სათქმელი სიტყვები ჰქონდა, რომლებიც ყელში გასჩხეროდა.

— მამაო,— ასლუკუნდა ის,— შენ რომ არ გითხრა, მა ვიღას ვუთხრა. მე ვიცოდი, რომ ბოლოს ასე უნდა მომხდარიყო. ძალ-ღონე ჩემში მაჭარივით დუღდა და გადმოსვლა უნდოდა. როგორც კი გამოვიდა, ნახეთ არა? თუ რა განსაცდელად იქცა ამ ქვეყნის თავზე, ამ ბუზების თავზე. ახლა რამდენადაც ჩემს მამაცობას დროშის სახე აქვს და მთელი ქვეყანა დაინახავს, მამაო, გეფიცები, თუ ქარავანი გავძარცვო, შენი წილი აუცილებლად გარგუნო. ვინც მოიტყუოს, ღმერთმა დასწყევლოს. ეს ერთი. მე თუ მეფე გავხდები, გპირდები, ჩემი სასახლის მღვდლად გაგხადო. თუ ტყუილს ვამბობ, მეფის გვირგვინი თავზე დამემხოს. დამიჯერე, მე ძუნწი არა ვარ. ჩემს შესახებ ჯერ კიდევ ბევრს მოისმენ... მამაცი ნაზარი ვარ, ვირის თავი ხომ არა ვარ.

საზეიმო განყოფილება დასრულდა. ბლუდით ხელში გამოჩნდა ნაზანი: კიტრი, და ნესვი, ყველი და დოქით ღვინო (მეზობლებისაგან ნასესხი) საზეიმო ვითარებაში დადო მეუღლისა და მღვდლის წინ და მორიდებულად გვერდზე გადგა, რათა იქვე ყოფილიყო, მათი სურვილების შესასრულებლად. ნაზარმა გაოცებული თვალებით შეხედა ცოლს, „საიდან ამდენი რამეო“? — ამბობდა მისი თვალები. „კარგი ქმრისთვის ქალი სულსაც არ დაიშურებს“ — ამბობდა ნაზანის თვალები. „ვაი, შენს ნაზ წელს კი ვენაცვალე, ამაღამ ეგ ლერწამა წელი უნდა დავიმორჩილო...“ — თავისთვის ფიქრობდა ნაზარი. ტერ-მარუქემ ჭიქა ასწია:

— შენი სადღეგრძელო იყოს, მამაცო ნაზარ, მარჯვენა მძლავრი, მოქნევა აუცდენელი, უხიფათო გზა გქონდეს...ღმერთი იყოს შენი მფარველი, რომ სიკეთემ და გამარჯვებამ შენგან სახე არ იბრუნოს, შენი სადღეგრძელო იყოს...

— გაამოს... — იქუხა ნაზარმა და სავსე ჭიქა მწყურვალივით მოსრუპა. სახე მოეღრიცა, თვალები გაუელამდა. ღვინო მიედინებოდა რა თავისი გზით, უცხელებდა შინაგან ორგანოებს ნაზარს. თავიც გაუცხელდა და აზროვნებაც უფრო მეტად გაუნაზდა.

— მამაო, შენ ყოვლისმცოდნე კაცი ხარ, დამარიგე, მირჩიე, როგორ მოვექცე ქვეყანას? გავუშვა, რომ იარსებოს თუ მოვსპო?..

— გაუშვი ქვეყანამ იარსებოს, ნაზარ, ქვეყანა ღმერთის შექმნილია, გაუშვი იარსებოს, შენ კი მართე ეს ქვეყანა. მასე უკეთესი იქნება, ღმერთისთვისაც და კაცისთვისაც სასიამოვნო...

— რომ არ დამიგდონ ყური? რომ არ დამექვემდებარონ?

— შეაშინე. ნახევარი გაწყვიტე, ნახევარმა გაუშვი იცოცხლოს. მამაცებისათვის საზღვარი მათი იარაღია...

— კარგად ამბობ, გენაცვალე სულში, მაგრამ რომ ჟლეტვა დავიწყო, მეშინია, უკვე ვეღარ შევჩერდე და მეორე ნახევარიც გავჟლიტო, მოვათავო. მაგაზე რას იტყვი?..

— ყველა რომ გაწყვიტო, ვიღასთვის უნდა იყო მეფე, ნაზარ?..

— მართალს ამბობ, მამაო. არა, საჭირო არაა, ნუ მივაჩვევ ხელს ჟლეტაზე. გაუშვი, იცოცხლოს ხალხმა, იმუშაოს, ჩვენც ვისიამოვნოთ...

ნაზარი მთვრალი, ლუღლუღით წყვეტდა ქვეყნის ბედ-იღბალს. ტერ-მარუქე დაბინდული თვალებით უმზერდა, ამოწმებდა ნაზანს და თვალიც კი უყო. გაბრაზებული ნაზანი შინ შევიდა და იქიდან შინდის ხის მძიმე კომბალით ხელში გამოვიდა, თან ფიქრობდა: „ამ გაფუჭებულ მღვდელს მე ხომ უნამუსო არა ვგონივარ? კომბალი თავზე უნდა დავამტვრიო, ერთი ამას უყურე... ის არ ეყოფა, რომ მშიერი ნაზარი გადარია, ახლა ჩემი გასულელებაც უნდა“?

ტერ-მარუქემ ნაზანს ჩანაფიქრი გაუგო და დაიჩუტა: ,ეს გადარეული ქალი თავს გამიტეხავს, ცოდვილად ჩემი გახდომის მიზეზი გახდება. ფრთხილად, ტერ-მარუქე, ფრთხილად, გუთანი ქვას მოხვდება, მერე ვაი შენი ბრალი“... ამის შემდეგ ნაზანისკენ ერთიც არ გაუხედავს. ნელ-ნელა ბინდი დაეშვა ნაზარაშენის თავზე. შემდეგ, ერბოკვერცხივით, ერთმა მშვენიერმა სინათლემ გადმოიხედა არჯასარიდან ქვემოთ; ერთი კეთილი, სასიამოვნო ნიავი დაეშვა მთებიდან და გააგრილა მთვრალი და ბედნიერი მამაკაცები, რომლებიც ერთიმეორეს გადაკიდებულები მღეროდნენ ნაზარის გმირობისადმი ტერ-მარუქეს მიძღვნილ სიმღერას.

საადი შირაზელი

სპარსულიდან თარგმნა
ალექსანდრე ელერდაშვილმა

რჩეული იგავები „ბუსთანიდან“

* * *

ცეკვა-თამაში გამართეს ერთხელ მუტრიბთა დასებმა
და როკვით მათ შეუერთდა ფერიის მსგავსი არსება.

აღელდა ხალხი,გზნებისგან ზოგი დაბლაც კი დაეცა,
ხოლო ფერიას სანთლისგან კაბაზე კალთა დაეწვა.

შეწუხდა ამით ის ტურფა,ხალხს რომ ეგონა ფერია,
თუმცა თაყვანისმცემელმა უთხრა მას –
„არაფერია“...

შენ მხოლოდ კალთა დაგეწვა... ამით წაგერთვა
შვება და
მე შენი მზერით წამერთვა მთლად შვება, რაც რამ
მებადა“.

მიჯნური თუ ხარ, შენს სატრფოს უნდა მიენდო
სავსებით –
სიყვარულს მაშინ შეიცნობ, თუ გიყვარს მთელი
არსებით.

* * *

წყურვილით სიკვდილის პირას მისულმა კაცმა
ინატრა:
„ნეტავი ზღვაში დავიხრჩო!“ – სხვა კაცმა ასე
მიმართა;

„მართლაც სულელი ყოფილხარ – შენ ვითომ
ხსნას მიაგენი?!
თუ კვდები, გინდ ზღვამ დაგახრჩოს, გინდ უწყლოდ
დაშრეს ბაგენი“...

უთხრა: „არაო! მე განა წყურვილის მოკვლა მწადია,
მსურს, წყლის სამყაროს შეერწყას სიცოცხლე,
რაც მაბადია.

წყალთა სიღრმეში აღარსად შემაწუხებდა
წყურვილი
და იმ სიღრმეთა ხილვაა ჩემი ნება და სურვილი“.

შეყვარებულიც ასეა – ის მისთვის განწირულია,
რომ სიყვარულში ჩაძირვა ენატრებოდეს სრულიად.

სამოთხე მაშინ დაგხვდება,სანატრელი და სარგები,
შენ ჯოჯოხეთის გზა-კვალზე ერთხანს
თუ დაიკარგები.

მთესველთან შრომა და ჯაფა თავიდან თავს
თუ მოიყრის,
მერე იხარებს,როდესაც თავის მოსავალს მოიმკის.

მას შეუძლია ნადიმის მთელი სისრულით შეგნება,
ვისაც ჯამების ტრიალში ბოლო სასმისი ერგება.

* * *

მისრეთში კაცი ცხოვრობდა ღარიბი,მაგრამ კეთილი,
სულ ჩუმად იჯდა, შეუცნობ დუმილში
გამოკეტილი;

ზოგი მას შორით უმზერდა,ზოგი ახლოსაც ბედავდა
და, ვით ფარვანა სანთელში, სინათლეს ყველა
ხედავდა.

მაგრამ ერთ ღამეს აწეწეს მისი არსება ფიქრებმა
და დაიჩივლა: „ამდენი დუმილი განა იქნება?!

მგონი, არასწორ საქმეს და სურვილებს
გავუტაცივარ,
ჩუმად მყოფს ვინ მიმიხვდება, რომ მე ჭკვიანი
კაცი ვარ?!“

ალაპარაკდა და ვაი! – მოყვარეა თუ მტერია
დაფრთხა და ყველამ გაიგო, იგი როგორი შტერია.

მისრეთში ყოფნა წაუხდა, გარს მოესივნენ
ბრიყვები...
წავიდა... ერთი მეჩეთის თაღს წააწერა სიტყვები:

„მე ჩემი თავი სარკეში ერთხელ მაინც რომ მენახა,
ვიტყოდი – სჯობდა დუმილი კვლავ დიდხანს
შემომენახა...

სახეზე მაჩნდა ნათელი და ჭკუით გავააუგე,
სხვას რა მოვთხოვო, როდესაც ჩემს თავს თავად
ვერ გავუგე“...

.....

უტვინომ რაგინდ სიტყვებით იკეკლუცოს და
იკარგოს,
სიბრიყვეს ვერ დამალავს და სჯობს სადმე
გადაიკარგოს.

გონიერისთვის დუმილს თუ სიდარბაისლის ფასი
აქვს,
ბრიყვისთვის არის საშველი – მალავს მის
ბრიყვულ ხასიათს.

საუბარი ქალების შესახებ

ქალი თუ მორჩილების და კარგ თვისებათა მქონია,
მის ქმარს, გლახაკიც რომ იყოს, თავი ხელმწიფე
ჰგონია.

ჩათვალე – ბედნიერებას კარი შენ ფართოდ შეუღე,
თუ სახლში გელის წყნარი და მოსიყვარულე
მეუღლე.

ნაწვალები და ნატანჯი თუკი ხარ მთელი დღე
რამით,
ტკივილი დაგიამდება კარგი ცოლისგან შენ ღამით.

კაცს სახლში თანამეცხედრედ თუ საყვარელი
ქალი ჰყავს,
ღმერთი სულ მასთან იქნება და განზე არსად
გარიყავს.

თავმდაბალი და დამჯერი ქალის ქმარს ვეტყვი
– იცოდეს,
რომ სამოთხეში ატარებს იგი მთელ თავის
სიცოცხლეს.

საწუთრომ იმ კაცის გულში სიმრუშე ვერსად
გარია,
ვისთვისაც ცოლი ქალი და ერთგული მეგობარია.

თუ ქალი ენატკბილია, ხმა აქვს საამო და ნაზი,
შენ რას დაეძებ მის სახეს – მახინჯია თუ
ლამაზი?!

კარგ გარეგნობას, გჯეროდეს, ჯობია კარგი ბუნება,
სათნო ქალს ნაკლიც რომ ჰქონდეს, ეს ნაკლიც
გესალბუნება.

ფერიის მსგავსიც რომ იყოს, თუ სულით არის
სატანა,
იმ ქალთან ძალზედ ძნელია, ძმობილო, თავის
გატანა.

ცოლმა ქმრის ხელით ძმარიც კი, ვით ჰალვა, ინდა
იგემოს...
ცოლს თუ ძმარი სწვეთს სახიდან, მით ქმარს
მოუწევს, იგვემოს.

კარგ ცოლ-ქმარს ვერაფერს ავნებს საწუთროს
ზაკვა და შარი...
ღმერთო, ქმარს შენ თუ უშველი, თუ ცოლი არის
აშარი.

ყვავთან თუთიყუშს ვინც ჩასვამს ერთ გალიაში,
შეცდება,
რადგან იქიდან გაფრენას ორივე ძლიერ ეცდება.

ეცადე, თანამეცხედრეს სიტკბოთი შეეზიარო,
თუ არა, თანახმა იყავ, სულ უბედურმა იარო.

* * *

ერთ ღამეს ცუდად მეძინა – დილით მგზავრობა
მელოდა,
ჰოდა, გავყევი ქარავანს... გზა განვლეთ უსაშველო
და

ერთ უდაბნოში დაგვატყდა თავზე ისეთი ქარბუქი,
მზის დაბნელებას ჩიოდა ბერი იყო თუ ჭაბუკი.

იქ ჩვენ გოგონაც გვახლდა და რომ ქროდა ქარი
აშარი,
მამას სახიდან მტვერს და ბუქს სწმენდდა თავისი
თავშალით.

მას უთხრა მამამ: „შენ, ჩემო მოსიყვარულე ასულო,
ჩემ გამო შენი წვალება ამ ქარში სჯობს
დაასრულო:

ავდარი მძლავრობს, ჩემთვის მზე უფრო და უფრო
ბინდდება,
შენი პატარა თავშალით მტვერი არ გაიწმინდება“

ბევრი გრიგალი გადივლის საწუთროს არემარეში
და ჩვენგან შთენილ ნამცეცებს გაფანტავს ოთხივ
მხარეში.

მსახვრალი ქარი ხალხს სდევნის მათკენ გაწვდილი
ენებით
და სამარისკენ მიქრიან ცხენივით ჭენებ-ჭენებით.
დრომ თუ სადავე წარსტაცა, უსასოდ რჩება
მხედარი –
დაღმა მგორავი აღარ არს ის უკან გამომხედავი.

პოეზია

მარიამ პაპაშვილი

იტყვის დუმილი

იტყვის დუმილი ჯერ ვერთქმული გრნობის არიას,
გითქვამ პაემანს, და შენ მაწვდი ფერმკრთალ
ლიანებს,
პირველ ნახვისას ბოდიშს გიხდი, ჩემო ძვირფასო,
რომ ყველა რჯულის ქალის მსგავსად –
დავიგვიანე.
გამოგიგონე წიგნში, სადაც არსად ეწერე,
გიძღვნი ბარათებს, სხვებისათვის ვერსად საჩინოს,
ყოველდღე სუნთქვას ვაყოლებდი სულის ნაწილებს,
ოღონდაც ჩემი წარმოდგენა გადავარჩინო.
პირველი თოვლის ფანტელები დამადნა თმაზე,
შენ ალბათ წახვალ, როგორც მიჰყავთ გემებს
თოლია,
ვფიქრობ და ჩემი ნაბიჯები ცოტათი გისწრებს
და მხოლოდ ერთი ნაკვალევი რჩება თოვლიანს...
გამოგიგონე, ასე ურცხვად გამოგიგონე,
და დამეღვარე სევდისფერო, სისხლად მაჯიდან,
ის ჩიტი მინდა ყოფილიყავ, კამარას რომ კრავს
და ყოველ დილით საკენკს კენკავს ჩემი ფანჯრიდან.
მე, ვერშემდგარი მსახიობი, ვდგავარ სცენაზე,
და ჩემივე თავს ვერ ვუმტკიცებ, რომ არ ეწერე
იმ წიგნში, სადაც მოხეული კიდეებიდან,
გამოუყვიათ თავი უკვე დამჭკნარ ენძელებს.
გაზაფხულდება, შეეხსნებათ კვირტებს საკინძე,
ამოუყვება ყოჩივარდა დაღლილ ბილიკებს,
გამოგიგონე, მაგრამ ისევ ბავშვურად გჩემობ,
და კვლავ ვაგროვებ ყვითელგულა შენთვის
გვირილებს.
გამოგიგონე, დიახ, ისევ გამოგიგონე,
შემდეგ პაემანს კალენდარზე ვნიშნავ იებად,
წინასწარ გეტყვი, ალბათ ისევ დავიგვიანებ,
მაგრამ იცოდე, ქალი ვარ და მეპატიება...

ბავშვობა დავტოვე

საკუთარ ცხოვრების თავადვე მწერალმა,
ბავშვობა დავტოვე ბებიის კალთაში,
ბუხართან ზღაპრების მოსმენით მძინარემ
მოდიდო სულით და პატარა ასაკით.
დავტოვე სეზონი ვაშლის და ატმების,
ბავშვობა დავტოვე დაორთქლილ შუშებზე,
პატარა თითებით დახატულ ფიგურებს
ვიხსენებ, ღიმილით გადაკრულს ტუჩებზე.
ვიხსენებ მთელი დღე უღრუბლო დროებას,
ოცნებით მრავალჯერ ასაკში გავცვალე,
დიდობას ვნატრობდი პატარა გოგონა,
რად გინდა, დროებას თავისი აცალე.
დღეს უკვე დიდი ვარ, უღრუბლო ცა მინდა,
ვეღარ ვთხოვ ბებიას ნაწნავი მომიწნას,
სადღაა ფრთები და სადღაა სილაღე,
ზაფხულის სუნი და ბავშვობა მომინდა.
ბავშვობა მინდა და დღეს ისევ ბავშვი ვარ,
რა მოხდა, წაქცევის მერე რომ ვიტირო,
რა მოხდა, ჯოხიან კანფეტის გულისთვის
ბევრჯერ რომ გაკოცო და აღარ ვიდიდო.
საკუთარ ცხოვრების თავადვე მწერალმა,
ბავშვობა დავტოვე ბებიის კალთაში,
ბუხართან ზღაპრების მოსმენით მძინარემ
მოდიდო სულით და პატარა ასაკით.

მალო ქალურობა

თითქოს გონებაში ღმერთი არ მყოლია,
თითქოს ცხოვრებასაც თავად ვიგონებდი,
თითქოს განუწყვეტლივ ლექსში დავეძებდი
იმას, რაც არ იყო მხოლოდ სტრიქონებში.
თითქოს უბინაო ბინას ვთხოულობდი,
თითქოს მიჭირდა და გრძნობებჩაკირული,
ისევ მარტოდმარტო ქუჩას შევეხიზნე,
თითქოს დავბრმავდი და მაინც თვალხილული –
ხალხში უიმედოდ ფერებს დავეძებდი,
იმას, რაც არ იყო ასე თვალსაჩინო,
ხათრით ცხოვრებას და ცრემლებს შევეჩვიე,
წლები გავიდა და როგორ გავარჩიო –
როდის ვიცხოვრე და როდის ვარსებობდი,
ალბათ შუალედი არის დანარჩენი,
როდის მიხაროდა ხალხთან სიახლოვე
და ეს ყველაფერი არის განაჩენი –
იყო ძლიერი და მალო ქალურობა,
წლები წარმავალი აღარ ბრუნდებიან.
შემოდგომისფერი, გოგოს ოცნებები,
ქალის, გაფრენილი წეროს გუნდებია.
შორია სითეთრე ფიქრის და ოცნების,
ნოემბრის ფერებსაც სიცივე დაერთო,
გავიდა წლები და მე ჯერაც არ ვიცი,
ვინ ვარ და რა მინდა, ან სად ვარ საერთოდ.

რა დამაბერებს

რა დამაბერებს, როცა სული დღემდე კიაფობს,
მერე რა, თუკი შემითეთრდა ღერი, ტიალი,
რა დამაბერებს, როცა გული ტალღებს მიაპობს
და სასიცოცხლო აღმომხდება ისევ ღრიალი.

რა დამაბერებს, როცა ვცეკვავ დღემდე ლექსებთან,
გამოვიცეკვებ რიტმას, რითმს კი თავსაც დავუკრავ,
მახლობელ კართან მოღიმილე ცელიან მამრებს
მარჯვენა ხელსაც ღვინის ჭიქით, ნაზად ავუკრავ.

რა დამაბერებს, როცა გული ისევ მიგალობს,
მერე რა, თუკი თვალთა უპეს შეუჩნდა ჯარი,
მოდი, სიცოცხლევ, ერთხელ კიდევ ძლიერ დაბერე,
რომ მავან სიკვდილს მივუხუროთ ამაღამ კარი!

რა დამაბერებს, როცა ტუჩებს ღიმილი სცხიათ,
და ნაოჭები მიყვებიან გარდასულ ამბავს,
აკანკალებულ ხელებზე კი გაჩენილ დარდებს
დრო, დღეებივით მიწყობილი ზღაპრებს მიქარგავს.
.

რა დამაბერებს, როცა მტკივა ძველი იარა,
ახალგაზრდობა! რამე სევდა-დარდი კი არა,
თითქოს წამივით წუთისოფლის წინ ჩამიარა
და ამ სახეზე ულმობელად გადაიარა.

რა დამაბერებს, როცა ისევ მეღიმილება,
ტუჩის კუთხესთან გაჩენილი სიბერის ღარით,
რა დამაბერებს, როცა ვიცი ჩაკეტილია,
ჩემ უკან მდგომი შეუბრალი სიკვდილის კარი.

რა დამაბერებს, როცა სული ბავშვის მაქვს ისევ,
როცა შიშებს მგვრის მოზუზუნე ხმაური ქარის,
შებინდებისას თვალები რომ მიფართოვდება
და საწოლის ქვეშ ვიმალები ამხელა ქალი.

რა დამაბერებს, როცა სევდა დაღლილ გულიდან,
ცდილობს ბავშვობა გამოისხას ისევ კვირტებად,
რა დამაბერებს, როცა დღემდე მიყვარს სიცოცხლე,
ეს რომ იცოდე, ამას რომ გრძნობდე, გაგიკვირდება!..

ლექსივით ითქვა

ბუხართან იდგა გარდაცვლილი ზამთრის სურნელი,
და დეკის ჩაის ვაყოლებდი უამრავ კითხვას,
განა რა იყო ეს ცხოვრება, წუთისოფელი,
რომ ერთ სტროფშიაც ჩაეტია, ლექსივით ითქვა..
სამყაროსხელა ღიმილიდან სულ ცოტას გთხოვდი,
შენ კი იმ დღიდან ყველა წამი წლებად მითვალე,
განა რა იყო ჭაღარაში ამხელა ტვირთი,
რომ ოცნებებიც უიმედო გზად ჩამითვალე.
ჯერ გაუკვალავ ბილიკებზე შერჩენილ თოვლის
სინაზეს ჰგავდა მოგონება, რომელიც არ ღირს
დასავიწყებლად, შესანახად, ანდა უბრალოდ
გასახსენებლად, როცა ფიქრობ ყველაფრით
დაღლილს –
აღარც სიჭრელე გაგახარებს გაზაფხულის და
აღარც ფოთლების მოქარგული ფერადი ფარჩა,
მაშინ, როდესაც სიზმარ-სიზმარ გამოიზოგავ
სურნელს იმისას, ვინც შორიდან არა და არ ჩანს.
ბუხართან იდგა გარდაცვლილი ზამთრის სურნელი,
გაუხელიათ ზეცისფერი თვალი ენძელებს,
წლები გავიდა და მე დღესაც, დღესაც არ ვიცი,
იმ დროს რისთვის და ასე ძლიერ რატომ გეძნელე.
ბუხართან იდგა გარდაცვლილი ზამთრის სურნელი,
თითქოს ფიქრებიც ძველებურად გახუნდებიან,
ბილიკ-ბილიკ და სტრიქონ-სტრიქონ გადავწერ
დღეებს,
რომლებიც უკან აღარასდროს დაბრუნდებიან.

ნინო ახსენაშვილი

* * *

ნინო ქუთათელაძეს

ღიღილოების ღიღინზე
ღმერთი ძირს ჩამოსულიყო,
ცის თაღის ცისფერ ღიობში
ღვთის ხილვის ღირსი ვინ იყო?!
ღამემ ღამურას ფერები
არ დაიშალა, დაღამდა...
და მაინც ნათლის იმედად
ცას მთვარე ამოღაღანდა.
მზიანი ღამე ვითა ვთქვა,
სიტყვა მიმძიმებს ბაგეს,
უბრალოდ, ვიტყვი სიყვარულს,
სათქმელს რომ აბადაგებს.
ღიღილოების ღიღინზე
ღმერთი ძირს ჩამოსულიყო.
ცის თაღის ცისფერ ღიობში
ღვთის ხილვის ღირსი ვინ იყო?!.

ლექსი

ლექსი ჩიტივით
დამაჯდა მხარზე
და თითქოს ფრთები
მომცა საფრენად;
მეც რა მინდოდა,
მხრები გავშალე,
ფრთებქვეშ მოვიგდე
ზეცის საფირი.
დიდხანს ვილაღე
ღრუბლებთან ასე,
აღარ მახსოვდა
სხვა არაფერი...
და მერე, როცა
დაშვება ვცადე,
ვეღარ ვიპოვე
ძველი ნაპირი.

ნიკოლოზ ხუჩტანიძე

თუ

სული დავკარგე,
        რად მინდა ხორცი,
თუ დრო არა მაქვს
        ამ ქვეყნად მოცდის...
უწყლოდ ჭურჭელი
        რის მაქნისია...
რაც გამაჩნია,
        ის თუ სხვისია.
სხვა თუ განაგებს
        ჩემს აზრს და ჭკუას,
რასავ ვქმნი, შევქმნი,
        ის სხვისი თუა.
თუ სხვის ნებაზე უნდა ვიცინო,
        თუ სხვის ნებაზე უნდა ვიტირო,
თუ სხვისი ჟინი
        უნდა ვასრულო,
თუ სულის ტანჯვა
        მაქვს უსასრულო,
თუ სულ დავკარგე
        ჩემი არსება,
ჩემი აზრი და
        იდეალები,
თუ ჩემი ჭკუით
        არ მეყვარება,
ჩემი ღირსებით
        არ ვეყვარები –
რა არის აზრი
        სიცოცხლის მაშინ,
მუდამ თუ ვრჩები
        პატარა ბავშვი,
არ მაქვს არაფრის
        არა უფლება,
სანატრელი მაქვს
        თავისუფლება?!
თუ სული დავკარგე,
        რად მინდა ხორცი...

ცა იწევს მაღლა

წინაპართა ხსოვნას

ბებრის ციხეზე,
        რომ გავხედავ,
                ცა იწევს მაღლა!
ციხის კელდლებთან ხმალ-ჩაჩქნის
                ჯახანი მესმის.
ო! როგორ მინდა, ჩემმა სისხლმა
                არ იგრძნოს დაღლა,
თუნდაც წამლეკოს ნიაღვარმა
                მოვარდნილ ლექსის.
ო! წინაპარო, — საძირკველო
                მომავალისა,
შენი ამაგით გადმოგცქერის
                ჯვრის მონასტერი,
შენი მარჯვენა საქართველოს
                ღმერთმა აღირსა, —
თან აშენებდი, თან გაჟუჟე
                მომხვდური მტერი.
დღეს კვლავ უტევენ ჭილყვავები
                ძვირფას მამულეთს,
სისხლი ნაყივლი ჩვენს ძარღვებში
                იქნებ ჩაგვისხა,
დღევანდელ დელგმას ღირსეულად
                მაშინ გავუძლებთ,
თუ კაცი ქუდზე ისევ ისე
                აბჯარს ავისხამთ,
თუ ჩვენში ისევ გამოჩნდება
                დიდი დავითი,
თუ ჩვენში ისევ გაბრწყინდება
                დიადი თამარ!
ქადაგადა ვარ გადმომდგარი, —
                კაცი დავიწვი,
ნატვრის თვალს ვეძებ, ხეზე შემჯდარ
                ელიოზს ვგავარ.
ვეძებ და ვეძებ და კაცს ქუდზე
                ვიწვევ და ვიწვევ!
ნატვრისთვალს შენში თუ მოვძებნი,
                სულო ნათელო!
რამდენჯერა ვთქვი, ვიმეორებ ისევ და
                ისევ,
შრომით და ბრძოლით გადარჩება
                დღეს საქართველო.
ბებრის ციხეზე,
        რომ გავხედავ,
                ცა იწევს მაღლა,
ციხის კედლებთან ხმალ-ჩაჩქანის
                ჯახანი მესმის,
ო! როგორ მინდა, ჩემმა სისხლმა
                არ იგრძნოს დაღლა,
თუნდაც წამლეკოს ნიაღვარმა
                მოვარდნილ ლექსის.

მისალმება

ნაჩუქარი წუთი მაქვს,
არ გამკილოთ, გეთაყვა,
ფიქრებს ღამე უთია
და ოცნება მზეს აჰყვა.
ოქროს ბაღის კარებთან
ეტლით ჩამომატარებს,
ერთად მივესალმები
ჩემი ქვეყნის პატარებს.
ბაღის ყველა კუთხეში
ფრიალებენ ალმები,
ყველა ჩემს მასწავლებელს
კრძალვით მივესალმები.
ტკბილად გალობს ბულბული,
შაშვი ამბობს მეორეს,
ყველას მივესალმები...
ნაცნობსა და მეგობრებს.

ფიქრი სურამის ციხესთან

ვიცი, მეც ლანდი გავხდები ქვეყნის,
უბირო წამის უტყვი ხატება
სულ დიდი-დიდი, ოსტატის ხელით
ერთ პატარა ქვას მიეხატება.
ცოტა ხნით იდენს ალალი ცრემლი,
მერე დრო მოწყვეტს იმის სათავეს,
მე იმას ვნატრობ, სახელი ჩემი
სიცოცხლეშივე რომ არ გათავდეს.
მთებზე მოჯარდა შავი ღრუბლები —
გულზე დამედო ტყვიისფერ დარდად,
მჯერა, რომ ქვეყნად კვლავ დავბრუნდები
ლურჯთვალა იად, მაისის ვარდად.
მომეფერება მზე და ფუტკარი
გარდამქმნის თაფლად, გარდამქმნის ფიჭად,
არ დამიხუროთ ეზოს ჭიშკარი,
იქნებ დავბრუნდე პატარა ბიჭად.

მაინც არასდროს ვკვდები

მიზანთან რომ ვარ ახლოს, –
როცა აყვავდა მთები...
ვკვდები, რაც თავი მახსოვს,..
მაინც არასდროს ვკვდები.
რა მომკლავს, თუ ძმა ხარ, ნეტავ?
ამ მთის, ამ ბარის პატრონს,
კაშკაშა მზეს თუ ვხედავ,
ყოველ დღე სიცოცხლეს ვნატრობ,
უკან მომყვება კვალში
ორი ბოკვერი ლომის,
გული მაქვს ცეცხლის ალში,
სურვილი თუ მაქვს შრომის.
სული მაღლდება ისე,
ვით ცისარტყელა ცაში.
ხელჩანთიანი ისევ
ვათენ-ვაღამებ გზაში.
ჩემი სამშობლოს მთა-ბარს
შემოვევლები თავზე,
კრძალვით შევხედავ ნაბარს
წინაპრის ნაფუძარზე.
მიზანთან რომ ვარ ახლოს,
როცა აყვავდა მთები,
ვკვდები, რაც თავი მახსოვს,
მაინც არასდროს ვკვდები.

მე რას გავაწყობ

მე ხშირად გხედავ, დგახარ და მიმზერ
თვალებს დავხუჭავ და მაინც გხედავ,
გადავაყოლე დრო, ჟამი ფიქრებს
მოახლოებას მაინც ვერ ვბედავ.
თვალების სხივი თოკს წნავს უჩინოს,
ნაქსობი ბადით გულს შენკენ ქაჩავს,
ცოდოა, ცეცხლი არ გაუჩინოს,
ისედაც დაჭრილს მთლიანად დაწვავს.
ნეტავ რას მიზამს შავი თვალები,
ჩასაფრებული ჩემს სასთუმალთან...
იმის სიღრმეში ჩავიკარგები,
მე რას გავაწყობ მღელვარე ზღვასთან.



კიდევ ერთი ახალი წიგნი

„მოგონებები მამაზე“ – ასე ჰქვია მედეა მელიას „მწიგნობარში“ დაბეჭდილ წიგნს, რომელიც პოეტ იაკობ მელიას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება. განხილვა-შეფასება ეძღვნება მოგონებებს მამაზე – იაკობ მელიაზე.

მედეა მელია საინტერესოდ გადმოსცემს, როგორ ყალიბდებოდა მამის ცხოვრება. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ცოცხალი კავშირი, ტრადიციის ცხოველმყოფელობა. წიგნში წარმოდგენილია და ყურადღების ცენტრში დგას პიროვნების გახსნასთან დაკავშირებული პრობლემები. წარმოდგენილია პოეტის ცხოვრებისეული გარემოებანი, სულიერი ყოფა, ის თავისებურებანი, ის წარუშლელი კვალი, რომელიც იაკობ მელიას ბობოქარმა ცხოვრებამ, ნათელმა, პიროვნულმა თვისებებმა დატოვა. დაუვიწყარი რჩება შემოქმედის, როგორც უაღრესად კეთილშობილი, მაღალზნეობრივი, ნათელი და სპეტაკი სახე.

პუბლიცისტიკის ჟანრი – „მოგონება“ თავისებურ ჟანრად ითვლება, რადგან ჟანრი – ჰიბრიდია – წერ წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე.

რა შეადგენს ამ წიგნის უმაღლეს, უკეთილშობილეს სინამდვილეს? ცხადია, სულიერი მხარე, ე.ი. გრძნობა, გონება, ნებისყოფა. ხაზგასმულია როგორ ენერგიულად მიისწრაფოდა პოეტი თვითმყოფობისაკენ, ეროვნულობისაკენ. ავტორი საკმაო სისრულით მიმოიხილავს პოეტის ცხოვრებას, აშუქებს მოგონებებს, გამოუქვეყნებელ ლექსებს, თარგმანებს, სიმღერებად ამღერებულ ლექსებს, რეცენზიებს, საიუბილეო თარიღების აღმნიშვნელ მილოცვებს. უყურადღებოდ არა აქვს დატოვებული საოჯახო ალბომი, რომელიც ერთ მთლიანობაში კრავს წიგნს.

ჩვენ მიზნად არა გვაქვს ამ წიგნის ინტერპრეტაცია. იგი იმსახურებს სულ სხვა დამოკიდებულებას, ვიდრე განმარტებაა. იგი იმსახურებს ვეზიაროთ და შევუერთდეთ მის პათოსს. მით უფრო, რომ თითოეული თავი თავისთავადი აზრობრივი რიტმითა და კილოთია დაწერილი. დაე, იდინოს დრომ და მოიტანოს ახალი მოთხოვნილებანი.

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი

პროზა

ლეილა ჟიტოშვილი-სახლთხუსიშვილი

ქართული საკაზმით შეზავებული ამბავი

„თუ ტოლერანტი ხარ, ძლიერიც უნდა იყო. სუსტმა, უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობა უნდა დაივიწყოს, თავად რომ გადარჩეს“.

ოთარ ჭილაძე

„რა არის სიკვდილი გარდა იმისა, რომ გაშიშვლებული დგახარ ქარში და დნები მზეში“.

ხალილ ჯიბრანი

ამ დღეებში ირანსა და მის ბირთვულ იარაღზე ანალიტიკოსთა გამუდმებულმა საუბრებმა – აგბარი გამახსენა, რომელიც წლების წინ ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი. მისმა თანაკურსელმა დიდის ამბით წარმოგვიდგინა: – გაიცანით, ჩემი მდგმური აგბარი; სხვათა შორის, ირანიდანაა, ისფაჰანიდან – ნორმალური, წესიერი ადამიანია!.. წინათ თუ ცხვირს ავიბზუებდით მაინც, ახლა არც შაჰ-აბასი გაგვხსენებია, არც ფერეიდანი.... არც შაჰის კარზე აღზრდილი კახეთის მეფე როსტომ-ხანი... არც სხვა რაიმეს მტკიცებასა და გულში მჯიღის ცემას მოვყოლილვართ; ყველანი ავხმაურდით; დალის ათასი ქვეტექსტითა და იუმორით, შეზავებული კითხვები დავაყარეთ: – ო, ო, სასიამოვნოა, სასიამოვნო!.. ბოლო წლებში ხელოვნურად თავსმოხვეულ „ტოლერანტობას“ – ყურებამდე გაბადრულები კიდევ უფრო ღირსეულად ვთამაშობდით... და, თითქმის მაშინვე, ქართულად საუბარს თავი მივანებეთ და რუსულად ავტიტინდით?!.

განათლებამიღებულმა, პროფესიით დიასახლისმა, სულ რომ ტელევიზორს მისჩერებია, მატრაკვეცა ელზამ ვერ მოისვენა, ვიდრე უაზროდ თავი არ მოიწონა: – იცით, სულ ახლახან, ერთ-ერთი ქართველი პოეტი იხსენებდა, თურმე თეირანიდან ორი მეგობარი ჩამოსვლია; ბაზარში წასულან, რაღაც-რაღაცები უყიდიათ და – კარტოფილიც გავაყოლოთო; კახელ ძია კაცს კარტოფილი დააფასებინეს, თან ერთმანეთში სპარსულად ლაპარაკობენ. რა ენაზე საუბრობთ? – გამყიდველს უკითხავს; რომ გაუგია – სპარსულადო, – არა ვყიდი, საცა გინდათ იქ წადით... შაჰ-აბასის შთამომავლებს მე კარტოფილს არ მივყიდი!.. გასწით, გამეცალეთ აქედან!.. გაგონილით გაოცებულ-პირდაღებულები (ქართველმა მასპინძელმა „ტექსტი“ სიტყვასიტყვით უთარგმნა) ხელებსღა შლიდნენ და თავიანთ წინაპარს მსუბუქად შეუკურთხეს კიდეც...

ირანელმა მდგმურმა ესღა დასძინა: – და, დაა ბივაეტ ტაკიე ვეშჩი ტოჟე, ჩტიო დელაც... – გაღიმებულმა აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თითქოს ჩვენს შორის მომხრეებს ეძებდა. ეს ყოველივე სასაცილო და თანაც სატირალი გახლდათ...

ის-ის იყო ხმამაღალ სიცილს მოვრჩით, რომ პოეზიით შეპყრობილმა – თხელ-თხელმა, კოპწია მეიამ კისერს ზემოთ დამაგრებული ხშირი თმის ბულული სარჭით მკვიდრად დაიმაგრა, თვალთა ეშმაკუნები კიდევ უფრო გააცისკროვნა და სუფრის წევრებს ნაზი ხმით მოგვმართა:

– ხალხნო! ლადოს ლექსს შეგახსენებთ, რაც მახსოვს იმას ვიტყვი; გეხვეწებით, არ შემაწყვეტინოთ-რა?!..

– როგორ გეკადრებათ ქალბატონო მეია, ჩვენ ასე გვიცნობთ?! – მრავალმნიშვნელოვნად გადმოგვხედა თამადამ... – თუ შეიძლება, ცოტა ხნით გა-ყუჩდით!..

მეია უკვე თავის სტიქიაში გახვეულიყო; დეკლამაცია კარგად გამოსდიოდა, ის, ხომ, სულ მსახიობობაზე ოცნებობდა... – „საღამოს, როცა შუქთა შურდულით / ათინათინდა ვარსკვლავთ ჭავლეთი, / შენ შემეფეთე და ჩამჩურჩულე: / აღმოსავლეთი, ღმოსავლეთი. / საიდან გაჩნდი, საიდან მოდი? / შენი ამბავი გავიგო მინდა. / მე პოეტი ვარ და ქუჩის ლოთი,/შენ კი მაისის ვარდივით წმინდა. / რა გინდა ჩემთნა, პირველყოფილი / სუნთქვა გათრთოლებს უცხო კაცისა,/ თუ სისხლი გზიბლავს კეთილშობილი / რუსთაველის და სააკაძისა. / მე თბილისიდან გაქცევა მსურდა,/შენ კი თბილისში ჩამოხველ, ქალო, / ვინ მოგასწავლა ანთებულ გულთან, /ფერეიდნულო ალმასის თვალო? / საით იყავი, ან ვინ გიყვარდა? / მითხარი რამე, მიამბე რამე! / მერე წევიდეთ, ჩამოვჯდეთ მტკვართან /და გავათეთროთ თბილისის ღამე... / მე – შთაგონებით მთვრალი და ხელი, / გეტყვი, რა იყო ჩვენ წარსული, / შენ მოიღერე ჯეირნის ყელი / და გამაგონე შენი სპარსული... / ახლა ერთია ჩემი სურვილი / თან წამიყვანე მგზავრი გვიანი, / გახელებული ტრფობის წყურვილით, / შენზე ოცნებით კაეშნიანი. / ვნახოთ ირანი და თეირანი, /ფერეიდანი, ძველი თავრიზი, / იქ მიმიყვანე მუდამ მტირალი / შენი მიჯნური უცხო დავრიში. / და, როცა მოვკვდე, სიკვდილი იცან, /უკანასკნელად კვლავ გამახარე... /მოძებნე ჩემი სამშობლო მიწა / და დამწვარ გულზე გადამაყარე. / დადგება მაშინ

მთვარის საათი, / წუთით ვარსკვლავნიც დაიძინე-ბენ, / ჩვენი რუსთველი, თქვენი საადი / ჩემს სა-მარესთან იშაირებენ. / მე წამოვდგები, კვლავ აენ-თება / ცის ლაჟვარდებში ვარსკვლავთ ჭავლეთი, / მე ხელებს გავშლი და შეერთდება /დასავლეთი და აღმოსავლეთი“... / – ქების კორიანტელს ბოლო არ უჩანდა... თამადა „ბორჯომის“ ბოთლზე ჩანგლის მონოტონური კაკუნით ცდილობდა თანამეინახეების დამშვიდებას.

... ჩვენ წინ ორმოცდაათ წლამდე, საშუალოზე მაღალი, ახალგაზრდა შავგვრემანი კაცი იჯდა; ოღონდ, არა ჩვენებურად შავგვრემანი, მისი სახის კანს სხვანაირი სიმუქე დაჰკრავდა. სწრაფად მოძ-რავი წაბლისფერი თვალები თბილად და კეთილ-განწყობით უციმციმებდა; ჩვენც მეტი რა გვინდო-და, ხან რას ვთავაზობდით და ხან რას – მაგიდა ათასნაირი ნუგბარით იყო სავსე. მივირთმევდით, ენად გაკრეფილები ერთმანეთს თითქმის არ ვუსმენ-დით, მოკლედ – ჩვენებურად ვცელქობდით; თუ არ ჩავთვლით მასპინძლის ვაჟს და მის ოთხ მეგობ-არს, უმეტესობა ხომ ქალები ვიყავით – იუბილარის მგეობრები, მეზობლები, ახლო ნათესავები. ბოლოს დიასახლისის ნახელავი მარწყვის ტორტიც გამოჩ-ნდა მაგიდაზე და, რა თქმა უნდა, მოზრდილი ნაჭერი პირველს, მოულოდნელ სტუმარს, აგბარს ერგო.

აგბარი ბევრს არ ლაპარაკობდა, ჭამითაც ისე რა, მორიდებულად იკმაკნებოდა. უფრო, კონიაკის წრუპვითა და მასში მობანავე ყინულის ბურთულე-ბით ირთობდა თავს; ინტერესით მოგვჩერებოდა, ყველაფერს აკვირდებოდა, გულისყურით გვისმენდა; ცდილობდა სიტუაციას მორგებოდა.

ცოტა ხანში, კონიაკით შეთამამებული, საყველ-პურო რუსულით ალაპარაკდა კიდეც:– ოთხმოცდაა-თიანებში რუსეთში ჩავედი, იქიდან – უკრაინაში, ხარკოვში გადავედი... მიუხედავად იმისა, რომ ისფა-ჰანში კარგად ვცხოვრობდი, გული მუდამ სხვაგან მიმიწევდა; მინდოდა თავი ბიზნესში გამომეცადა... წინ და უკან სიარულის შემდეგ, ჩემს ორ თან-ამემამულესთან ერთად, საქართველოში ჩამოვედი... სამშობლოში – დედა, და-ძმა მყავსო, მგონი ცოლ-იც ახსენა – აღარ მახსოვს... თბილისი ძალიან მომეწონა, ხალხი, საქმესაც არა უშავს-რა, კარგი პირი უჩანსო... განათლებული არ ეთქმოდა, თავს უფრო ცხოვრებისეული გამოცდილებით იწონებდა; ვერ გაეგო, რატომ იყო ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ასე გაღატაკებულ-გაუბედურებული... ახს-ნას შევეცადეთ, თუმცა მისი მწირი რუსულის გამო, ეს ძალზე ძნელი აღმოჩნდა; რამდენიმე ათეულ ქარ-თულ სიტყვას, რაღაცნაირად რბილად წარმოთქვამ-და. საკუთარ ქართულზე თავად ეღიმებოდა; ჩვენ თავგამოდით ვუმტკიცებდით, თუ გინდა უცხო ენა ისწავლო, შეცდომებით წარმოთქმის არ უნდა შეგ-რცხვესო...

აქამდე საეჭვოდ გატრუნულმა ასმათმა, მისი „უცოდინრობით“ შეწუხებულმა თუ სასმელით შე-თამამებულმა, სუფრას თვალი მოავლო, გუდას პირი მოხსნა, და: – თქვენმა პერსონამ ისფაჰანში დაბადე-ბული მწერლის აჰმად ვაზიის მშვენიერი მოთხრობა, „ზღაპარი – თავგადასავალი“ გამახსენა, რომელიც თქვენს ქალაქში 1983 წელს ლიტერატურის ინ-სტიტუტის ბიბლიოთეკაში მომხდარ შემზარავ ხან-ძარს ეძღვნება, რომლის დროსაც 85 ათასი საუკე-თესო წიგნი დამწვარა... – იმედია, ეს მაინც იცის – ჩაილაპარაკა დუდღუნით; – რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მოთხრობის დასაწყისიც კი მახ-სოვს: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... არც მკითხველი იყო, არც ბებო იყო... ვიყავით მე, ოცი-ოცდაათი გვერდი ზღაპარი და ერთი წიგნის გამყიდველი ბატონი. მის თავზევით ეკიდა ლამაზი აბრა, რომელზედაც ეწერა: გთხოვთ, წიგნებს ნუ აურევთ! როდესაც მაღაზია ხალხით იყო სავსე, ამ აბრას ყურადღებას არავინ აქცევდა. მკითხველები... წიგნებს არჩევდნენ და ურევდნენ...“ – აი, როგორ ვკითხულობთ და ვიმახსოვრებთ... თქვენ კი, თქვენ... – და ასმათის მონოლოგით გამტ-კნარებულ აგბარს ბიჭები შემოეშველნენ: – რა ვალდებულია, ყველაფერი წაკითხული ჰქონდეს და თანაც ახსოვდეს?!. ჩვენთან რა, ბევრსა აქვს წაკ-ითხული მაგალითად, თუნდაც შიო არაგვისპირელის, ეგნატე ნინოშვილის ნაწერები, ანდა... და, საერთოდ, მოვეშვათ რა ამ ჩვენი ცოდნა-წიგნიერებით ზედმეტ კეკლუცობას...

– ხო, გასაგებია! კარგით, კარგით, გავიგე! ყვე-ლაფერი გა-ვი-გე!.. – ასმათმა ჭიქა ასწია – გაგ-ვიმარჯოსო! – დაიძახა და... მაგიდაზე ხმაურით დადგა.

ნინო ჩამოვარდნილი უხერხულობის განმუხტვას შეეცადა და რუსთაველს მოუხმო... თუმცა, ესეც წყლის ნაყვას დაემსგავსა... – არა! რას ვამბობ, კითხვასთან მთლად ასე მწყრალადაც არ იყო; მახსოვს, ჰუშანგ გოლშირის მცირეტანიანი რომანი „უფლისწული ეჰთეჯიბი“ ახსენა...

სუფრის წევრებს აყოლილი ნელთბილად ვიღიმე-ბოდი; გულმა ვერ მომითმინა, შენიშვნის მიუხედავად თავი გამოვიდე, დაა: – ჩემო ძვირფასებო, ჭკვიანებო, კარგებო, გეაჯებით – მომისმინეთ!

– დაწყნარდით! მოთოკეთ ემოციები, ჩვენს ფილოსოფოსს რაღაც საინტერესოს მოყოლა სურს, იქნებ მოვუსმინოთ?! – აბა, გისმენთ, დროზე დაიწყე; თორემ, როგორც იტყვიან „ყელი გაშრა!“ გისმენთ, აბა ჰე! – ღიმილით შემომიბღვირა ხათუნამ.

– ვფიქრობ, ჩემი მონაყოლი ჩვენს სასაუბრო თე-მას, რაღაცნაირად, შეავსებს და მოუხდება კიდეც; ერთგან გრიგოლ რობაქიძე იხსენებს: „... 1916 წელს, როგორც სამხედრო მოხელე, სპარსეთში მოვხვდი. ეს ჩემი ცხოვრების შემობრუნების წერტილი იყო, მესოპოტამიის ზღურბლამდე მივაღწიე და მქონდა შეგრძნება, რომ საუკუნეთა სვლაში სამშობლო ვი-პოვე. ისტორიკოსები ვარაუდობენ – ქართველთა უძველესი, პირველსამშობლო ქალდეა იყოო. მიწის შეგრძნება ჩემში ყოველთვის განსაკუთრებით იყო გამოხატული – ის ირანის ზეგანზე რაღაც კო-სმიურად იქცა; მზე აღარ იყო ჩემთვის უბრალო ასტრონომიული მოვლენა, ზოროასტრის ქვეყანაში ნიცშეს „ზარატუსტრა“ მქონდა თან. ფირდოუსის, ჰაფიზის, ომარ ხაიამის ქვეყანაში „დივანი“. სრული-

ად შემთხვევით თან მქონდა მესამე წიგნიც: ნაწყვეტები ბაბილონური ეპოსისა — „გილგამეშისა“. ამან გადაწყვიტა ჩემი მწერლური ბედი. ირან-მესოპოტამიურ მიწაზე წამოიმართნენ პირველსამყაროს გოლიათური ფიგურები და სურათები. მთელი ჩემი არსებით ვიგრძენი, რომ ჩემი პოეტური ფესვები აქ იყო. ამ დროს თავს დამესხა ირანული კოსმიური სურათი: საშინელი გვალვა, მზის რისხვა, ლიანგის გმინვა...“ — სტუმარს, ჩემს ნათქვამს სიტყვასიტყვით, რუსულის კარგი მცოდნე, ანდრო უთარგმნიდა; მეტი დამაჯერებლობისათვის ორივე ხელსა და სახის მიმიკას ოსტატურად იშველიებდა; დასასრულს, მოწონების ნიშნად, ტაში შემოჰკრეს, ჯერ ხმადაბლა, მერე უფრო ხმამაღლა შემოსძახეს: „რერო, სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერორო!..“, „ლალე, ლალე, დივლი- დალალალე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალეე!..“

ამ ულოდნელმა „ღირსეულ-ლირიულმა“ გადახვევამ მანონი სხვა გუნებაზე დააყენა; არც აცია, არც აცხელა წამოდგა, არტისტული მიხვრა-მოხვრით, დაყენებული, სერიოზული სიფათით როიალს მიუჯდა, კლავიშებს თითებით გადაუარა და რაც ყველაზე უკეთ გამოსდიოდა ის დაუკრა: „ოჰო, მუდამ არის, ყველგან არის ზაზუნა ჩემთან ერთად...“ — ბეთჰოვენის ამ თითქოსდა უწყინარმა, სევდიანმა მელოდიამ ბინა სხვანაირი სისავსით აავსო... დაკრულმა ყველა თავის ალაგას დასვა...

— აი, ეს მესმის! ყოჩაღ, მანონ, ყოჩაღ! რა უმტკივნეულოდ ჩააქრე ჩვენი ქართული, მამაპაპური აღტკინება!.. კაროჩე, მაგარი ვინმე ხარ!

— სიტყვით თაზო გამოვიდა!..

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა; ერთხელაც ჩემი მეგობარი, ჩვეულებრივ, ტელეფონით შემომეხმიანა. ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვის, ტელევიზიის შოუების გულის ამრევ, ერთფეროვან ტაკიმასხარაობაზე საუბრით გული რომ ვიჯერეთ, ხმაშეცვლილმა მკითხა:

— აგბარი ხომ გახსოვს?

— აგბარი?! — უცებ აზრზე ვერ მოვედი, მერე დალი ახსენა და...

— კი, კი მახსოვს; როგორ არის, რა ისმის?

— ეჰ, რაღა როგორ არის, ორი კვირის წინ გარდაცვლილა ის უბედური, ისა...

— რას ამბობ, როგორ თუ გარდაცვლილა; როდის, რატომ, რა დაემართა?! — კითხვები სეტყვასავით დავაყარე.

— ოჰ, რა ვიცი, რა გითხრა, საიდან დავიწყო; ამ წინებზე დალიმ დამირეკა — სარეცხის მანქანის კარგი ხელოსანი ხომ არ იციო... რაღაცნაირად შეწუხებული ჩანდა... მერე ესღა მომიყვა: — თურმე, მაგათი სამეგობრო-სანაცნობო რომ იკრიბებოდა, მარტო კიანიაკს და ჭაჭის არაყს სვამდნენ; ესენი ხომ ტრადიციულად, როგორც ვიცი, ამნაირ სასმელებს მიჩვეულნი არ არიან; თუმცა, ამას ანგარიშს არ უწევდნენ... წესად ჰქონიათ, ასეთი პურობების მერე, „ჭრელ აბანოში“ წასვლა — ცოდვების ჩამოსაბანად... ერთ-ერთი თავყრილობის შემდეგ, ეს წერასატანილი, კარგად გატრეტილი შინ რომ მისულა, ცუდად გამხდარა... ერთის მაგიერ გულის რამდენიმე აბი მიუღია; ეტყობა, ამან კიდევ უფრო გაუუარესა მდგომარეობა... როგორღაც ის კი მოუხერხებია, რომ დალისთვის დაურეკავს (დალი, ხომ გვერდით კორპუსში ცხოვრობს!..), მიშველეთ! ცუდადა ვარ, სული მეხუთება, ვიხრჩობი, ჰაერი არ მყოფნის, გულის მხარეს უსაშველო ტკივილი მაქვს... თურმე, შუაღამისას მორიგი შეტევა მოსვლია, რაღაცნაირად გათენებამდე გაუძლია... როგორ შეიძლებოდა ამდენი დროის დაკარგვა?!. დალის სამეზობლო ფეხზე დაუყენებია. სასწრაფოს მანქანას თან გაჰყოლია; ეტყობა აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა: — ტიროდა, დედას უხმობდა... დალის ჩურჩულნარევი, უმწეო ხმით ეხვეწებოდა — თქვენს სალოცავებს შეევედრეთ, იქნებ გადამარჩინონო... ექიმების მცდელობის მიუხედავად, მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაცვლილა, მწვავე ინფარქტის დიაგნოზით... ნეტა, ეს არ მენახაო — წუხდა აცრემლებული დალი... ძმასა და რამდენიმე მეგობარს წაუსვენებიათ სამშობლოში...

აღარ ვუსმენდი; ყურმილიდან წყვეტილად ისმოდა: — ალო, ალო!.. წამიერად განათებულ ცაზე ელვა უხსენებელივით გაიკლაკნა, ფანჯარა მივხურე... მართლაც, რომ სადაურსა სად წაიყვან; ძალიან შემეცოდა ეს ბედს აყოლილი, დედისა და მახლობლების ნატრული კაცი, რომელიც ახლა უკვე სამუდამოდ ჩახუტებოდა მშობლიურ ნიზანის, ფოშქუჰისა და რუბარუს ტყეებს; ზაგროსის, სარაბის, შაჰანის, ჰინიკუშისა და ქოთანის მთებს; ელბრუსის მთაგრეხილსა და მდინარე არაქსს, დეშთი ქევირის მარილიან უდაბნოს...

მაგიდას მივუჯექი, გაზეთის რედაქტორისათვის შეპირებული წერილის წერა გავაგრძელე: ... სოფელ კუმისში, და არა მარტო ამ სოფელში, ადგილობრივ მწყემსებს საქონელი საბალახოდ ვერ გაურეკიათ, რადგან რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწა, მათ შორის საძოვარიც, ვიღაც არაბს შეუსყიდია და იქ შესვლის უფლებას არ აძლევთ; სოფელში იმასაც ყვებიან, რომ ცოტა ხანში არაბების რამდენიმე ოჯახი აპირებს ჩამოსვლას და აქ დასახლებასო. სამართლებრივი გზით ვერაფერს გავხდით, — გვესაუბრება ამ სოფლის მკვიდრი გოგა ბ-ი — არადა საქონლის გარეშე სოფელი გაგონილა?! შეიგნეთ, ახლა სხვა დროაო! — გვინდა, მაგრამ ვერ ვიგნებთ, ვერა! ასე დაუნდობლად, შეუბრალებლად როდემდე უნდა ვაჯიჯგნინოთ, ჩვენივე ხელშეწყობით, „მოყვრულად“ შემოსულ მტერს ჩვენი გასაწყლებული, დაუძლურებული, დაუცველი მიწა-წყალი, როდემდე?! თან ვიის? — არაბებს, თურქებს, ჩინელებს, სპარსელებს... ათას ოხერსა და მამაძაღლს!..

— ძნელია, გოგასა და მისი თანასოფლელების გადარწმუნება, რადგან კარგა ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში სამშობლოსადმი ერთგულების ნაკლებობაა...

ჩემი საყვარელი მწერლის თქმისა არ იყოს: — დრო კი მიქრის, მიქრის, მიქრიალებს, როგორც ხელებში ჩამტვრეული ჭურჭლიდან წყალი...

სულ ეს იყო; და განა ცოტაა ეს?!.

მეა ივანისელი

ევას მისტერია

...ქალი — საწყისი სიყვარულისა!.. საწყისი პირველყოფილი, უწონადო მდგომარეობის...

— ოდესაღაც მარტო ღრუბლები ამშვენებდა ცას, ოდესღაც მზემ გამოანათა, მზე შემოვიდა ადამიანების გულში.

ქალი მთელი თავისი სიდიადით — სიცოცხლის, თავისუფლების საწყისს დაატარებს და ატარებს ყველაფერს საკუთარ სულში უსულობის წასაშლელად.

ყველა — ფერია მასში!

ამიტომ ყველა-ფ(ე)რის მოცემა შეუძლია შენთვის!..

...ის ქალია და წინასწარ არასდროს იცი, რას გიმზადებს, ადამ!..

— არასდროს იცი, როდის გაგიშვებს სიმარტოვის დასალიერში, არასდროს იცი, როდის დაგტოვებს თავისთან, მარტოობის დასავიწყებლად, არასდროს იცი, როდის „გაშიშვლდება“ შენთვის, არასდროს იცი, როდის შეიმოსება იდუმალებით, არასდროს იცი რას მოგცემს, ან რას წაიღებს შენგან...

— იქნებ სულის ყვავილების ჩუქებას გიპირებს, შენ კი მოუთმენლობის გამო მზერა სადღაც, შორს, უსაშველოდ შორს გადაგაქვს, რადგან იმ უმნიშველო, პატარა „სასწაულს“ ეძებ მასში, რაც ყველა, სხვა, დანარჩენი ქალისგან განასხვავებს მას.

— შენ ხომ საკუთარ ფიქრებს ინახავ მისთვის, რომ გაანდო და გაენდო ბოლომდე. იქნებ არც ენდობი მას?.. იქნებ საკუთარ თავზე მეტადაც ენდობი, არავინ იცის, შენ გარდა...

— ის ქალია და შენგან ელის იმ ერთ ფერს, რომელიც ყველა-ფერს შეცვლის მის ცხოვრებაში, ყველა-ფერს დახატავს შენთვის და არასდროს დაჭირდება საშლელი, ცუდი მოგონებების წასაშლელად, რადგან შენ არ დაუტოვებ ცუდ მოგონებებს!..

— მხოლოდ მასთან შეგიძლია აღმოაჩინო, რომ ისევ მორცხვი ხარ, ადამ!..

— პირველყოფილი გონების სისუფთავეა შენი სიძლიერე და ამიტომ არ გეშინია მასთან „გაშიშვლების“, არ გეშინია იყო ის, ვინც ხარ!..

— ადამიანი ყოველთვის ეძებს, მაშინაც კი, როცა ყველაფერი აქვს, ასეთია მისი მიწიერი ბუნება.

— სულიერება და გარეგნული სილამაზე ერთად!.. ალბათ ამას ეძებ მასში და დროც მალე გადის ძიებაში...

ძველი ბერძნებიც ასე მოაიზრებდნენ სიყვარულს, ერთ ქალში გაერთიანებულს — ადამიანური, ნატიფი სული და ბობოქარი, შლეგი ვნება!.. საამურია, არა?

— იქნებ ამაოდ დაშვრნენ ძველი ბერძნები, აფროდიტა ურანუს და აფროდიტა პანდემოს — სიყვარულისა და სილამაზის ორი სახის ქალღმერთი რომ შექმნეს; იქნებ ღმერთებიც მოკვდავთათვის მიუწვდომელს ეძებდნენ მაშინ და ახლა შენ განაგრძობ ძებნას!..

— ეს დედა-მიწაა, ადამ!.. შენი სახლი!..

...დედამიწაზე — იქ, სადაც ადამიანს სულიერი სიმაღლე ალამაზებს, ფიზიკური ფერმკრთალად გამოიყურება, ფიზიკურ მშვენიერებაში მომწყვდეული სული კი მიწიერ მიჯაჭვულობას ვერ ასცილებია ხშირად და დღესაც „დაბობღავს“ მიწაზე, სასომიხდილ სიმწუხარეში, საკუთარი უსუსურობის დასაფარად ათას ნიღაბს ირგებს არაფრისმთქმელ სახეზე და ყველაზე კარგად შენ ამჩნევ ამ ნიღაბს, ამჩნევ და ხანდახან არ იმჩნევ ამას...

— შენც მიწის შვილი ხარ ადამ!.. მოკვდავი, მოკვდავთა შორის!..

— გიჭირს ამდენი ქალის გარემოცვაში შენი ევას პოვნა, მაგრამ უნდა აირჩიო შენი ევა!.. დროა, აირჩიო შენი სხეულის ნაწილი, რომელიც ძილში გამოგაცალეს და სიფხიზლეშიც კი გიჭირს მისი გარჩევა, რადგან, მაცდურია თვალი, მაცდურია გრძნობები, რომელსაც თავდავიწყებამდე მიყავხარ და ირგვლივ „ყველა-ფერი“ შენი გგონია!..

— არ დაგავიწყდეს ადამ! — პირველყოფილი გონების სისუფთავეა შენი სიძლიერე!..

...სხვა დანარჩენი მირაჟია მტვრისფერ მიწაზე!..

— ყველაფერი მე-ორ-დება, მეორდება საუკუნეების განმავლობაში და მაინც არასდროს გა-ორ-დება შენ გონებაში ერთი ევა!..

— პირველსაწყისი, სამყაროსეული გონი არ ქრება!..

უმანკო, მიწიერი სისუსტეებისგან თავისუფალ გონებას არაფრის ეშინია!..

შენც ნუ შეგეშინდება ადამ!.. ნუ დაუწყებ ლოდინს ციურ მანანას ციდან, რადგან შენ კარგად იცი, ვინაა შუამავალი სრულქმნილ ღმერთსა და არასრულქმნილ ადამიანს შორის; ისიც იცი, რა ათავისუფლებს ღვთაებრივი წარმომავლობის სულს, მატერიალურ სამყაროში; იცი, და მაინც „გძინავს“, ფერადი სიზმრები რომ დაგესიზმროს, „გძინავს“, მიწიერ უფერულ რეალობას რომ მოარიდო თვალი.

დიდი ხანია გძინავს, ადამ!..

ძილში სიფხიზლე არაა მიწიერისთვის რთული, მაგრამ, ახლა გაღვიძების დროა!.. დროა შენი ხელით შემოსო ევა მზის სხივებით. რა თქმა უნდა მთვარის სამი ფაზის ბუნებას ვერ შეცვლი მასში, რადგან კოსმიურია ის და „დედა-მიწის“ დაწერილ კანონებს არ ემორჩილება. მთვარის ფაზები ქალურ ბუნებაში — მატების, შევსების და კლების ფაზებიც ხომ შენზეა დამოკიდებულული, ადამ!..

იქნებ ევასაც უჭირს, დაიბრუნოს პირველყოფილი, პირველქმნილი სისპეტაკე, თავისუფალი ბობოქარი სული დაიბრუნოს და ისე წარსდგეს შენ წინაშე, იქნებ შენი უყურადღებობა ან სულსწრაფობა უშლის ხელს, საკუთარ თავს დაუბრუნდეს და ისე მოვიდეს შენთან, იქნებ ევასაც ,,სძინავს'' და გაღვიძების ეშინია ადამის მიწიერი ბუნების, მისი ადამიანური სისუსტის გამო...

— მიეხმარე ადამ, სრულყოფილი გახდეს და ისე დაგიბრუნდეს, რათა სამყაროსეული მისტერიის დასასრული მარადიული აღმაფრენის ახალი დასაწყისის უპირობო აღსასრულია!..

— ჰო, მართლა, ,,ყველა-ფერს'' ნუ მოკიდებ ხელს, რადგან ასე ,,არა-ფერი'' გამოგივა, ევასაც დაღუპავ და საკუთარ თავსაც გამოუტან განაჩენს ცოდვილ მიწაზე — ცოდვილ მიწაზე დარჩები ისევ და საუკუნენი გავლენ სამყაროს უსასრულობის შეგრძნების სანეტარო მოლოდინში!..

— შეცდომის დრო აღარაა, ადამ!..

— არ დაგავიწყდეს — პირველყოფილი გონების სისუფთავეა შენი სიძლიერე!.. ...ოდესაღაც მარტო ღრუბლები ამშვენებდა ცას, ოდესღაც მზემ გამოანათა, მზე შემოვიდა ადამიანების გულში, ქალი კი იმიტომ შექმნა ღმერთმა, უკეთ რომ ეგრძნო მამაკაცს თავის მარტოობა ფერად, ხან უფერულ, უსასრულო სამყაროში, მაგრამ, არ დაიჯერო ეს ადამ!.. — ევა შენთვის შექმნა არსთა გამრიგემ!.. შენთვის შექმნა, რათა მიწიერი ცხოვრების შემდეგ, მარადიულში გადასასვლელ გზასთან ახლოს, მისი სუნთქვა იგრძნო და ერთად გადახვიდეთ უსასრულობაში...

— საწყისი კი პირველყოფილი, პირველქმნილი მარადიული კოსმიური ევაა, სამყაროს უსასრულობის უკეთ შეგრძნობისთვის შექმნილ ადამთან ერთად!..

წერილი ჩემი მეგობრის გამეცხრედებულ EGO -ს (ი)-რეალობიდან

განზომილებაში მოგზაურობა არც ისე რთულია, განსაკუთრებით საინტერესოა მაშინ, როცა აქ, მიწაზე ადამიანად ყოფნა ძლიერ ძნელდება. ამ შეგრძნებას აქეთ-იქით ხეტიალი ჯობია, მითუმეტეს იქ ხეტიალი, სადაც ყველას არ ხელეწიფება მოხვედრა...

შენ კი ერთხელაც ადგები და შეიმოსები უხილავი სამოსით, კარს გამოკეტავ და გზას დაადგები...

გზა ჰქვია თორემ, გვირაბს უფრო ჰგავს...

ჰოდა, გზად მიმავალი მგზავრის ფიქრები სულაც არ ჩამოჰგავს გვირაბის ბოლოს მიმავალის ფიქრებს...

ახლა ჯობია მოხეტიალე გერქვას, ასე უფრო გაიკვლევ გზას და გონების გრავიტაციულ მოძრაობას მინდობილი მიხვდები, რომ ცხოვრება მარტო შენი ბიოლოგური ცხოვრების მონაკვეთად არ უნდა მიგაჩნდეს...

...განზომილებებში მოხეტიალე მგზავრი; კეთილი მეზღაპრე; გზააბნეული პილიგრიმი, ან იქნებ რომანტიკული ნატურალისტი ლოგიკოსი — რაც გსურს ის დაირქვი, მაინც ის ხარ, ვინც ხარ მოგზაურობის დაწყებიდან მოგზაურობის დასასრულამდე...

ერთხელაც, ადამიანები მიხვდებიან, რომ ყველა ადამიანი თოვლს ჰგავს, იისფერს და სუფთას, ძალიან სუფთას — აი ისეთს, წყაროს წყალს რომ ჩამოაყოლებ მზერას, გამჭვირვალეს, მოკამკამეს... ამიტომ ადამიანს ვერ შეურაცხყოფ, ტკენა კი შეგიძლია მიაყენო — ამისთვის უბრალოდ მის სულზე უნდა გადაიარო მძიმე ნაბიჯებით და სწორედ ისეთ ნაკვალევს დატოვებ, როგორც თეთრ თოვლზე ჭუჭყიანი ნაბიჯებით სიარულისას რჩება... ალბათ ოდესღაც მიხვდებიან ამას ადამიანები და შეიცვლებიან — თუმცა ,,ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს''.

შენ კი ერთ ადგილზე დგახარ და ფიქრებს ვერ აღწევ თავს, მეგობარო!..

ჰო, მოსაწყენია ერთ ადგილზე ყოფნა, დროც კი არ ჩერდება ერთ ადგილზე და შენ რატომ უნდა გაჩერდე?..

ისევ აგრძელებ გზას, უფრო სწორად კი მოგზაურობას განზომილებებში, უცებ უკუპროპორციულობის გრაფიკი გახსენებს თავს და შენ წინ ვერაფერს ხედავ... (ხედავ? ყველაფრის ცოდნა არც ისე სახარბიელოა ხანდახან).

ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ კუთხეა აცდენილ წრფეებს შორის...

ახლა კი ყველაფრის აწონ-დაწონას იწყებ, სად ჯობია ყოფნა — იქ, სადაც ყველაფერზე ქილიკი და ყველაფრის გაფარსება შეიძლება, იქ, სადაც ყველაფერი ერთფეროვანია, თუ აქ — სადაც ცა ცისფერია, უწონადობაში ხარ და შენ სხეულს ხედავ გვერდიდან. გვერდიდან ხედავ სხეულს, უკეთ აკვირდები და ისე გაოცებს სულის სიღრმე, თითქოს ახალი გალაქტიკა აღმოგეჩინოს უამრავი ამო-უცნობი ვარსკვლავივით და გრძნობ, მანამ არ მოისვენებ, სანამ თითოეულ მათგანს გულმოდგინედ არ შეისწავლი. შენ ხომ სხვანაირად არ შეგიძლია, იცი, მაინც ასე მოიქცევი, თუნდაც ამის გამო დაისაჯო — თვითგანზომილებიდან წკვარამში განდევნამდეც კი...

რასაკვირველია — იმასაც ხვდები, ევოლუციის დამამტკიცებელი არგუმენტები აქ უბრალოდ არაფერში გამოგადგება, უვარგისი ნივთივით გადაისვრი მსოფლიო სევდას დედამიწაზე დარჩენილ

ნაგვის ყუთში, კოსმოსში გაბნეულ მოგონებებს შეაგროვებ და საჩუქრად „და-არიგებ“ მეგობრებთან....

მოგზაურობით დასვენებული, საკუთარ თავში ახალი აღმოჩენებით დაღლილი, იგრძნობ ერთი სახის ენერგიის გადასვლას მეორეში – და ხვდები – აქაც რაღაც აირია... იგრძნობ საკუთარ სხეულში ენერგიის გარდაქმნას:სიყვარულიდან – სიყვარულში, ერთგულებიდან ერთგულებაში, სიკეთიდან სიკეთეში, მონატრებიდან მონატრებაში, სიცოცხლიდან სიცოცხლეში, გარდაცვალებიდან გარდაცვალებაში, დაბადებიდან დაბადებაში, სამოთხიდან სამოთხეში, ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში, ტკივილიდან ტკივილში, მოთმინებიდან მოთმინებაში, შეცდომიდან შეცდომაში, სიმშვიდიდან სიმშვიდეში, ფიქრებიდან ფიქრებში, სევდიდან სევდაში, სინანულიდან სინანულში, მორჩილებიდან მორჩილებაში, სიჯიუტიდან სიჯიუტეში, პატიებიდან პატიებაში, მარტოობიდან მარტოობაში, ერთფეროვნებიდან ერთფეროვნებაში, საინტერესოდან საიტერესოში, უინტერესოდან უინტერესოში, მარტივიდან მარტივში, რთულიდან რთულში, მელანქოლიურიდან მელანქოლიურში, სისულელიდან სისულელეში, მღელვარებიდან მღელვარებაში, დასაწყისიდან დასაწყისში, დასასრულიდან დასასრულში, სიზმრიდან სიზმარში, ზღაპრიდან ზღაპარში...

...და ასე, დაუსრულებლად... ნეტავ, როდემდე?!

ერთი დაღლილი მგზავრი ამბობდა: „დიდი მეგობრობა ზღაპარშია, დიდი სიყვარული ზღაპარშია, დღეიდან ზღაპარში გადავდივარ!..“

– შენც ხომ არ გინდა ზღაპარში გადასვლა მეგობარო?..

იქნებ ჰკითხო საკუთარ მეს, ისიც გიპასუხებს, სხვა რა გზა აქვს? სად გაგექცევა? ...მაგრამ ისევ მოგზაურობას დავუბრუნდეთ, მაინც რა გამოვიდა ამ მოგზაურობიდან? ერთიდაიმავე წრეზე ტრიალებ? ისევ იქ ბრუნდები, საიდანაც მოხვედი?

– „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!..“

...და შენ ისევ ჯიუტად აგრძელებ გზას, უფრო სწორად კი მოგზაურობას განზომილებებში...

ერთიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მეშვიდეში, მეცხრეში... ისე მეცხრე ალბათ ყველაზე საინტერესოა, ამ დროს ალბათ ყველაზე ახლოს ხარ ცასთან, „მეცხრე ცასთან“, აბსოლუტურად ინერტულ და პროსტრაციულ განზომილებაში... უკვე თვლაც აგერია, იმდენია განზომილება და არც მთავრდება შენს ჯინაზე!.

...იღლები, ისვენებ, იღლები, ისვენებ, იღლები, იღლები, იღლები...

– რა კარგია დაღლა – აი მაშინ გრძნობ, რომ უაზროდ არ გიხეტიალია, უაზროდ არ ამოსულა მზე და არც მთვარე ჩავა უაზროდ, რადგან, ამ სამყაროში ყველაფერი გათვლილია, იქნებ დათვლილიც.

შენ ახლა კოსმიურ მუსიკას უსმენ და ეს გამშვიდებს, სადღაც, გულის სიღრმეში გრძნობ – შენში რაღაც ახალი ხდება და აუცილებლად მოგიწევს პარამეტრების შემცველი უმარტივესი უტოლობების ამოხსნა. შენი გრავიტაციული გონებისთვის ეს არცთუ ისე რთულია და შენც მორჩილად – ხსნი ყველა უტოლობას.

დრო არ ჩერდება და მაინც – დროს ვერ გრძნობ...

რაღაც გიხმობს – შორეული, ახლობელი ნაცნობი განცდა, ვიღაც გიხმობს, ხმა არ გესმის, მაგრამ გრძნობ...

– გრძნობ, დროა შენს სახლში – დედამიწაზე დაბრუნდე, რადგან მხოლოდ იქაა ფიქრები ცაზე შორი, გრძნობები „სერაფიმთა ბაგეზე უნაზესი, ფაქიზი“, იქაა შენი სევდის ნავსაყუდელი..

ყველა თავის წიაღს უბრუნებდება, რამეთუ: „რაიც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია, და რაც აწი იქნება, ის უკვე იყო“... (ეკლესიასტე, 3,15)

შენ ახლა გღვიძავს, ისე, თითქოს არასდროს გძინებია, ხედავ ბიოსფეროს, აკვირდები და და ხვდები, როგორ სძინავთ გრძნობებს, მშვიდად ძინავთ და პირზე ღიმილით ელიან დი(ა)დი გარდასახვის დაწყებას...

...მოსაღამოვდა.

...იქნებ გათენდა?!

– თუმცა ეს ახლა არაფერს ცვლის, რადგან უკვე სახლში ხარ... გრძნობ სხეულისა და სულის სიმსუბუქეს და უკვე აღარც გაინტერესებს, როდის დასრულდება ზამთარი შენი მღელვარებისა...

ევა შენთვის შექმნა არსთა გამრიგემ!.. შენთვის შექმნა, რათა მიწიერი ცხოვრების შემდეგ, მარადიულში გადასასვლელ გზასთან ახლოს, მისი სუნთქვა იგრძნო და ერთად გადახვიდეთ უსასრულობაში...

– საწყისი კი პირველყოფილი, პირველქმნილი მარადიული კოსმიური ევაა, სამყაროს უსასრულობის უკეთ შეგრძნობისთვის შექმნილ ადამთან ერთად!..

ლუიზა ბოჩორეა-ხვიჩია

წიგნი დიდ კაცზე....

„ყველაზე მეტად მაკლიხარ და მენატრები“, –ასე იწყებს ცნობილი მათემატიკოსის, საზოგადო მოღვაწის, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის, პროფესორ ლაზო ზამბახიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულს მისი ქალიშვილი – ნინო ზაბბახიძე. წიგნის ავტორი და შემდგენელია მისი მეუღლე ლიკა დგებუაძე.

კარგო მეცნიერო, კარგო ქართველო, კარგო კაცო! – კრებულის წერილებში უამრავი აღმატების ნიშანი, უამრავი ქათინაური მიმოუბნევიათ და უთქვამთ ყოფილ სტუდენტებს, თანაშრომლებს, მეგობრებსა და ნათესავებს.

რა მძიმე ჯვარია კაიკაცობა და რა ბედნიერებაა, როცა გრძნობ, რომ არ გატყდი, არ მოიღუნე, არ განილიე, ხელში არ შემოგადნა ის, რაც ერთხელ იწამე შენი არსებობის აზრად და მიზნად! ამიტომაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა თქვა: „ლაზო ზამბახიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სინდის-ნამუსიაო“.

ამ გამოთქმაში გარდა ჭკუისა, ბატონი ლაზოს, უანგარო, რაინდული ბუნება ჩანს თავისი ზნეობრივი მაქსიმალიზმით. მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ბატონი ლაზო ახალგაზრდობასაც, სტუდენტებსაც შეეწია თავისი სპეტაკი სულით. ძნელია კარგი მეცნიერობა! არანაკლებ ძნელია დღევანდელობაში იყო ღირსეული ადამიანი. რამდენი რამ უნდა გადაარჩინო! შენი სულის სიღრმეში, ხელშეუხებლად შეინახო ის საუნჯე, განგებამ რომ ჩაგაბარა სასოებით. მან კი დააფასა ღვთისა და ბუნების წყალობა .იყო უნივერ-სიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი 28 წლის განმავლობაში, ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფიზიკა-მათემატიკისა და ტექნიკის რედაქციის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი.

წიგნს წითელ ზოლად გასდევს ლაზო ზამბახიძის ჯანსაღი ეროვნული გრძნობა. როგორც მეცნიერი, ის გამორჩეული ბედის ოსტატია, თუ „ბედში“ გუმანსაც ვიგულისხმებთ და იმასაც, რომ ასეთი მეცნიერები თვითონ ირჩევს თავის გზას. შეიძლება ითქვას, ეს ორივე ტიტული შედგა ერთ ადამიანში.

თითოეული წერილი-მოგონება სიყვარულის ახსნაა – ძმობის გამოცხადებაა. როცა ამ წერილების კრებულს კითხულობ, გგონია ღია სარკმლიდან რეალურ ქვეყანაში იცქირები. ვკითხულობთ წერილებს და გვგონია, წერილი წერილი არაა, მოგონება მოგონება არაა, უმალ, პატარა პოემებია პროზაში. ეს მოგონებები უარყოფს ტრადიციულ ჟანრებს, ჟანრგარეშეა, განდგომია მათ. წიგნი დოკუმენტურია. დოკუმენტალობაშია მისი ჯადო და ფასი.

უფლება ჰქონდა, თავაწეულს ევლო...

გეოგრაფი, სპელეოლოგი, პრომეთეს მღვიმის აღმომჩენი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სერგეი მესხის პრემიის ლაურეატი, ფაზისის აკადემიის წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოების საპატიო წევრი, გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე...

ჯუმბერ ჯიშკარიანს 8 აგვისტოს 80 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონი ჯუმბერი ისე მოკვდა, როგორც იცხოვრა – მოკრძალებულად, ვაჟკაცურად.

ყველას როდი უწევდა მის გვერდით მუშაობა. მე კი ბედმა გამიღიმა. მისი კარი ჩემთვის მუდამ ღია იყო. პირველად მასში ერთი მკაცრი, უკარება კაცი დავინახე. შემდეგ საოცარი გარდაქმნა მოხდა და ანაზდად სხვა ადამიანი ვიხილე.

ლოცვა-კურთხევას ვუგზავნი მამაზეციერს, რომ შემახვედრა ჯუმბერ ჯიშკარიანს. ბატონმა ჯუმბერმა თვითონ გამოჭედა თავისი არაჩვეულებრივი ბედი.

შიში რა იყო, არ იცოდა, მხოლოდ საკუთარი სისხლის თამაში აშინებდა, ალბათ, იმიტომ, რომ მხოლოდ მან იცოდა მისი უსაზღვროება.

მხედველობა დაკარგა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია ამ ზღაპრულ, საკვირველ, დაუძლეველ ოპტიმისტს. ცხოვრებისათვის ბრძოლას განაგრძობდა, რაშიც გამუდმე-ბით გვერდში ედგა ვაჟიშვილი – ლევანი.

სამართლიანობის ავადმყოფური სიყვარული გააჩნდა. გონებრივი მუშაობისაგან დაღლა ამ რკინის სხეულმა არ იცოდა. უმაგალითოდ სიცოცხლისუნარიანი იყო. ზუსტი მეხსიერება ყოველ გარდასულ წვრილმანს აღადგენდა, არაფერი იკარგებოდა მის ხსოვნაში.

ბატონო ჯუმბერ! გმადლობთ გრძნობის, სიკეთისა და მადლისათვის.

ილოსპირელის ჩანაწერები

მიხეილ ღანიშაშვილი



ბებოჩემი და იმისი საციქველ-ჯამ-ჭურჭელი

*(დასასრული)

ხ ო ნ ჩ ა

ზემოთ ვთქვი ბებოჩემის მამის, ბერი პატარაშვილის ჯალაფობის ილტოს ხეობაზე, სოფელ ჩაფრთაში ჩამოსახლების შესახებ. უნდა მივუბრუნდე ამ საკითხს. ბერი შეძლებული კაცი ყოფილა, მრავლშვილიანი, ცხვარ-საქონლიანი. ამბად არის დარჩენილი ხეობაზე, რომ მარტო თორმეტამდე ძაღლი ჰყოლია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძაღლებისაგან საპატრონოც შესაბამისი ექნებოდა. სამი ვაჟიშვილი ჰყოლია ბერს და სამივენი ცხვარ-მეცხვარეობას გაჰყოლიან. რამდენიმე ათასობით სულამდე მოუმრავლებიათ. ელდარ-სამუხში აზამთრებდნენ თურმე ძმები ფარებს. გვიან, მაგრამ მაინც საბჭოთა ხელისუფლებას კულაკებად შეურაცხია და მთლიანად ჩამოურთვია ეს ავლა-დიდება. ერთი ხალხური ლექსის ორი სტრიქონია შემორჩენილი:

ცოდვა კი არი, სინიკო,
პატარათ ბერის წინ იყო...

ეს სინიკო ერთი უპოვარი კაცი ყოფილა. კოლექტივობისას, არ ვიცი, როგორ ან რანაირად, სადღაც რაღაცაში ფეხი ბერის წინ წაუდგამს სინიკოს და ამაზე გამოულექსებიათ სოფლელებს. ლამაზი ქალი ყოფილა ბებოჩემი და ლამის სიბერემდე ასეთი დარჩა. მაღალი, ცისფერთვალება, დალალებდაჭაპნული, თეთრი პირისახისა, ლერწამივით სხეული – ასეთი მახსოვს. ცამეტი წლისა გამოუთხოვებიათ ჩაფართიდან ჭართალაში პაპაჩემ მიხეილზე. ორი-სამი შვილი პატარებივე დახოციათ, ბოლოს ოთხი შვილის დედად შემორჩა თავის ორგზის დაქვრივებულ სიბერეს. საკმაოდ დიდხანს იცოცხლა და თან ისე, რომ არც სმენა დაუკარგავს, არც მხედველობა, არც მეხსიერება. მისი სიცოცხლის საიდუმლოება, მე მგონი, ის იყო, რომ არ მახსოვს ხორცეულისა და მარილიანი საჭმლისთვის პირი დაეკარებინოს. თამბაქოდამოკიდებული იყო, დღე და ღამე ბურნუთს იყრიდა ცხვირში. ეს მართვეინებს და მაძლებინებსო, – იტყოდა ხოლმე. და კიდევ მისი სამზარეულო საციქველი და ჯამ-ჭურჭელი. რომელიც ასე ეკოლოგიურად სუფთა იყო ყოველთვის... ჰოდა, მოვიდეთ პირველსავე სიტყვას და ამჯერად ხონჩაზე შევჩერდეთ

ხ ო ნ ჩ ა ერთი კი არა, მგონი ორი-სამიცა ჰქონდა ბებოჩემს. ხონჩაზე ბევრისა და განსხვავებულის თქმა გამიჭირდება, რადგან ის, ფაქტობრივად, იგივე ხონაა, ოღონდ შედარებით მომცრო ზომისა, დაბალფრთიანი, თხელმერქნიანი და უფრო კომპაქტური. მასალად ხინჩისთვისაც იგივე ხე გამოიყენება, რაც ხონისთვის. თუმცა დამუშავებითა და მხატვრული გაფორმებით შედარებით დახვეწილია. ბებოსეულ ერთ ხონჩას ფსკერზე წრეში ბორჯღალი ეხატა, ფრთის შიდა კიდეებიც ტვიფრ-ხატული იყო მტრედებითა და მერცხლებით, რომლებსაც ვარსკვლავები აშორიშორებდნენ ერთმანეთს. ხონჩის დიამეტრი 20-25 სანტიმეტრამდე იქნებოდა, ხოლო გადაშლილი ფრთა ალბათ 30-35 სანტიმეტრამდე გაზრდიდა მის საერთო ფართს. ერთი ხონჩა „წმინდად“ ინახებოდა, ზედ მხოლოდ სახატო ქადა–პურს, სანთელ-ჩიქილას დადებდნენ, სხვა ხონებით კი სუფრაზე ნებისმიერი საჭმლის შემოტანა–ჩადგმა იცოდნენ. ხონჩა ყოველთვის აქტიურ გამოყენებაში იყო რიგ საოჯახო და საკუჭნაო-სამზარეულო საქმიანობაში. ხონჩით მიაწვდიდნენ ან წაუღებდნენ მონახულების შემთხვევაში მეზობელ-ნათესავს მისატან-საჩუქებელ პროდუქტეულობას. ზემოდან ხონჩასაც სუფთა ტილოს ნაჭერს გადააფარებდენ, ხშირად თავისივე ხელით ლამაზად მოქრგულს. ხონჩას ბებოჩემი სხვა ჯამ-ჭურჭელთან ერთად ცხელი შრატით რეცხავდა და მალე ჩამოშრობის მიზნით გვერდულად დააყუდებდა ხოლმე.

ხონჩასთან დაკავშირებით გაგონილი ორი ხალხური ლექსი მახსენდება. ერთი ალბათ სულ მცირე ნაწყვეტია რაღაც თემაზე დაწერილი ლექსისა და ასე ჟღერს:

ტაბაკ, ტაბაკ, ხონჩა-ტაბაკ,
შინა მაქვის, შორს არ გამქ.

ხოლო მეორე სრულფასოვანი გალექსებაა და საკმაოდ იუმორიდტულად ასახავს სასიყვარულო სამკუთხედის დრამას. კაცს საზამთროდ ძროხა დაკლია, კაღად (ჰაერზე გასაშრობ-გასახმობად - ასეთი წესით იცოდნენ მთაში საზამთროდ ძვლიანი ნაჭრების შენახვა) გაუკიდია და როცა მოხარშავდნენ ხოლმე, ცოლი თურმე, როგორც თავად ლექსიდან ჩანს, მალულად ხონჩით უზიდავდა ამ ხორცს თავის საყვარელსა თუ წაწალს:

ე ზამთარ კარგა გავლიე,
მართაი მკვებდის ხორცითა,
ხარშავდის ყაღად გაკიდულს,
გამამიტანის ხონჩითა,

***დასაწყისი იხ. „ანეული“, 2, 2018. გვ. 71.**

მე და მაგის ქმარ გოგალე
ერთ ძროხას ერთად მოვრჩითა.

კარგად და ცხადად მახსოვს ზამთარი ჩვენს საყვარლად ძველსა და დიდ სახლში: ხონჩა იდგა საახალწლო სუფრი შუაში ნუგბარ-ნუგბარი სასუსნავებითა და ხილ-ტკბილეულით დახუნძლული და ბალღებს, უპირველეს ყოვლისა, იმისკენ გაგვირბოდა ხოლმე მაცდური მზერა...

ტ ა ბ ა კ ი

ძმებში უფროსი ვარ. მანამდე ჩემს დედ-მამას სამი ქალიშვილი შეეძინათ ზედიზედ. მოგეხსენებათ, მთაში ქალის შეძენას დიდ ვერაფერ ბედენად თვლიდნენ. მე რომ გავჩენილვარ, ყველას გახარებია და ბებოჩემს – განსაკუთრებით: „უძეოდ აღარ გადაეგება ჩემ შვილიო, – უთქვამს გალაღებულს და რაკი კვირა დილით დავბადებულვარ, დაუმატებია, – ემა ბალღს კვირია მააქვიენეთ, ქუდ-ბედ დაენათლება, ღვთისშვილის ყისმათზე ილისო!“

კვირია, კვირაე, კვირა, ერთ-ერთი უმთავრესი ღვთისშვილია ცა-ქვეყნიერების შემქმნელი მორიგე ღმერთის კარზე, საკმაოდ დიდი და ვრცელი უფლებებით, დიდი ძალის, გავლენისა და მადლის მქონე. თუმცა ჩემმა მშობლებმა ბებოჩემის სესახელება ურყვეს, მე მას მაინც ძალიან ვუყვარდი, თან დამიყოლებდა სადმე წასული, საღამოობითაც ხშირად მომისვამდა თავის ოთახში მოგიზგიზე ბუხრის ახლოს და მიყვებოდა ათასგვარ საინტერესო ძველ ამბებს. განსაკუთრებით ხატ-სალოცავების, ლეკების მიერ ტყვეთა ტაცებისა და დევ-ეშმაკების ამბების მოყოლა იცოდა...

სტუდენტობისას, რამდენჯერაც არ ჩავიდოდი სოფელში, პირველ რიგში იმას მკითხავდა, თუ რამდენი წლის ვიყავი და ციცერონის კართაგენი უნდა დაინგრესავით დააყოლებდა: „უკვე კილოსა ხარ (ანუ – დროა, რომ...), შვილო, მაიყვანე ვინა, ეგრე ხავრ უნდა ჩამაჰბერდეო“. სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა, რომ ჩემს დაცოლშვილებას ვერ მოესწრო. არადა, როგორ ეინტერესებოდა... სულ მახსენდება: ყავარჯნით ხელში, შავად ჩაცმულ-დახურული, ზამთა-ზაფხულ შავ ჩიქილამოხვეული, ნელი ნაბით კი არ მოდის, მოცოცავს ეზოში ჩვენი ბებერი, გადაბარჯღული, დიდი თხილის ქვეშ გამართული მაგიდისაკენ, ჩამოჯდება ხის გრძელ ძელსკამზე და იტყვის: „დაბუნდოვდეს, მაუკვდეს პატრონი ე სიბერის მამგონსა, შვილო, აღარაის თავი მაქვ, აღარაისი, კი მოვესწრებიაია აი გაზაფხულებასა... აინა, წყლა გადმამიტანე ემა ღარაიდანა, ე ტაბაკ გასარეცხ დამრჩენია გუშინ ამ გადაყრუებულს, ამასა.“

ტ ა ბ ა კ ე ბ ი ერთი კი არა, რამდენიმე ცალი ჰქონდა ბებოჩემს. ისინი, სიდიდ-სიპატარავის მიხედვით, ერთიმეორის მიყოლებით დალაგებულიც კი საოცრად ლამაზი სანახავი იყო. სულ დიდს მომდევნოები შვილებივით უსხდებოდნენ კალთაში. ზუსტად არ მახსოვს, თუმცა მათი რიცხვი ოთხი–ხუთი აუცილებლად იყო. ტაბაკი გრძელი ფორმისა იყო, ყველაზე დიდი ალბათ მეტრამდე მაინც, სიგანით 40–50 სანტიმეტრი, მომდევნოები, შესაბამისად სიგრძეშიც და სიგანეშიც კლებულობდნენ. ტაბაკი უპირატესად პანტის ერთიანი ნახეთქი პლახისგან ითლებოდა თხელ ფიცრად და ოდნავი, 1-1,5 სანტიმეტრის ჩაღრმავება ჰქონდა. თავ-ბოლოში 3-4 სანტიმეტრზე გაშვებული ფრთები გადასდიოდა. ბებოჩემის ყველაზე პატარა, რუხი ფერის ტაბაკი ალბათ სირძით 30–35, სიგანით კი 18-20 სანტიმეტრისა იქნებოდა. კარგად მახსოვს, მსუბუქი, მორჩილი და რაღაცნაირად მარჯვედ სახმარი საციქველი იყო, ბევრჯერ გადმომიღია ჯერ კიდევ ორქოლამდინარი ხინკალი იმ ტაბაკიდან. სხვადასხვა ფიგურებითა და ხაზებით ტაბაკის მორთვა ჩვეულებრივი ამბავი იყო, თუმცა სრულიად უფიგურო, სადა ზედაპირითაც ხშირად გვხდებოდა. ტაბაკზე იცოდნენ ამოღება ცომისა, მისი დაგუნდავება, ათხელებდნენ ქადა-პურებს, ხინკლის ქერქს, ახვევდნენ ხინკალს, მიკეცავ-მიანაოჭებდნენ ანტრიას. ტაბაკზე ამოსვამდნენ მჭადს, პურს, ქადას, ამოიღებდნენ ხინკალს. ტაბაკზე აშრობდნენ ჩირეულობას. იყენებდნენ სხვა დანიშნულებითაც.

ამ ტაბაკთან დაკავშირებით დედაჩემის მიერ ნათქვაი ერთი პატარა ხალხური ლექსი მონდა მოვიტანო აქ. როგორც ამ ლექსიდან ჩანს, მთაში ტაბაკი ეტყობა საქორწინო მზითის განუყრელი ნაწილიც კი ყოფილა:

სავსენ იყნენ ჩემნ ჯალაფნი
ჩემ მამაის ამაგითაო,
მარტო ეთერ გაამზითვეს
პანტის ცხრა ცალ ტაბაკითაო,
წელმოწყვეტილნ მიდიოდენ
ცხენ-ჯორები აბარგვითაო.
დატვირთულნი, დაზნექილნი
ათას ხუბაკ-ხაბაკითაო.

ც ხ რ ი ლ ი

შეიძლებოდა ჩემი ჩანახატების სერიის ამ თავისთვის ასეც მეწოდებინა – ცხრილ–ცხავ–საცერი. იმიტომ, რომ, არსებითად, ეს სამი სიტყვა ერთსა და იმავე ნივთს აღნიშნავს. ცხრილი კი იმითია საინტერესო, რომ უფრო არქაულია და მისი დამზადების ხელოვნებაც უფრო მეტად ხალხურ-ეთნოგრაფიულია...

იყო ზემო ჭართალაში, ე.წ. სახევსურეთოში, ერთი მოხუცი კაცი, გოგოთური. ბებოჩემთან შემოვლა იცოდა ბარისაკენ მიმავალმა. როგორ ცხადად და მკვეთრად მახსოვს ეს წარსულის ჩრდილიდან გადმოსული ადამიანი!

აგერ, თეთრი ცხენით მომდგარა ღობესთან. „ნინოო! – გამოსძახის ბებოჩემს, – აბა, გამაიარ აქაათ!“ – ხევსურია და ასე არაფშაურად იმიტომ უქცევს. გაეგებება ბებოჩემიც, თხორ-ნაშალის კუდივით გამობმული მივდევ იმისი შავ კაბის ბოლოს. დიდი კაკლის ხის ქვეშ, ღარის წყლათან, ბექზე სხდებიან. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ შინ ეპატიჟება ბებო სტუმარს. ის ურზეა: „ახმეტას მიოლ, ქალო, არ მცალის დიდის ხნით გაჩერება!“ მაშინ ბებო

თავად შედის სახლში, უკან მობრუნებულს პატარა ხონჩით პური, ხაჭო, მწნილი, თიხის დოქით ჟიპიტაური და ყანწურა მოაქვს და იქვე ბექზე აწყობს. „დაასხ, ბალღო!“ – მე მომართავს გოგოთური და მეც სასწრაფოდ ვავსებ ხარის რქას არაყით. რამდენიმე ყანწს სცლის და ისეთ ამბებს ყვება, ლამის ყურები ღოლოს ფოთლებივით ამიგრძელდნენ. სახენაკეჭნია ხევსური, სვილისფერი, ჩოხა-ახალუხი აცვია, ფეხებზე აზიურები, წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, მძიმედ და ხმელად მეტყველებს. მერე რა რომ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებია, მაინც ძველ დროში ცხოვრობს, ძველებურად ჩაცმულ-დახურულია, საგმირო-სავაჟკაცო ამბებს ჰყვება, განვლილსა და ნახულს იხსენებს და ამაყობს თავისი „საცდელით“. თურმე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად უბრძოლია „ბალშევიკების“, „წითლების“ წინააღმდეგ... „ბაგრატივან იყვა ქაქუცაი!“ – თავდაჯერებულად ჭედავ ფრაზას. მართალია, მე ჯერ ამ გვარ-სახელისა არაფერი გამეგება, მაგრამ რომ წამოვიზრდები, მისი ნაამბობი ქვეცნობიერი ლაბირინთებიდან ანაზდად წამომიტივტივდება და აი, ასეთ ლექსად გადაიწერება ფურცელზე:

გოგოთური (ესკიზი პორტრეტისათვის)

თეთრ ცხენზე იჯდა ყოველთვის
ნაიარევი სახითა,
შეუძახებდა საფერხეს,
მარდად მოსწევდა აღვირთა.
ცხრა ათეული აევლო,
სულ თეთრი ჰქონდა თმა-წვერი,
მაგრამ კვლავ ხელში ეკავა
ამაოების საცერი!..

ძველებურ შარვალ-ტალავრით, ძველებურ ქუდით, წაღებით, ჩამოივლიდა ზევიდან, – შორით ვუცქერდით ბალღები.

წელს ერტყა ვერცხლის ქამარი, ზედ ხმალ-ხანჯარი ეკიდა, შეჩერდებოდა ღელესთან, დაიძახებდა ბექიდან...

გვიკვირდა მისი იერი,
ისიც, რასაც ის იცვამდა,
სულ სხვა დროებით ცხოვრობდა,
სულ სხვა ადათ-წესს იცავდა.
ეფიხვნებოდა ბებოჩემს,
ამბებს ყვებოდნენ საოცარს,
სულ სამ რქა არაყს დალევდა,
აახსენებდა სალოცავს.
მერე ჭარმაგად, ყოჩაღად
წამოდგებოდა ბებერი,
ამხდრდებოდა ლამაზად,
როგორც მთიელ კაცს შეჰფერის.
დაუყვებოდა ბილიკით
ილტოს ხეობის ნაპირებს,
წაიმღერებდა: „ვაჟკაცი
მტრის დედას კვლავაც ატირებს!“
გარდაიცვალა. დამარხეს,
როგორც რიგია ხევსურთა,
ცხადია, ყველა ადათი
წესებისამებრ შესრულდა.
მაგრამ ყოველთვის თან მდევდა
მისი ლანდი და აჩრდილი,
მისი სულის სიმაღლე,
იმისი სახე აჩრჩნილი.
თურმე უბრალო არ იყო,
ერთი შეხედვით, მარტივი,
ჩოლოყაშვილთან იბრძოდა,
მტკიცე, გუდანის ხატივით...
ეტყობა, სალი კლდე იყო,
ცხოვრებამ რომ ვერ გატეხა,
მოკვდა, ჩავიდა საფლავში,
მაგრამ იქაც – კლდის ნატეხად!..

„დამიტყდენ, გოგოთურო, აი შენ გაკეთებულ ცხრილნი, აღარაადა ვარგიან...“ – ეშმაკურად აპარებს ბებო და მოლოდინშია, რა პასუხს გასცემს გოგოთური, გაუმართავს თუ არა ახალს. “დაგიტყდეს და ახალს მაგიღებ, ქალო, ეგ რა საწუხ-საწუწუნოა ეს, – ასევე ეშმაკურად ეცინება ხევსურს, – კოდელნინოი ხარ სწორად, მე და ჩემ ღმერთმ, თუ რამეს არ გამსჩი კაცს, ისე ხო არას შაასმევ....“

ცხრილებსა და მისთანებს სოფელში გოგოთურიც აკეთებდა და სხვა კაცებიც. მონახავდნენ დიდ, განიერ ბალამწარის ხეს, აჰყროდნენ ქერქს და სანამ ნედლივე იყო, დაამოშავებდნენ, გამოჭრიდნენ იმ ფორმითა და ზომით, როგორი და რამხელაც უნდა ყოფილყო საციქველი, მოამრგვალებდნენ და შეკერავდნენ. ქერქის ამოკერვაც და ძირზე ფხალა, კუბოკრულად დაჭვრეთილი კვადრატების გამოყვანა უკვე სხვა ხის, ლაფნისაგან ხდებოდა. ლაფნის ქერქს გაორტყავებდნენ, შიგნითა, უფრო ელასტიურ ნაწილს შეჰკონავდნენ და რამდენიმე დღით კარგად დასალბობად წყალში ჩადებდნენ, მერე ცხრილს დაუმუშავებდნენ ქვედა მხარეს, ლაფნის ვიწრო, თასმისებურ სარტყლებს გასჩხიბ-გამოსჩხიბავდენ ისე ლამაზად, მწყობრად და პროპორციულად, რომ ნაკეთობა პრაქტიკული თვალსაზრისითაც და ესთეტიკურადაც წარმატებული ყოფილიყო.

ცხრლებიც ორი-სამი ჰქონდა ხოლმე სახლში ბებოჩემს, სხვადასხვა ზომისანი. საშუალოდ მათი რადიუსი 35-40 სანტიმეტრი თუ იქნებოდა, კედლის ბორტის სიმაღლე კი ალბათ – 8-10 სანტიმეტრი. ცხრილში სხრილავდა ბებო თავთავ-პურეულს, სხვადასხვა წვრილმარცვლოვან ბაღჩა-ბოსტნეულს, ახმობდა და დროებით, გამოსაშრობად, ინახავდა მასში ჩირეულობას.

ცხრილთან კავშირში ერთი ასეთი ხალხური აფორისტული ლექსი მაგონდება:

გინდა ილალოს უთქომის,
გინდაც ცხრილმ წყალი ცხრილოსაო,
ორთავ ერთი სძე ფას-წონა,
ვინც რამთვენ უნდა ხილოსაო.
ნათქომს თუ საქმეც არ ახლავს,
რა ხეირია, შვილოსაო?

ხის საციქვლისა და ჯამ-ჭურჭლის გარდა, პარალელურად და ლამის დუბლირებულადაც კი ბებოჩემს სპილენძის უამრავი ნივთ-ჭურჭლეულობა გააჩნდა.

უკვე გამოქვეყნებული მასალების გაცნობისას მკითხველს გაუჩნდა შეკითხვა; მაქვს თუ არა კიდევ ბებოჩემის ნაქონი ეს ძველი ნივთები დღეს სოფელში? სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი იმსხვერპლა ხანძარმა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში გაუჩნდა ჩვენს მამაპაპეულ სახლ-კარს ჭართალაში და ყველაფერი ფერფლად აქცია. ზოგი რამ ისე გაიბნა-დაიკარგა, ზოგი რამ კი გადარჩა და კვლავაც მოგვეძევება სახლში. უნდა გითხრათ, რომ ერთი დიდი ბედნიერება ისიც არის ხოლმე ჩემი სოფლეში სტუმრობა-ყოფნისას, როდესაც ამ ნივთებს ვუყურებ და ვეხები. ისინი პირველყოფილი ბუნებრიობისაკენ მაბრუნებენ და ისე მიხალისებენ სულს, როგორც დედის ტკბილი ნანა კალთაში გატრუნულ ჩვილს... წარსულსა და სიძველეს მაინც სულ სხვა ხიბლი და თილისმა აქვს, უმისოდ მე, პირადად, ალბათ უფრო მეტად გამიჭირდებოდა სუნთქვა და შემოქმედებითი ჩალიჩი მწერლობისა და პოეზიის ხრიოკ ზეგნებზე.

• • •

დროა, გასცდეს საქართველოს ფარგლებს

გოდერძი ჩოხელი რომ ქართული სულიერი კულტურის განსაკუთრებული მოვლენაა, ამ აზრს დრო და ხანი სულ უფრო საჩინოს ხდის.

გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ საქართველო უკეთ აცნობიერებს გოდერძი ჩოხელის, როგორც ხელოვანისა და მოაზროვნის ღირებულებას. იგი თავისი წიგნებითა და ფილმებით დღესაც მოქმედია, რადგან რასაც ის თავის დროზე გვთავაზობდა, მარტო იმ ეპოქის კუთვნილებად ვერ ჩაითვლება. დღესაც და მომავალშიც დასჭირდება ადამიანთა მოდგმას, სადაც ასე აღზევებულა სიძულვილი და დაუთმენლობა!

ბოროტება მხოლოდ სიყვარულით, მიტევებით, მადლის მოსხმით დაიძლევა – ასე სჯეროდა გოდერძი ჩოხელს და თავისი სულის გამონაშუქით, სიტყვისა და კინემატოგრაფის ენით ამაზე ფიქრს ასწავლის კაცობრიობას.

ვერ ვიტყვით, რომ გოდერძი ჩოხელი არ ახსოვთ, ან დაფასებული არ არის თავის ქვეყანაში. მასზე დაიწერა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, იმართება სამეცნიერო კონფერენციები, კულტურის სამინისტროსა და ფონდ „კულტურათა დიალოგის“ თაოსნობით, 2014 წელს დაარსდა მისი სახელობის ლიტერატურული კონკურში „ერთგულება“. ჩოხელის ნაწარმოებები მრავალგზის დაიბეჭდა ქართულად, ასევე ითარგმნა და გამოიცა რამდენმე უცხო ენაზე: რუსულად, იტალიურად, იაპონურად, ინგლისურად. ახლახან კი, გერმანულმა გამომცემლობამაც დაბეჭდა ჩოხელის რომანი „მგელი“, რომელიც ანასტასია ყამარაულმა თარგმნა. ეს ყველაფერი დასაფასებელი და ანგარიშგასაწევია.

თუმცა, მე მგონი, მაინც ძალიან მინიმალურია იმასთან შედარებით, რასაც გოდერძი ჩოხელის ფენომენი იმსახურებს. იგი ხომ სრულიად უნიკალური მოვლენაა, რომელიც თანაბრად ძლიერია პროზასა და კინემატოგრაფში. ამ მხატვრული ძალმოსილების ავტორი, დროა გასცდეს საქართველოს ფარგლებს, რათა უფრო ხმამაღლა ვამცნოთ მსოფლიოს, რომ მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე ჩვენ გვყავდა ხელოვანი, რომელმაც თავისი სულის დულილით საკაცობრიო კულტურაც გაამდიდრა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართული კინოს ჩვენებები თუ ფესტივალები რამდენიმე ქვეყანაში გაიმართა, მაგრამ არავის გახსენებია მათში გოდერძი ჩოხელის ჩართვა. ეს ყველაზე კარგი ხერხია ნამდვილისა და ფასეულის მისაჩქმალად, მაგრამ ჩოხელის შემთხვევაში ეს დიდი უსამართლობაა, რაზეც გვმართებს ხმის ამოღება და სიმართლისთვის თვალის გასწორებაც!

ჩვენ ასობით მწერალი და კინორეჟისორი გვყავს, მაგრამ უმეტესობა ქმნის ერთნაირად კარგ პროზას და დაახლოებით ერთნაირ კინოს, ამ რუტინული კარდიოგრამიდან დიდი ამოხტომები იშვიათად ხდება და ასეთ გამონაკლისთა სათვალავშია გოდერძი ჩოხელი.

ქვეყანას მართებს უფრო მეტი გააკეთოს მისი სახელის გასავრცობად. კულტურის სამინისტრომ სამომავლოდ აუცილებლად უნდა იფიქროს გოდერძი ჩოხელის რეტროსპექტული ჩვენებების გამართვაზე მსოფლიოს ისეთ ცენტრებში, როგორიც არის: პარიზი, ლონდონი, რომი, ბერლინი, ნიუ-იორკი, ტოკიო. ამასთან, საჭიროა კლასიკურ ენებზე წინასწარ გამოიცეს ჩოხელის რჩეული პროზისა და პოეზიის თარგმანები, რათა მოხდეს მისი, როგორც მრავალმხრივი ხელოვანის მთლიანობაში აღქმა.

გაოცებას გადაჩვეული სამყარო კი ამით ხელახლა აღმოაჩენს დიდ ქართველ ხელოვანს გოდერძი ჩოხელს და საქართველოს!

გიორგი ლალიაშვილი

ხათუნა ჩაქვიაშვილი

„შეიყვარეთ სიყვარული“

1992 წლის 5 დეკემბერს მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ალექსანდრე ნეველის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამღვდელოებასთან ერთად წესს უგებდა 30 წლის მანძილზე საქართველოში მოღვაწე დიად ბერს, სქემარქიმანდრიტ ვიტალის (სიდორენკო). პატრიარქმა შენდობის ლოცვა წაიკითხა და ფურცელი დეკანოზ პავლე კოსაჩს გადასცა, რათა მამა ვიტალისთვის ხელში ჩაედო. ამ დროს გარდაცვლილი ბერის ხელის დიდი თითი გაიშალა, მღვდელმა ლოცვის ფურცელი მის ხელისგულზე დადო და ხელი ისევ შეიკრა. თვითონ! „იმდენად თავზარდაცემული ვიყავი, – იხსენებდა მამა პავლე, – რომ მოულოდნელობისგან წამოვიყვირე: „თვითონ გამომართვა!“ – და მხოლოდ მოგვიანებით მივიღე ეს ფაქტი ჩვეულებრივად – ის ხომ არაამქვეყნიური ადამიანი იყო.“

„თვითონ აიღო!“ – დამიდასტურა გვერდით მდგომმა მღვდელმა მიქაელ დიდენკომ.

უწმიდესმა პატრიარქმა თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ დაიქნია თავი და მსახურება განაგრძო. მღვდელმსახურთა ეს რეაქცია დაფიქსირდა დიდი ბერის დაკრძალვის ვიდეოგადაღებით. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მამა ვიტალიმ ერთ თავის სულიერ შვილს უთხრა: „დების ცრემლებისთვის საფლავიდანაც კი გამოვიწვდი ხელს“. მაშინ ამ სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქცია...

* * *

1928 წელს კრასნოდარის მხარის სოფელ ეკატერინოვკაში დაიბადა ჩვილი, რომელსაც ვიტალი უწოდეს. ჯერ კიდევ მისი მუცლად ტარებისას დედა ასე ლოცულობდა: „ღმერთო, ისეთი ბავშვი მომეცი, რომელიც სასურველი იქნება შენთვისაც და ადამიანებისთვისაც“. მან სიზმარში ორი ნათელი მზე იხილა და გაუკვირდა: „საიდან ორი მზე?“ პასუხად ჩაესმა: „ერთი მზე შენს საშოშია“. რვა დღის ჩვილი ნათლობისას იღიმებოდა, ემბაზში კი ფეხზე დადგა.

როცა გამართულად კითხვა ისწავლა, მისი საყვარელი საკითხავი წიგნი სახარება გახდა – თან დაჰქონდა და ყველას უკითხავდა. ლოცვისთვის განსაკუთრებული ადგილები ჰქონდა. სწავლასთან ერთად, კოლმეურნეობაშიც მუშაობდა და ოჯახს ეხმარებოდა.

თანასოფლელებს ვიტალი უყვარდათ. ბავშვობიდან გონიერებითა და განსაკუთრებული მგრძნობიარობით გამოირჩეოდა. სოფელში დიდხანს იხსენებდნენ ასეთ შემთხვევას: ტრაქტორისტმა მიტოვებულ კარ-მიდამოზე გაიარა, მაღალ ბალახში ჭა ვერ შეაჩნია და შიგ ჩავარდა. მანქანა გაიჭედა – ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან. ტრაქტორისტი გარშემო უვლიდა და იგინებოდა. ამწე მანქანის დახმარებას აპირებდნენ, მაგრამ მორწმუნე ქალებმა პატარა ვიტალის მოყვანა ურჩიეს. ყველას ეჭვი ეპარებოდა, რომ სუსტი ბიჭუნა რამეს შეძლებდა. ვიტალიმ სამჯერ შემოუარა ტრაქტორს, ჯვარი გადასახა და ტრაქტორისტს ღიმილით მიმართა: „გასწი, ახლა დაიძვრება!“ „თავი დამანებე, შენთვის არ მცალია!“ – უპასუხა მან, მაგრამ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, ბუზღუნით დაჰყვა რჩევას და მანქანისკენ გაემართა. როგორც კი შეეხო და დაქოქა, ტრაქტორი სულ ადვილად ამოვიდა ორმოდან...

ვიტალიმ სკოლაში მხოლოდ 6 კლასი დაამთავრა, შემდეგ კი ტაგანროგში მწირის ღვაწლი იტვირთა... გარკვეული ხანი მან გლინის უდაბნოში გაატარა, შემდეგ კი წინამძღვარმა, მისმა სულიერმა მოძღვარმა კავკასიაში გაგზავნა. ღამით მამა სერაფიმემ და მამა ანდრონიკემ იგი სამონოზვნედ აღკვეცეს. ამის შემდეგ მამა ვიტალი სოხუმში, იქიდან კი მაღალმთიან ბარგანში გაემგზავრა. 1958 წელი იდგა...

ეგვიპტის უდაბნოს მსგავსად, კავკასიის მთებიც უძველესი დროიდან ასკეტური მოსაგრეობის ადგილი იყო. აქ შეუდგა ის ღვაწლს, რომელიც 10 წელი გაგრძელდა მეტისმეტად მძიმე და ფიცხელ პირობებში. მისი, ჯერ კიდევ მწირობის პერიოდში შერყეული ჯანმრთელობა აქ კიდევ უფრო გამწ-

ვავდა, მაგრამ ამან ის ვერ შეაჩერა. ამას ისიც ემატებოდა, რომ მათი საცხოვრებელი ადგილიდან აუცილებლობისთვის ჩამოსვლა და შემდეგ კვლავ უკან დაბრუნება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული – სხვა ყველაფერთან ერთად, 33 მდინარის გადალახვაც უწევდათ.

* * *

გასაოცარი იყო მამა ვიტალის სიმდაბლე, მიტევებისა და სიყვარულის უნარი.

ერთხელ ერთმა ძმამ, რომელიც სხვა მინდორზე მოსაგრეობდა, მამა ვიტალის პურის გამოცხობა და მისთვის მიტანა დაავალა. ვიტალიმ პური გამოაცხო, მაგრამ რადგან დანარჩენი ძმები სოფელში იყვნენ წასულები, მას კი ჩექმები არ ჰქონდა, ფეხებზე ნავთი შეიზილა და ფეხშიშველმა იარა თოვლში, წყალში, ქვებზე. ასე გაიარა რამდენიმე კილომეტრი და მივიდა იმ ძმასთან, მან კი დახედა პურს და თქვა, ასეთს არ შევჭამო. ვიტალი ხმაამოუღებლივ გამობრუნდა და უკან წამოვიდა.

ეს რომ შეიტყო, ერთ-ერთი ძმათაგანი აღშფოთდა და უთხრა, ამ „თავხედთან" მეტად ნუ წახვალო, რაზეც მამა ვიტალიმ უპასუხა: „არა, ბერებს ასე არ უსწავლებიათ ჩემთვის, ისინი მარიგებდნენ: თუკი შენთან მოვა ძმა და დახმარებას გთხოვს, გადადე შენი საქმე და დაეხმარე, ემსახურე მას, როგორც ქრისტეს."

ასე გაგრძელდა 10 წელი. 1969 წელს ძველმანებში შემოსილი მამა ვიტალი თბილისში მიტროპოლიტ ზინობთან (მაჟუგა) ჩამოვიდა. როდესაც დაკონკილ კაბას ხდიდნენ, აღმოაჩინეს, რომ თითქმის სხეულზე შეზრდილ ჭაჯვს ატარებდა. ასე დაიწყო მისი მსახურება თბილისში. მამა ვიტალი გამუდმებით იდევნებოდა მილიციისგან, ამიტომ მისი მესენაკე და მომვლელი, სქემიღუმენია სერაფიმა (დიაჩენკო, დაკრძალულია სამთავროს მონასტრის ეზოში) მუდამ მალავდა და ასე ცდილობდა მის გადარჩენას. თუმცა, არაერთხელ მიუყვანიათ ის მილიციაში, სადაც სცემდნენ... ბერი კი ამ დროს მათთვის ლოცულობდა...

საკუთარი თავის უარმყოფი ბერი მუდამ მზად იყო სხვის დასახმარებლად. მამა ვიტალის ერთი სულიერი შვილი ძალზე მძიმე ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩნდა. იგი ტაძარში ღვთისმშობლის ხატის წინ დადგა და შეევედრა, მისთვის გზა ეჩვენებინა. უცებ მას მხარზე ვიღაც შეეხო. შემობრუნებულმა დაინახა, რომ მის წინ მამა ვიტალი იდგა და მკაცრად ეუბნებოდა: ნუ გააკეთებ იმას, რაც ჩაიფიქრე, თორემ ძალიან ინანებ – და სწრაფად წავიდა. ქალმა შენიშნა, რომ რომ მამა ვიტალის უცნაურად ეცვა: პიჟამა, ხალათი და საშინაო ფეხსაცმელები. ყველამ იცოდა, რომ ამ დროს ბერი მოსკოვის პროსპექტზე მდებარე ბინაში იყო ჩაკეტილი და, უბრალოდ, ფიზიკურად არ შეეძლო სადმე გასვლა.

* * *

თბილისში ბევრმა იცის ამ შემთხვევის შესახებ: შეიარაღებული კონფლიქტის დროს დიდუბის სარკინიგზო სადგურის ახლოს იდგა ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე ვაგონი, რომელიც სამხედრო რაკეტების სამიზნე იყო. მთელი დასახლება დიდი საფრთხის წინაშე დადგა. როდესაც აფეთქებები დაიწყო, მამა ვიტალიმ ფიოდოროვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი აიღო და ორი მონაზვნის თანხლებით წავიდა ქუჩის ბოლო მაღალ, ღია ადგილას. გვერდით მდგომებს მან მხოლოდ ლოცვის წარმოთქმა დაავალა. თავად მაღლა ასწია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, ძლივს ასწრებდა ჯვარი გადაესახა სასიკვდილო ჭურვებისთვის, რომლებიც ჰაერში ფეთქდებოდნენ დასახლებიდან მოშორებით და უკან, მთებში ბრუნდებოდნენ, ისე, რომ ადამიანებს ზიანს არ აყენებდნენ.

* * *

ერთხელ ტაძრის დარაჯმა ღამით დაინახა, რომ მთელი ტაძარი ხალხით იყო სავსე. „როგორ შევიდნენ შიგნით, – გაიფიქრა მან, – ეკლესია ხომ დაკეტილია?" ამ დროს მამა ვიტალი საკურთხეველში კვეთას ასრულებდა და აქ ისინი „იდგნენ", ვისაც იგი იხსენიებდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მამა ვიტალის მოსახსენებლების შესახებ. ეს იყო რამდენიმე სქელი წიგნაკი, სადაც ეწერა ასობით ადამიანის სახელი, რომლებსაც მამა ვიტალი ყოველდღე იხსენიებდა. მიცვალებულთა მოსახსენებელი იწყებოდა ივერიის, ქართლის, კახეთის, აფხაზეთის, იმერეთის და ძველი დროს სხვა ქართველ მეფეთა სახელებით...

მამა ვიტალი მუდამ სხვის დახმარებას ცდილობდა. დიდუბის მონასტრის ჭიშკრის მიღმა ყრიდა ხოლმე ხურდა ფულს სწორედ იმ დროს, სკოლისკენ მიმავალ ბავშვებს უნდა გამოევლოთ; ღობის მიღმა ყრიდა სარეცხის სამაგრებსაც კი, რათა გამვლელებს აეღოთ და ამით მაინც დახმარებოდა; ჯიბეში მუდამ ედო ხურდა ფული და კანფეტები, რომლითაც მასთან მომსვლელს ან გზად შემხვედრს უმასპინძლდებოდა; არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა მას უკანასკნელი სამოსი გაუხდია და სხვისთვის მიუცია – დედა სერაფიმა წამიერად თვალს მოარიდებდა თუ არა, შემობრუნებული აღმოაჩენდა, რომ ბერი ფეხშიშველი, უშარვლოდ, ცარიელი ანაფორის ამარა იდგა. არიგებდა საოჯახო თუ საყოფაცხოვრებო ნივთებს და შინ დაბრუნებულ დედა სერაფიმას სახლი ცარიელი ხვდებოდა; ხოლო თუ სახლში ჩაკეტავდნენ (მისი უსაფრთხოებისთვის, მილიციისგან დასაცავად), მეხუთე სართულიდან თოკით უშვებდა ნივთებს და გამვლელებს ატანდა. თან საოცრად ხარობდა, თუკი ვინმესთვის რაიმეს ჩუქებას შეძლებდა.

* * *

მამა ვიტალიმ წინასწარ იცოდა თავისი გარდაცვალების დრო. მან დიდუბის მონასტერში თავისი საქმეები დაასრულა და მოსკოვის პროსპექტზე მდებარე ბინაში (სადაც დედა სერაფიმასთან ერთად თითქმის 20 წლის განმავლობაში გიგინეიშვილების ოჯახში ცხოვრობდა) წასვლა გადაწყვიტა. ამ ოჯახმა ბერი ვიტალი და სქემიღუმენია სერაფიმა თავის ჭერქვეშ შეიფარა და მამა ვიტალისთან ერთად ოცი, დედა სერაფიმასთან ერთად კი 35 წელი გაატარა. ამ ოჯახმა სნეულებისას მოუარა მათ და ორივე მათ ბინაში გარდაიცვალა.

სქემარქიმანდრიტ ვიტალის მოწამეობრივი გზა მისი სიცოცხლის 65-ე წელს მთავრდებოდა. როდესაც ბერი ძალიან ცუდად ხდებოდა, დედა სერაფიმა პატრიარქს ურეკავდა და ისიც აუცილებლად ან რაიმეს უგზავნიდა, ან თავად მოდიოდა. ამ დროს მისი უწმიდესობა ყოველთვის ამხნევებდა მამა ვიტალის. შევიდოდა და გასხივოსნებული გაუღიმებდა: „მამა ვიტალი, ყველაფერი კარგად იქნება!“ როდესაც უწმიდესი ოთახიდან გამოდიოდა, ემჩნეოდა, როგორ განიცდიდა, მაგრამ მამა ვიტალის ამას არასოდეს აჩვენებდა.

1992 წლის 1 დეკემბერი იყო, 18 საათი და 45 წუთი. მის სანახავად უკანასკნელად მობრძანდა უწმიდესი პატრიარქი ილია, რომელიც მისი მოძღვრის, მიტროპოლიტ ზინობის გარდაცვალების შემდეგ მამა ვიტალის ეუბნებოდა აღსარებას. ამჯერად უწმიდესი საყვარელ მოძღვართან გამოსამშვიდობებლად მოვიდა. ბერის ოთახიდან გამოსულმა ოჯახის დიასახლისს, ლეილას უთხრა: „თქვენ არ იცით, ვინ დავკარგეთ...“

უწმინდესი პატრიარქის გადაწყვეტილებით სქემარქიმანდრიტი ვიტალი ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში დაკრძალეს, რათა ყველას შესძლებოდა მის საფლავთან მისვლა და ნუგეშის მიღება დიდი ბერისგან, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც ეხმარება ყველას, ვინც მას გულით მიმართავს. უამრავი ადამიანი იღებს კურნებასა თუ ათასგვარ შეწევნას განსაცდელის ჟამს, მის საფლავთან კი მუდამ არიან გასაჭირში მყოფნი და მვედრებელნი. ბერიც, როგორც სიცოცხლეში, მუდამ მზადაა ყველას დასახმარებლად. ადამიანები ყვებიან თავითი განსაცდელების შესახებ, რომლებიც მამა ვიტალის სასწაულებრივი შეწევნით მოუგვარდათ (ამის შესახებ მოთხრობილი მასზე გამოცემულ წიგნებში).

ელდარ გიორგელაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მძღოლი:

„მამა ვიტალი უწმიდესთან საპატრიარქოში მოიოდა ხოლმე. თითქმის ყოველთვის თან ახლდა მისი მესენაკე, სქემიღუმენია სერაფიმა (დიაჩენკო). თავად პატრიარქიც არაერთხელ მიმიყვანია მის სახლში, დიდუბეში, სადაც ის უმეტესწილად ცხოვრობდა. ზოგჯერ ბერის გარეშე დედა სერაფიმაც მოდიოდა, რომელიც უწმიდესთან შეხვედრის შემდეგ მონასტერში მიმყავდა. არაერთხელ ყოფილა პატრიარქი მოსკოვის პროსპექტზე მდებარე ბინაშიც, სადაც მამა ვიტალი ერთ ქართულ (გიგინეიშვილების) ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მე მათ საუბარს არ შევსწრებივარ, რადგან უწმიდესი მასთან პირისპირ რჩებოდა (განსაკუთრებით მამა ვიტალის ავადმყოფობისას, მოსკოვის პროსპექტზე მდებარე ბინაში). მაგრამ მისგან გამოსული პატრიარქი მუდამ სახემღიმარე იყო.

ყველა ვგრძნობდით, რომ მას მამა ვიტალი ძალიან უყვარდა და აფასებდა. შემდეგ, მანქანაში ის მუდამ საუბრობდა თანამედროვეობის ამ დიდ ბერზე, გვიყვებოდა მის ცხოვრებაზე, მისი სიყვარულის უდიდეს უნარზე. ამბობდა, რომ ის ნამდვილი ბერი იყო – შინაგანად და მოწოდებით, როგორიც უნდა იყოს ჭეშმარიტი მოსაგრე, რომელიც ამ გზას შეუდგა. იხსენებდა მისი უშურველობის შესახებ, იმას, რომ ბერი სრულიად და სავსებით არამომხვეჭელი იყო – თუ რაიმეს მისცემდნენ, მუდამ სხვისთვის ემეტებოდა. სულ ცდილობდა, ყველას დახმარებოდა, რითაც შეეძლო – მატრიალურად იქნებოდა ეს თუ სულიერად, ლოცვით. ყვებოდა, როგორ ეხმარებოდა მამა ვიტალი ყველას – ნაცნობსაც და უცნობსაც, ჯიბეში მუდამ კანფეტები ედო და ბავშვებსაც და დიდებსაც იმით უმასპინძლდებოდა, როცა ქუჩაში გამოდიოდაო. უწმიდესმა ისიც გაიხსენა, რომ თურმე არაერთ უცნობ ადამიანს გასაჭირის ჟამს მისგან ამანათები მიუღია, რომელშიც ყოველთვის ზუსტად ის ნივთები იდო, რაც სჭირდებოდათ. ბერის სენაკში მუდამ ანთია სანთლები და ის მთელი სამყაროსთვის ლოცულობსო, – ამბობდა პატრიარქი“.

* * *

მამა ვიტალის დიდუბის სავანეში დღემდე განუწყვეტლივ ანთია სანთლები მთელი სამყაროსთვის, მისი ლოცვითი კანონიც უწყვეტად აღესრულება ბერის ანდერძისამებრ და მამა ვიტალიც მყოფობაც ხელშესახებად იგრძნობა...

ბუღნაზ ბვაღია



ნოდარ წულეისკირი – „თუთარჩელა“

რეცენზიული ესე

ნოდარ წულეისკირი კოლხური ცივილიზაციის სათავეში ღრმად ჩაფესვებული მითოსიდან საქართველოს მე-20 საუკუნის ღამეულ ცაზე კვლავ გამოჩენილი თუთარჩელაა.

მატარებლის ბორბლების ხმაურით შემოდის პერსონაჟთა ცხოვრებაში ახალი ყოფის იდუმალებით აღსავსე ცხოვრება. ქალაქიდან სოფელში მიმავალ კალანდარიებს ის თუთარჩელა მიაცილებს, ქართული ცნობიერების საწიერს მითიდან ხალხური სიმ-ღერის ჰანგებში სათუთად რომ შემოუნახავს. მთვარის მარადიული რეალობის გაუხუნარი მარადიულობა კოლხური აზროვნების სიტყვიერ განზომილებაში „თუთარჩელათი“ გაახმოვანა მოდგმათა მოდგმამ.

ყოფიერების იმ ეტაპზე ნოდარ წულეისკირის თანამედროვე საქართველო რომ იყო (მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი), გენეტიკური ქართველი, წარსულით ნაკვები, ზნეობრივი სულიერებით გაჯერებული, შინაგანი კულტურით უმკლავდებოდა ყოფით სირთულეებს.

გუგუ და ანინა განათლებულ ახალ თაობას განეკუთვნებიან, ექიმები საკალანდარიოს მკვიდრთა ჯანმრთელობას დაჰფოფინებენ. ცოლ-ქმარს ურთიერთ სიყვარული უმსუბუქებთ ცხოვრებას. მათში მითოლოგიის ფესვებიდან ამოყლორტილი ახალი ადამიანის ზნეობრივი სახე ავითარებს ყოველდღიურობის მორალურ კრედოს.

გუგუს მხატვრულ სახეში განათლებისა და კოლხური გენეტიკური კოდის სრული ჰარმონიაა. რომანის ტიხარებში ექიმბაში ბაბუას გახსენება, პირდაპირი ხაზით გვარის მემკვიდრის ღირსებებს ავსებს. გარდა პროფესიული, ასევე სხვა კეთილშობილურ თვისებათა თაობებში განშლადობის სწორუპოვარი მაგალითიცაა.

ფრთხილობს ავტორი პერსონაჟთა მხატვრული სახეების შექმნისას. ყოველ მათგანს შინაგანი სისათუთე გამოეხატება, ისეთი, უჩინად რომ დაატარებენ და ოდიდან გვარის გამორჩეულობას რომ განსაზღვრავს. კალანდარიების გვარზე რომანის დაწერა უდიდესი პასუხისმგებლობაა იმ პირველ წინაპართა წინაშე, ვინაც თავიანთი ერთობა კალანდას დაუკავშირეს, ამით ამქვეყნად საიდუმლო მისია შეგნებულად დაისახეს და კოლხურ სინამდვილეში ადამიანისა და კოსმიური სამყაროს თანამშრომლობის იდუმალი აქტის ტრანსშეთანხმება კალანდას სახელობის გვარის – კალანდარიების – შექმნით დააგვირგვინეს.

მოქმედება ვითარდება მედეას ველზე. მედეას ბაღს ხშირად სტუმრობენ კალანდარიები. მითიურ ფონზე განფენილი კალანდარიების ცხოვრება მე-20 საუკუნის უღმერთო ეპოქაში იმ უძველეს სიბრძნეს ეყრდნობოდა, მედეას ჯადოქრობად რომ შემორჩა მახსოვრობას. ჩვენამდე მოღწეული საზრისით ამ სიტყვის კეთილხმოვანებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მცენარეთა იდუმალმცოდნეობით მედეამ საფუძველი დაუდო მედიცინას. მიუხედავად ურთიერთგამომრიცხავი თქმულებებისა, მედეას დღემდე არ დაუკარგავს ხიბლი. ბრძენია იგი იმდენად, რამდენადაც შეუცნობი განზომილებიდან გამოჰქონდა ბუნების საიდუმლო.

შინაგანი დრამატიზმით გამოხატავს ნ. წულეისკირი თავის დამოკიდებულებას დროში გამოხატული რიგი სიმუხთლეების მიმართ. აშკარაა მისი ცნობიერი მიდრეკილება კოლხური ცივილიზაციის სათავისაკენ. მწერლის ჩანაფიქრის ამიკითხვა დღეს შესაძლებელია და გახმოვანება, მითუმეტეს, აუცილებელი.

სენტიმენტური მხატვრული პასაჟებით მწერალმა მეტად სათუთი თემები – ცოლქმრობა, დედაშვილობა, მამაშვილობა, მეგობრობა, სიყვარული, ოჯახური ტრადიციები, კალანდარიების გამორჩეულობა,ახალი დროის მანკიერება ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესაფერის ჩარჩოში მოხდენილად ჩასვა, მაგრამ მხატვრული ტილოს ფერთა გამოცდილ მჭვრეტელთათვის კი გადაჭიმა თვალშეუწვდენი სამზერეთი მედეას ბაღიდან თუთარჩელამდე. ეს კალანდარიების გვარის საიდუმლო მარშრუტია

მიწიურიდან ზეციურში გადასასვლელად. მედეას ბაღში გასვლა ყოველდღიურობისაგან გადაღლილი სულის განწმენდაა, ბიწებაშერთული გონების გასხივოსნება.

ვერ ტოვებენ კალანდარიები საკალანდარიოს. ეს სისხლის ძახილია, ეს სულიერი გენეტიკის იდუმალი ხმაა თითოეულის გონებაში რწმენად გარდაქმნილი. დრომ ამ გვარსაც შეურყია სიმტკიცის ბურჯი. ძველ თაობას სჯერა იმისა, რაც იყო დღემდე, ახალს კი უჭირს ძველზე დამყნობა. ასეთ დროს გამოცდილი გონება უნდა ჩაერიოს და ისე შეცვალოს ვითარება, არც ერთის თავმოყვარეობა რომ არ შეილახოს, რაც მთავარია, გვარის, ოჯახის საუკუნოვანი ტრადიციები შენარჩუნდეს.

გუგუ არა მხოლოდ სხეულის მკურნალია, არამედ კლანდარიების გვარის ზნეობრივი სახე, მათი სულიერი ღირებულებების დამცველი, ბაბუისა და მამის კოლხური დიდებულების მტკიცე რგოლით წარსულის აწმყოსთან შემკრავი.

მწერალმა გუგუს სახით კალანდარიების საიდუმლო გენეტიკისა და ახალი დროის მეცნიერული ცოდნის სინთეზით გონებამდიდარი პიროვნება წარმოუდგინა მკითხველს. ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ მას მიმართავენ არა მხოლოდ სამკურნა-ლოდ არამედ ოჯახური თუ სხვა უთანხმოებების მოსაგვარებლადაც. ის ამ მისიას არანაკლებ აღასრულებს, ვიდრე მისი წინაპარი – ბაბუა, საუკეთესო ექიმბაში და კეთილგონიერი მრჩეველი. გუგუ, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ფსიქოლოგის როლშიც ევლინება სოფელს. ეს ფსიქოლოგია ცოტათი განსხვავებულია, ვიდრე მეცნიერული და ძირითადად ემყარება კალანდასთან დაკავშირებულ შემეცნებით მეხსიერებას, რაც პიროვნული აზროვნების გაჯანსაღებით, სულიერად ჯანმრთელი საზოგადოების მყარი ერთობის გარანტია. გუგუს შინაგანი სამყარო კოსმიური მეხსიერებისა და აკადემიური განათლების ნაზავია. ასეთი ახალგაზრდები ესახებოდა მწერალს იმ ავადსახსენებელი დროის მკურნალად.

კომუნისტური წნეხი, უღმერთობით განწირული ზნეობა, ძველსა და ახალს შორის გაჩხირული აზროვნება მე-20 საუკუნის ეპოქალური მახასიათებლები გახლდათ. ნ. წულეისკირის შინაგანი და გარეგანი ხედვის კონტრასტული სურათების წარმოსახ-ვას თუთარჩელა აწესრიგებს: „თუთარჩელაში თვლემს ახლა საკალანდარიო... მთვარე ახლა ოქროს ტახტზე ზის და წითელგვიმიან ჭებში ისე იმზირება, როგორც სარკეში“. მწერლის რწმენაში თუთარჩელა ახალ დროშიც ყველაფერს ხედავს, წითელი გვიმები და თანამედროვეობის სხვა მატერიალური სიკეთეები ვერ შეაფერხებს მის კოსმიურ მისიას. ადამიანი დაშორდა კალანდას, მაგრამ კალანდა არ შორდება კალანდარიებს.

ცივილიზაციის მატერიალური ღირებულებები ქართულ სამყაროზეც აისახა, მაგრამ სიცოცხლისადმი და მიწისადმი სიყვარული არ შეცვლილა, თუმცა მხოლოდ იმათში, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩათ საკალანდო მისტიკური ცნობიერება.

„გამოჩნდა თეთრი მთა“ – გუგუს ცოლის აღმაფრენაა, ამიერიდან მეუღლესთან ერთად საკალანდარიოში რომ უნდა დაიდოს ბინა. მატარებლიდან „თეთრი მთის“ გამოჩენის მოლოდინი, უხსოვარ დროში, კიდობნიდან გაფრენილი მტრედის მერამდენე ცდის შემდეგ ზეთისხილის რტოთი დაბრუნების პარალელური აღქმაა დროის ფარდ მოვლენათა შესაბამისად. კაცობრიული გონით აღქმული აღმაფრენაა მიწასთან მიჯაჭვულობისა, კერიაში დაბრუნებისა, ფესვისა და ძირის მოუშლელობისა, ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებისა.

ღამის მატარებელით შინმომავალ კალანდარიებს თუთარჩელა მიუძღვება. ცოლ-ქმრის ფიზიკური ხედვა და სულიერი მრწამსი ერთი ფოკუსიდან ჭვრეტენ აწმყოს. მწერლის აზროვნების კონცენტრაცია წარსულსა და მომავალს ახლანდელ დროში აერთებს. კალანდარიებს თან ახლავთ შვილი, რომელსაც ჯერ ძინავს. ის სეხნიაა დიდებული წინაპრისა, გარდასული კოლხური დიდება რომ დააგვირგვინა და სათავე დაუდო ერთიან საქართველოს, გზა გაუხსნა ფარნავაზის ძლევამოსილ მეფობას. ქუჯი ერთიანი ქვეყნის სათავიდან თვმდაბლობის, ზეციურთან შერთული თავისუფლების, კოლხური სინამდვილის არა მხოლოდ მეფე, არამედ თუთაში – ქურუმიც იყო. კალანდარიების პატარას მისი სახელი ჰქვია და არც ისე შემთხვევით, ასეთ გადაწყვეტაში დევს მწერლის მთავარი სათქმელის საიდუმლო. ეროვნული ენერგიის სათავე იმ დროში ეგულება ნ. წულეისკირს და ეს პატარა ქუჯი კი წარსულიდან მომავალში გადასროლილი იმედია, ახალმთავარეობის, ახალკალანდობის, ეროვნული ენერგიის განახლების იმედი.

მოქმედება რომანში მითოლოგიის გარსითაა შეფუთული. მართალია იცვლება დრო-ჟამი, მაგრამ უცვლელია უნივერსალური ღირებულებები. მასთან წილნაყარმა მწერალმა თუთასთან განუყრელობა და თეთრ მთის გავლით მედეას ბაღში დაბრუნება აუცილებელ პირობად დაუდო თანამედროვე ადამიანს ეროვნული ენერგიის შესავსებად.

საკალანდრიოში დაბრუნების მოლოდინში ადრეგაღვიძებული ცოლ-ქმარი თეთრი მთის გამოჩენას დარაჯობენ, მათ პირმშოს – ქუჯის კი სძინავს – „ეძინოს ცოტა ხანს“ – თანამედროვე ქართველი დედის გაფრთხილებაა შვილისადმი, რომელსაც წარსულში თავგანწირვის ველიდან, მომავალში თავგანწირვამდე ძალების აღდგენა სჭირდება. „გაიღვიძე?“ – ეკითხება მამა, პასუხად – „მაჩვენეთ ჩემი საკალანდარიო“ – ქუჯის (ეროვნული ენერგიის) მომავალში გამოღვიძების წინაპირობაა.

რომანის ყოფითი ეპიზოდების მხატვრული ქარგაში შესანიშნავად იკვეთება გუგუს სახე, ის მემკვიდრეა კალანდარია თუთაშებისა. ღირებულებათა გადაფასების ტკბილ-მწარე ყოფა საფრთხეს

უქმნის მომავალს. გუგუ შინაგანი მოწოდებით ეხმიანება ყველა სათაკილო სიტუაციას და გააქ-ტიურებული გენეტიკა თუთაშებისა რეალიზდება დროში.

ცოლ-ქმრის დიალოგში ხშირად გაიგონებთ- „ჩვენი, გუგუ, ჩვენი," რაც ერთარსს – ქმნის, ევას ადამის წიღში დაბრუნების, პირველყოფილი სიყვარულის, განუყოფელი მთლიანობის, სულ-ერი ჰარმონიის წიაღში შემეცნებითი აღმაფრენის მისტიკური განცდაა. ხოლო გუგუს პასუხად – „ჰო, ჩვენი, ჩვენი", უფალთან ადამის მიქცევის თანდაყოლილი გენეტიკური წყურვილის დაოკება. თანამედროვე კალანდარიებში, მართალია, გა-რადაქარდა თუთაშების ცოდნა, მაგრამ მძლავ-რობს ქვეცნობიერი და არ აძლევს მივიწყების საშუალებას.

მწერალმა რომანში წარმოაჩინა მე-20 საუკუ-ნის ცივილური სამყაროს ქართველის ცნობიერ-შემეცნებითი გონის ჭრელი რელიეფი, არც ისე სახარბიელო, მაგრამ არც ისე უიმედო. გუგუ კალანდარია-თუთაშების მემკვიდრეობას ამართ-ლებს, ცოლი ანინა მედეას ველზე თავს კარგად გრძნობს და წინაპრის შეცდომისგან გვერდის ავლით თვალს უსწორებს ცხოვრებას (არ დანებდა გვაჩის), ცოლ-ქმრის ერთობას მტკიცედ კრავს ახალი მომავლის ქუჯი.

რომანი თანამედროვე ენაზე „ტრიდე ფორმატში" ავითარებს ქართული ეროვნული სულის უზენაეს ცნობიერ გონთან იდუმალი კავშირის შემეცნებით ეპიზოდებს.

ცოლ-ქმარს არ სძინავს, ისინი ფხიზლობენ და თუთარჩელათი ზვერავენ სივრცეს. არაფერია ამ სამზერეთში იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე „თე-თრი მთის" გამოჩენა. „გამოჩნდა" – მოასწავებს საკალანდარიოში შესვლას. ის კი თუთას შვილთა მამულია, თუთას კოსმიური მისიის მიწიერი განზო-მილებაა. სათავეა იდუმალ-შემეცნებითი გონიერებისა, დვრიტაა ეროვნული სულიერებისა. ცოლ-ქმრის მოუთმენლობა თეთრი მთის სახილველად, საკალან-დარიოში დაბრუნების, იდუმალმცოდნეობის წიაღში დაბრუნების და იქ დამკვიდრების გადამდები სიხა-რულია, მწერლის სულიერი მოძრაობის გაცოცხ-ლებული რეალობაა.

ეპოქის ყოფითობის სიღრმისეულ სიბნელეში თუთარჩელას შერთული სული მწერლისა ჭეშ-მარიტად მიიკვლევს გზას და მისი პერსონაჟებიც ღირსეულად უმკლავდებიან სირთულეებს.

მწერალი მეცნიერებას და მიღწევას ყოველს სათავესთან აკავშირებს და ეს სათავე თუთაშების – მთვარის კაცების ცოდნა იყო კოსმოსს შერთული გონით მოპოვებული. „თუთაშს შეეძლო წინასწარ ეთქვა თუ რა მოუვიდოდა ადამიანს. თუთაში უშეც-დომოდ მკითხაობდა როდის ამოვარდებოდა ქარი, როდის გაწვიმდებოდა, მოსალოდნელი იყო თუ არა მკაცრი ზამთარი, მზის დაბნელება, წყალდიდობა". ჩვენამდე, გარდასულ დროთა ადამიანებს ჰქონდათ ურთიერთობა გარე სამყაროსთან სულიერი წვდო-მის დონეზე. მწერლის თანამედროვენი, ქურუმთა ეპოქებიდან შორს, ქვეცნობიერი არხებით კვლავ და კვლავ ურთიერთობენ იდუმალ განზომილებებთან. მწერლის სულიერ-შემეცნებითი გონი აწმყოდან ეძებს პირველსაწყისს, აუმღვრეველ სათავეს.

ძველ ცოდნას, ქურუმთა საიდუმლოს, თუთაშების ცნობიერ დონეს, იდუმალ შემეცნებათა წვდომის უნ-არს, ყოფიერების ჭეშმარიტი არსის ხიბლს მწერლის შინაგანი სამყარო შეუპყრია და არა არს მისთვის უფრო მართალი გზა, ვიდრე საკალანდარიოში დაბრუნება და თუთაშების ცხოვრების წესია.

ნ. წულეისკირისათვის საკალანდარიო ახალმთ-ვარეობის მარადიული ციკლია, წრიული დინამიკა სრულმთვარეობისა, იმავე სათავიდან იწყებს ახალ წრებრუნვას, ეს კანონიკა შეუვალია და, გამომ-დინარე აქედან, მწერლის აზრით, საზოგადოებრივი ცნობიერების გამრუდება დროებითია.

„თქვენზე უკეთესი დიასახლისი და ოჯახის პატრონი ვინ იქნება," – ეუბნება ქალაქელი რძალი დედამთილს და ამით ყველაფერია ნათქვამი, მყარია ძველი გამოცდილი თაობა, საიმედო დასაყრდენია მომავლისათვის, რამე თუ მხოლოდ შვილიშვილი ჰპირდება დახმარებას, – „მაშინ მე მოგეხმარები", შვილიშვილის შეთავაზება კალანდარიების ოჯახის ყოველდღიურობაში ახალი ხელის შემშველებ-ლის შორსგამიზნული პირობაა. ახალ ქუჯის, კალანდარიების მომავალს, იქ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს სათავეში რომ უდევს წილი, ამ გაუსაძლის საუკუნეშიც, ძველ ნაშენზე მოუწევს დავაჟკაცება და ასე შეძლებს მომავალში გაჭ-რას. ქუჯიმ წრთობის გარკვეული პერიოდი უნდა გაიაროს, მანამდე ახალი დროის კალანდარიები ცხოვრების გამოცდას შეეჭიდებიან.

ჯაჭვებასხმული გუგუს თვითგვემა მძიმეა გარშე-მომყოფთათვის, მაგრამ საბედნიეროა დასასრული. ცნობადაბრუნებულ გუგუს სიხარული შემოაქვს ოჯახში. სჯერა მწერალს თვითგვემის აუცილე-ბლობისა და ჯაჭვშებმული თუთაშების შემეცნებითი თავისუფლებისა. მთავარია, არ მოვწყდეთ ეროვნულ ძირებს.

ნოდარ წულეისკირის ცნობიერი და არაცნობ-იერი ერთბაშად ხმიანობს. რომანის ალუზიური მითოლოგიურ-ისტორიული ფონი ააშკარავებს ეროვნული ენერგიის სათავეს. მწერლის საქართ-ველო კი ჭეშმარიტ საკალანდარიოდ უნდა იქცეს. აი, მაშინ გამოიღვიძებს ქუჯი და ახალმთვარეობას ახალი ეროვნული ენერგიით აღივსება საქართველო, თუთარჩელაა ამის თავდები.

რომანის სიღრმიდან დღემდე მოისმის ნოდარ წულეისკირის მუდარაშერთული თხოვნა:

„დამანახეთ ჩემი საკალანდარიო!"



მოგონებათა სკივრიდან

ცოტა ხნის წინათ, ჩვენი საერთო მეგობრის, ცნობილი სპელეოლოგის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, „პრომეთეს“ მღვიმის აღმომჩენის ჯუმბერ ჯიშკარანის დაბადების 80 წლისთავზე, მღვიმის შესასვლელში მისი მემორიალური დაფის გახსნასთან დაკავშირებით, მე და პაატა ნაცვლიშვილს ერთად მოგვიწია მგზავრობამ თბილისიდან წყალტუბომდე. მეგობრებს, ბუნებრივია, სალაპარაკოს რა გამოგვილევდა და ისე ჩავედით ადგილამდე, არც კი გაგვიგია. მემორიალის გახსნის ცერემონიალის დაწყებამდე პაატამ თავისებური დაბეჯითებით რამდენჯერმე გამიმეორა – რამდენი რამ იცი ისეთი, რაც სხვამ არ იცის, ბევრი რამ გინახავს, უამრავ კარგ ხალხს მოსწრებიხარ და გქონია ურთიერთობა, სულ უმნიშვნელო, უცნობი შტრიხი რომ არ დაკარგო ამა თუ იმ პიროვნებაზე, ესეც დიდი საქმე იქნება და აუცილებლად უნდა დაწერო, რადგან ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მაგრამ რომ აღარ იქნები, ეს ყველაფერი დაიკარგებაო.

სიმართლე რომ ვთქვა, ამის თაობაზე მეც ხშირად მიფიქრია, უფრო სწორად, ვიცი, რომ ოჯახის არქივში შემონახული მასალის საფუძველზე, ჩვენი დიდი ოჯახისა და წინაპრების ღვაწლზეა სათქმელი. პაატას ნათქვამმა კი – რასაც მე მიყვები, ასეთი პატარ-პატარა ისტორიები გაიხსენეო, სტიმული მომცა, გამათამამა კიდეც და დამიჯდა ჭკუაში მცირე ეპიზოდები ჩემი ცხოვრებიდან საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო, რაც, ვფიქრობ, გამოაჩენს ინტერესს ღირს თუ არა მათი გაქვეყნება.

გავიხსენებ ერთ ადრინდელ ეპიზოდს. ზუსტად არ მახსოვს, 1969 თუ 1970 წელი იყო, თიანეთში დიდ სახალხო ზეიმში მონაწილეობისათვის თბილისიდან თითქმის ყველა ცნობილი ხელოვანი და მოღვაწე – მსახიობები, რეჟისორები, მომღერლები, მწერლები, პოეტები, მეცნიერები მიიწვიეს. მათ შორის იყო ჩემი მამიდაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ტარიელ საყვარელიძე, რომელსაც ელენე ყიფშიძესთან ერთდ უნდა წარმოედგინა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მაია წყნეთელი“. ტარიელს ახალი ნაყიდი ჰქონდა მსუბუქი ავტომანქანა „გაზ-21 „ვოლგა“ და ბავშვივით ეხალისებოდა საჭესთან ჯდომა. დამირეკა, გამაფრთხილა, რომ თიანეთში უნდა გავყოლოდი „მეგზურად“ და გამომივლიდა (თიანეთს და მის შემოგარენს უკვე კარგად ვიცნობდი, რადგან წინა წლებში, როგორც ახალგაზრდა მეცნიერმა-გეოლოგმა, გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორ-აკადემიკოს პეტრე გამყრელიძესთან ერთად ვიმუშავე ამ რაიონში).

დათქმულ დროს ტარიელმა მომაკითხა, გავუარეთ ქალბატონ ელენე ყიფშიძეს და გეზი თიანეთისაკენ ავიღეთ. თბილისს რომ გავცდით და ტრასაზე გავედით, ტარიელმა ქ-ნ ლენას იმ ნაწყვეტის რეპეტიციის გავლა შესთავაზა, რომელიც თიანეთის კულტურის სახლის სცენაზე უნდა გაეთამაშებინათ.

– „დიდო მეფეო“ – დაიწყო მაია-ელენე ყიფშიძემ. – „რაო, მათე ბიჭო! – შეაგება სიტყვა ერეკლე-ტარიელმა და გავხდი საოცარი გარდასახვის, დიდებული სანახაობის მოწმე. ჩემ თვალწინ ცოცხლდებოდა ბედკრული საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მეც მე-18 საუკუნის საქართველოში ვცხოვრობდი. მეფე ერეკლესა და მაია წყნეთელის დიალოგი ბუნებრივად, საკმაოდ დამუხტულად წარიმართა, ვტკბებოდი დიდი არტისტების მაღალი ხელოვნებით და უეცრად... ხანგრძლივი პაუზა.

– დამავიწყდა! პატარა ბავშვივით დარცხვენილმა, ჩვეული მანერით განაცხადა ქ-მა ლენამ.

– არ გადამრიო! – აბუბუნდა ტარიელი და მთხოვა ჩანთაში პიესის ტექსტი მომეძებნა. ტარიელის ლამაზი კალიგრაფიით გადაწერილი ტექსტი ამოვაძვრინე ჩანთიდან და ის ადგილი მოვნახე, სადაც ქ-ნი ლენა „დამუხრუჭდა“.

ერეკლე მეფისა და მაია წყნეთელის დიალოგი თავიდან დაიწყო. დამევალა, ტექსტისთვის თვალი მედევნებინა და შეცდომის შემთხვევაში მსახიობები შემეჩერებინა. დიალოგი კვლავ მშვენივრად დაიწყო და უფრო დამუხტულად წარიმართა, მაგრამ ისევ იმ ადგილას, სადაც პირველ ცდაზე შეყოვნდა, ქ-მა ლენამ კვლავ „ვაი“ დაიძახა და არ გამლახოო,

მოულოდნელობისგან გაოგნებულ ტარიელს მიმართა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს სცენა ქ-მა ლენამ და ტარიელმა, ვიდრე თიანეთამდე ჩავიდოდით, ათჯერ მაინც გაითამაშეს, მაგრამ იმ „საბედისწერო“ ადგილას ქ-ნ ლენას ტექსტი ავიწყდებოდა. ამ გარემოებამ „საქმეში“ ჩემი ჩართვის აუცილებლობა მოითხოვა და სუფლიორის ფუნქცია დამეკისრა. სცენაზე ნაწყვეტის გათამაშების დროს, კულისებში უნდა დავმდგარიყავი და იმ საბედისწერო ადგილას რეპლიკა უნდა მიმეწოდებინა ქ-ნი ლენასათვის. სიმართლეს ვიტყვი, მეც ავღელდი. ჩემს ცხოვრებაში პირველად დამეკისრა სუფლიორის მისია და იმის ფიქრში ვარ, რაიმე შეცდომა არ დავუშვა, საქმე არ გავაფუჭო.

მეფისა და მათე ბიჭის სამოსში გამოწყობილი მსახიობები სცენაზე თავისუფლად გრძნობენ თავს, მე კი კულისებში ნერვიულობისაგან ცივმა ოფლმა დამასხა.

– „დიდო მეფეო“ – შემართებით დაიწყო ელენე ყიფშიძემ. – „რაო, მათე ბიჭო! – შეაგება სიტყვა ტარიელმა და ამაღლებულ ტონალობაში ისეთი სისხარტით წავიდა დიალოგი, რომ მაყურებელთა დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდი. დარბაზი მონუსხული შესცქეროდა საყვარელი მსახიობების თამაშს. ტექსტს გაფაციცებული ვადევნებდი თვალს და იმ ავბედით ადგილს რომ ვუახლოვდებოდი, ჩემი დაძაბულობა კულმინაციას აღწევდა. მოვიდა დრო, რომ რეპლიკა შევაშველო ქ-ნ ლენას, მოვემზადე, მაგრამ... ისეთი რიხითა და აღმაფრენით გათამაშდა ეს ადგილი, რომ დარბაზი ლამის დაინგრა ოვაციით. მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან საყვარელ მსახიობებს. მე კი კულისებში სიმწრის ოფლს ვიწმენდდი და, ბუნებრივია, ვხარობდი მათი წარმატებით. ეს ყველაფერი ხომ დიდი ოსტატობის, მაღალი პროფესიონალიზმის შედეგი იყო. კიდევ ერთხელ დამეუფლა სიამაყის გრძნობა და ვიგრძენი, რომ დიდოსტატობა ნიჭთან ერთად, თავგანწირული, დაუღლელი შრომის შედეგად მიიღწევა.

საღამოს დასრულების შემდეგ, სტუმრები დიდებულ სუფრასთან მიგვიწვიეს და ქართველ ხელოვანთა ზეიმი აქ უფრო ლაღად გაგრძელდა. ბუნების წიაღში, განსაკუთრებული სისავსით კიდევ ერთხელ გაბრწყინდა ქართული ჯიშის ნიჭიერება.

თიანეთიდან, ჩვენთან ერთად, ტარიელმა ბ-ნი ნოდარ ჩხეიძე დაიმგზავრა და რაც ამ უნიჭიერესმა მსახიობმა, რეჟისორმა, ხელოვანთა არაერთი თაობის აღმზრდელმა ქ-ნ ლენასთან ერთად იოხუნჯა, პატარ-პატარა სახუმარო სცენები გაითამაშა და თავისი თავგადასავლების შესახებ გვიამბო, სიცილით დავიხოცეთ. ტარიელმა სულის მოსათქმელად რამდენჯერმე მანქანა გააჩერა და თბილისამდე ისე ჩამოვედით, არც კი გაგვიგია. ეს მოგზაურობა დაუვიწყარ მოგონებად დარჩა ჩემს ხსოვნაში და როცა ქ-ნ ლენა ყიფშიძეს, ბ-ნ ნოდარ ჩხეიძეს და ტარიელს ვიგონებ, უპირველესად, ამ დიდებულ ხელოვანთა იმდღევანდელი იმპროვიზებული სცენები მახსენდება ხოლმე.

ინტერვიუ

მხატვარი ნიკალას სოფლიდან

„ანეულის“ სტუმარია – თვითნასწავლი მხატვარი ბელა ლობჯანიძე

ნიკო ფიროსმანაშვილის სოფელ მირზაანში დაიბადა. ბავშვობიდან ეზიარა ნიკალას უჩვეულო სამყაროს, რომელსაც სხვა განცდა და მადლი მოჰქონდა... მერე თავადაც გაექცა ხელი და... უკვე მრავალი საინტერესო ნამუშევრის ავტორია. ფერწერული პორტრეტები ამაღელვებლად გადმოსცემს შინაგან სამყაროს და ემოციას... თანაც ისე, რომ გამახსოვრდება, საფიქრალით გავსებს...

„ნიკალას პორტრეტი 3-ჯერ დავხატე, ყველა ნახატი ვიზუალურად სხვადასხვაა, თუმცა სათქმელი ერთი აქვთ – ტკივილი, იმედი, სიყვარული“...

სწორედ ამ განცდებით იყო დამუხტული მისი უახლოესი გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც მას მეგობრებმა ლამაზი საღამო აჩუქეს.

– ძალიან მოუსვენარი და ცელქი ბავშვი ვიყავი... – ამბობს ბელა,– თუმცა წლების მერე თითქოს საკუთარ თავში ჩავიკეტე, შეიძლება ამანაც განაპირობა ხატვის სიყვარული... ბავშვობის დღიურებში (წლების მერე წავიკითხე) ჩემი ოცნება ყოფილა, მხატვარი ვყოფილიყავი... ეს არც კი მახსოვდა...

სკოლის პერიოდიდან გასაკუთრებულად დამამახსოვრდა ჩემი მასწავლებელი ნათელა ჩიტიშვილი, რომელმაც გამილამაზა ბავშვობა... მინდა თქვენი პორტალის საშუალებით მას დიდი მადლობა გადავუხადო იმ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთა. ხატვით ბავშვობიდან ვხატავ, მახსოვს, სხეულს როგორ

ეკატერინე ბაზერაშვილი და ბელა ლობჯანიძე

ვიხატავდი საწერი კალმით გაკვეთილებზე, რაზეც ხშირად მტუქსავდნენ მშობლები და მასწავლებელი.

— პირველი ნახატები...

— ზეთით პირველად დედის თხოვნით გოგონა დავხატე.... არცთუ ისე სასიამოვნო შესახედი იყო. მოგვიანებით პრომეთეს ნახატი ვიხილე, დავინტერესდი, დავუკვირდი და მისი გადახატვა ვცადე დღევანდელი გადასახედიდან მაშინდელი პრომეთე სრულებით არ ჩამოუვარდება ახალ ნამუშევრებს. მივხვდი, ხატვა შემეძლო და მას მერე უკვე ჩემი ფანტაზიით ვხატავ.

— მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სოფელში გაიზარდეთ... როცა ირგვლივ ნიკალას მადლი ტრიალებს, მაინც სხვა განცდაა...

— დიახ, ეს აუწერელი გრძნობაა... ბავშვობიდან დავდიოდი მუზეუმში, რომელიც თავად მირზაანშია და საათობით ვუყურებდი მის ტილოებს. რამდენადაც შემეძლო, ვიხედებოდი მის სამყაროში. როცა მის ეზოში ხარ, საოცარი განცდა გეუფლება, თითქოს შენ გარშემო ტრიალებს სამყარო. სიტყვით ვერ გადმოსცემ...

— ნიკალას სათქმელი და ტკივილი მისი თვალებით გადმოეცით...

— ნიკალას პორტრეტი 3-ჯერ დავხატე და ყველა ნახატი ვიზუალურად სხვადასხვაა, თუმცა სათქმელი ერთი აქვთ — ტკივილი, იმედი, სიყვარული. მინდოდა, ამის სინთეზი გამეკეთებინა... სასაცილოა, მაგრამ ხან ველაპარაკები კიდეც... ჩემი ნიკალა ბედნიერია, ცოტა სევდიანი და იმედით სავსეც, და არა ლოთი (როგორც ბევრს დაუნახავს). ლოთი ასეთ დიდ ტილოებს ვერ შექმნიდა...

— ისტორიული სახეების პროტოტიპად თანამედროვე ადამიანებს ხშირად იყენებთ...

— შევხედავ ადამიანს და რა გარემოშიც წარმოვიდგენ, ისე ვხატავ. ზოგჯერ თემა მაქვს და პერსონაჟებს ვეძებ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ წარმოსახვით დახატული პერსონაჟი გამიცნია. ეს მართლაც საოცრებაა.

— ზეთით და აკრილით ხატავთ. ასევე გრაფიკულ ნამუშევრებსაც ქმნით... მაინც რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

— ზეთით უფრო კარგად გადმოვცემ ჩემს სათქმელს...

— თქვენი ნამუშევრებით წიგნები გაფორმდა — ზვიად ნავროზაშვილის ლექსების კრებული, ეკატერინე ბაზერაშვილის „წითელი დედოფალი“...

— უნიჭიერესმა ეკატერინე ბაზერაშვილმა წამაკითხა თავისი პოემა „წითელი დედოფალი“... საოცარი განცდა დამეუფლა, თითქოს თვალწინ წარმომიდგა ის ყველაფერი, რაც ამ პოემაში იყო.

დიდხანს ფიქრიც არ დამჭირვებია. პოემაში ყველაფერი ისეა აღწერილი, მცირე ფანტაზია და... თვალწინ იხატება ყველაფერი... ასევე გაფორმდა ზვიად ნავროზაშვილის მშვენიერი ლექსების კრებულიც.

— ხატვა და შთაგონება...

— შთაგონება, რასაც მუზას არქმევენ, განუყოფელი ნაწილია ხელოვანისთვის... თუ არ გტკივა და არ გაწუხებს, მექანიკურად დახატული ვერ აღგაფრთოვანებს... გულით და სულით დახატული მნახველის გულს ეხება. ნახატმა უნდა ჩაგახედოს სიტუაციაში, იქ გამყოფოს, ნახატი უნდა გესაუბრებოდეს.

— 4 პერსონალური გამოფენის ავტორი ხართ. ახლახან ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც გამოიფინა თქვენი სურათები...

— ემოციებით დატვირთული წამოვედი. გამოფენები აუცილებელია, პირისპირ რჩები დამთვალიერებელთან, რაც მათთვის მხატვრების გაცნობის საუკეთესო საშუალებაა... ნებისმიერ კრიტიკას ვიღებ და შემდგომში სასიკეთოდ, ნამუშევრის სრულყოფისათვის ვითვალისწინებ.

— ჰობი...

— ძალიან მიყვარს ბუნებაში ხეტიალი, მიყვარს სიმაღლეებზე ასვლა და ჰორიზონტის ყურება.

— სამომავლოდ?..

— უამრავი გეგმაა... რამდენად განვახორციელებ, ვნახოთ... მინდა ტექნიკა დავხვეწო და სათქმელი უკეთესად გადმოვცე.

თამარ შაიშმელაშვილი

ბიოხბი უეხთაშვილი

პოეზია კოსმიური ნათება და უფლისკენ სავალი გზაა... როცა ასპარეზზე ახალგაზრდები გამოდიან, მიხარია, რადგან ვიცი, რომ ლექსის კვალზე შემდგარი კაცი ღირსეული ქართველი იქნება, ქართული ადათ-წესების, ზნეობის, მორალის მატარებელი... ამიტომ არასოდეს არ განვიხილავ ახალგაზრდების შემოქმედებას, მით უფრო, თუ ის ჯერ კიდევ მოზარდია, კრიტიკის თვალსაზრისით, ლექსის სემანტიკური მნიშვნელობით და მთელი მისი მოზაიკით... პირიქით, მათ წახალისება და „წაქეზება“ სჭირდებათ... ასე ვუყურებ გიორგი უერთაშვილის, ამ ყმაწვილი კაცის შემოქმედებასაც... მთავარია, რომ მასში არის ის ეროვნული დვრიტა, რაც ადამიანს თავისი წინაპრებისკენ, ანუ მომავლისკენ ახედებს, რაც სიყვარულის დანიშნულებაზე და სამშობლოს სიყვარულზე მიანიშნებს...

სულაც არ გამიკვირდება, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ გიორგი უერთაშვილის სახით ქართულ პოეზიას ერთი ნიჭიერი შემოქმედი შეემატება.

ჯუბა ღებელი

მე არ ვიცი, მაგრამ...

მე არ ვიცი, მოვკვდები, თუ გადავრჩები ცოცხალი,
მაგრამ მე ერთ რამეს გეტყვი, შენ თუ გინდა
მომკალი!
მე არ ვიცი, შენ ოდესმე გეყვარები თუ არა,
მაგრამ ვიცი, რომ ამ გრძნობამ ჩემს გულს
გადაუარა.

მე არ ვიცი, თუ ოდესმე დააფასებ ლექსებს,
მაგრამ გეტყვი, ჩემი გული რომ უშენოდ ვერ
ძლებს!
მე არ ვიცი, თუ შენს გრძნობებს ოდესმე
დავიმსახურებ,
მაგრამ გეტყვი, ცხოვრებაში მხოლოდ შენთვის
ვიმსახურებ.

მე არ ვიცი, სიყვარული თუ დამინდობს ცოცხალს,
შეიძლება მიმაჯაჭვოს მან მხოლოდ ორ ბორბალს.
მე არ ვიცი, რას მეტყვიან მშვენიერი თვალები,
მაგრამ ვიცი, სიყვარულმა მე დამადო ვალები.

მე არ ვიცი, როდის მოვა საცოდავი სიკვდილი,
მაგრამ მუდამ, გამუდმებით ამ სიყვარულს მივტირი.
მე არ ვიცი, თუ ოდესმე შემომხედავ გრძნობებით,
მაგრამ სულ შენ მეყვარები, სიყვარულით მოვკვდები.

მე არ ვიცი, მოვკვდები თუ გადავრჩები ცოცხალი,
მაგრამ მე ერთ რამეს გეტყვი, შენ თუ გინდა,
მომკალი!
მე არ ვიცი, შენ ოდესმე გეყვარები თუ არა,
მაგრამ ვიცი, რომ ამ გრძნობამ ჩემს გულს
გადაუარა.

მე და გალაკტიონი

ღამით, როდესაც ყველამ დამტოვა,
გალაკტიონი დადგა ჩემ გვერდით.
იმ ღამით იყო წვიმა და თოვა
და მე ვტკბებოდი ბახით და ვერდით!

გალაკტიონი ერთადერთია,
ვინც გამიგებდა ახლა მალულად...
ის პოეზიის ერთი ღმერთია,
ვინც ამ ტკივილებს ხედავს ფარულად!

იმედი მაქვს, მას შევხვდები ამ ცხოვრების შემდეგ,
მასთან ვიცი გამოვტყდები, რადგან ჩუმად ვერ
ვძლებ!
გალაკტიონს რომ ენახა ახლა ჩემი ლექსები,
გულში სიცილს წარმოთქვამდა, მე აქ არ მაქვს
ეჭვები.

„შენ ზღვის პირად მიდიოდი მერი“,
მე ამ ლექსით განუწყვეტლივ ვმღერი.
„სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი“,
გულში ჩამოწოლილი არს ბანი.

„სიყვარულის ბალადა“ არის ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ერთი არ ვიცი, მოხდება საოცრება?!
ჩემი დევიზი არს ერთი: „შენ მიყვარხარ მუდამ“,
მე ტკივილი მომაყენა შენმა თოვლის გუნდამ!

ღამით, როდესაც ყველამ დამტოვა,
გალაკტიონი დადგა ჩემ გვერდით.
იმ ღამით იყო წვიმა და თოვა
და მე ვტკბებოდი ბახით და ვერდით!

პოეზია

თენგო ავსაჯანიშვილი



სონეტები კონკიას

სონეტი – 1

ვიცი კონკიავ, შენი ღირსი არ მაბადია
არც მეფის კვერთხი, არც გვირგვინი და არც
ვერსალი,
ჩემი ლექსები ფეხშიშველნი, დღეს რომ დადიან,
მეფურ საუნჯეს ატარებენ გულით, ღმერთმანი.
მეც ჩემს სიყვარულს ვმოსავ ქართულ სიტყვის
სამოსით,
შენთან ვაგზავნი, გემსახუროს, შენთვის იზრუნებს,
გზებით დამაშვრალს, ამა ქვეყნის მტვერში
ამოსვრილს
ნუ გაუწყრები, გევედრები, ნუ შეიძულებ!
ციური ცეცხლით გაახურე, თვალთა აბანო,
(ვწუხვარ, ეგ თვალნი, ამ ნაწერთა კითხვით
დავღალე)
შენ შეიწყალე სიყვარული ჩემი საბრალო,
თუ რამ ბიწი აქვს, საკუთარი ცრემლით გაბანე!
ჩემი კონკიავ, ამის ღირსი იქნებ არცა ვარ,
მაგრამ განგებამ შენი ტრფობის ღირსად ჩამთვალა.

* * *

ლამაზი მინდა სიკვდილიც,
ისეთი, რომ არ შემარცხვენს,
სადა ხარ, ჩემო სიკვდილო,
ცოცხალი თოლით მენახე!
თუ მეტად მომეწონები,
ვინ გკადროს სიტყვა ძაგების,
ემ დასათხრელის თოლებით
დაგკვლევ და... გამიხარდები!

* * *

აქ ისევ ეკლის გვირგვინებს წნავენ
და აქვე წნავენ გვირგვინებს დაფნის,
უნიჭოებას დაფნითა რთავენ,
ნიჭიერებას – ეკლით და ქაცვით...

* * *

ღრუბელო, ამ ჩემს ქროლვზე,
უნდა იდინო, იარო,
ხან გზამკვლევად წინ გამიძღვე,
ხან გულზე გადამიარო.
მე ის ქარი ვარ,რო გრგვინავს,
ტკივილი არ დამიამო!

* * *

თავს კითხვებს ვუსვან ხშირად ასეთს –
საიდან, ვინ ვარ?
ანდა: საიდან იბადება უეცრად ლექსი?
შევაღებ სიტყვის კარებსა და...
ვგრძნობ, უკვე შინ ვარ,
დალოცვილ სიტყვის კარებიდან
შევდივარ ღმერთში....

* * *

დავრჩი უცნობი პოეტი,
ვით უპატრონო საფლავი,
აქ მხოლოდ ზეცა დამტირის
და ქარი მმარხავს ხარხარით.
არც გათენება მიხარის,
არც ეს უთოვლო ზამთარი,
მზის სხივებმაც არ აკენკეს
ჩემ ცრემლთა მწარე მარცვალი,
ვეღარც სამშობლო ვიცანი,
ჩამოდგა ეს რა ჟამ-ხანი,
მთებო, თქვენ მაინც მითხარით
რაიმე გულგასახარი!
აქ მხოლოდ წვიმა დამტირის
და ქარი მმარხავს ხარხარით,
დავრჩი უცნობი პოეტი,
ვით უპატრონო საფლავი.

* * *

ნუ მოუძებნი ჩემს ლექსებს,
არ მოედება სადავე,
ხმალ დამკარ სიყვარულისა,
უთქმელ ლექსებად დამღვარე!
ნუ შეშფოთდები, თერგივით
კალაპოტით თუ გადავე.

* * *

ნიავს ნეტა რა ეწყინა,
დღეს აღარ მომიალერსა?
უმძრახად ჩამომიარა,
გაფრინდა უცხო მხარესა.
სასიყვარულოდ არ მიმტვრევს
აღარვინ გულის კარებსა,
მაშვრელი მხოლოდ ვუნდივარ
შავფერ ყორნებს და ყვავებსა;
მე ახლა მკვდართა მზეს ვგავარ,
ცხრობაში წასულ მთვარესა,
სიკვდილი ვერაფერს მავნებს,
შენი სურვილი დამლევსა.
ნიავსაც რაი ეწყინა,
დღეს აღარ მომიალერსა?
სიყვარულის ღმერთს ვენაცვლე:
მაინც სალექსოდ ამლესა.

ეპიტაფია

ერთი დრო არვის შერჩება,
იცოდეს ადამიანმა!
მანდ ბალახს გადავუარე,
აქ – ბალახმ გადამიარა.

* * *

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ...
ამ მინდვრის ყვავილისა ვარ,
მეც მისი ბუნებისა ვარ,
მეც მისი გუნებისა ვარ,
მეც მისი გენებისა ვარ...
ვაჟაის სულსა ვფიცავარ!

* * *

ის ცეცხლი უნდა დავხარჯო,
რაც ქვეყნად დასახარჯია,
ხანჯლითაც უნდა დავხანჯლო,
ვინც მართლა დასახანჯლია.
ჩემ სულთან უნდა ჩაგაწნა,
ჩემს მიწას უნდა გაგრია,
ნუ შიშობ, მთლად კი არ დაგწვავ!
ასეთ ცოდვაშიც მადლია...

* * *

დღე მიილია, შუქი მოკლდების,
და იზრდებიან აჩრდილ ლანდები.
საქართველოსთვის თუკი მოვკვდებით,
იქვე ხელახლა დავიბადებით.
სიყვარულის და რწმენის მოკრებით,
ამ ქვეყნიურზე სული მაღლდების.
ქრისტე ღმერთისთვის თუკი მოვკვდებით,
განვიღრმთობით და გავუკვდავდებით.

* * *

ქალავ, ეგ შენი თეთრი ყვავილი,
ჩემი თვალებით მოფუტკრებულა...
სურნელიცა გაქვს, სიტკბოც, მარილიც,
გულიც ხომ ჯერ არ მოხუცებულა.
მა გულის ხშირი ძგერა ნუ გიკვირს,
ჩანს შენი სისხლიც ამღერებულა
თავდავიწყების მძაფრი მუსიკით...
და გულიც ჯერ არ დაბერებულა.
საშველს ვერ ვპოვებ უსაშველობით,
უბედო ბედი ახლავს ხელოვანს,
შუქივით ამ ჩემს თვალში შემოდი,
სისხლივით მეც შენს გულში შემოვალ.
როგორც ცვრიანი მინდვრის ყვავილი,
კოცნა გულ მკერდზე უნდ დაგაყარო,
შეგიტკბო მარტო ქალი კი არა,
შენით შევიგრძნო მთელი სამყარო.

ისევ ციკლიდან – „ლექსები კონკიას“

არა, კონკიავ, არ გეგონო „მწყემსი ქაცვია“,
რაკი არ მიდგას სრა-სასახლე ახლა მდიდრული,
რაკი ღარიბთა სამოსელი ახლა მაცვია,
მე დიდ პოეტთა გვარისა ვარ, ვარ უფლისწული.
რომ დავიბადე, მე აკვანი ქარმა მირწია
და მერე ბავშვი პოეტების ცრემლში მომნათლეს,
თუმცა სამეფოს მიტოვება მეც მომიწია,
დრო – მეფეთმეფე ჩემს საუფლოს კლიტეთ
მომართმევს.
ჩემს სამეფოში უამრავი ღრუბლის ვერძია,
ჩემს საუფლოში ყვავილები ხარობს მრავალი,
ეს ცხრათვალა მზე სამეუფოს ჩემის ღერბია,
და ქარი არის სამეუფოს ჩემის ალამი.
სად პოეზიის არნახული ციხე-კოშკია,
ჩემი მუზები სადედოფლოდ მოგრთავ-შეგმოსვენ,
როცა სამეფოს დავიმკვიდრებ, მერე, კონკიავ,
ჩემს საბრძანისში მხოლოდ შენ ერთს
გაგადედოფლებ.
არა, კონკიავ, მე არა ვარ მწყემსი ქაცვია,
თუმცა დღეს მფარავს ეს პატარა ქოხი – მიწური,
თუმცა ღარიბთა სამოსელი ახლა მაცვია,
მეფე პოეტთა გვარისა ვარ, ვარ უფლისწული...

თამარ შაიშმელაშვილი

სიღნაღი

ეს ქალაქი შენი თბილი ორღანია
და სიყვარულს გვირილებად გზავნის...
კარიბჭესთან გაზაფხულიც ორგვარია,
მზის და მთვარის უსამანო მგზავრი...

ეს ქალაქი უფლის თბილი პერანგია,
შინდის რტოზე მოწკრიალე ზარით...
მონატრებაც ისევ ისე ფერადია,
შეუცნობი ბილიკებით მგზავნის...

განთიადო, ნისლის ზღვაზე შემომხვდები,
გულის გულში აყვავდება სევდა...
სამანს იქით მარტოობის ქარებს ვხვდები,
მე აქ მინდა – ღრუბლებში და შენთან...

ეს ქალაქი ზეციური ფერმადლია,
გიშლი სიზმრებს – საორღანო მესას...
გვირილებში ფეხშიშველა ვთვლემ ადრიან –
სიყვარული გამომექცა შენთან...

* * *

კახეთიდან – თბილისის გზაზე

მზე ჩადიოდა...
ფერებნათელი
და ჩამავალი ათინათებით
საღამოური სილამაზით
მამის ცრემლს ჰგავდა...
მოხუცებულის...

მეხილვებოდა
მზის მამაჩემი,
თვალისჩინის
უხსოვარ სიზმრით...
და კომშის ფოთლებს აუხსნელი
მუსიკა სდევდათ...

* * *

ჩემი სიზმარი ორი მთვარეა,
თბილშემოდგომის მზე და საათი...
დარდი ფოთლებით მომთაბარეა,
შენ გამოგიხმობ აქ მასლაათით...
ფოთოლცვენაში დრო გაჩერდება,
თვალის ჩეროში აპრილებს ვმალავ,
და ჯერგაუშლელ ვარდის ჩვენებას,
შორს მორიჟრაჟე ირეკლავს ბანა...
შორს მირაჟი და მონატრებაა,
იქ, ნანგრევებში მღერის ოპიზა,
და გაზაფხულებს ცის ნამტვრევებად
ფოთლების ქიმზე შენთვის მოვზიდავ...
და ნატვრისთვალებს ელვის ღელვებით
მოამდინარებს ქარი გიჟმაჟი...
იმ მარადისში ვერ შეგელევი,
ამ მარადისშიც მრჩები სიზმარში...
და როგორც ნისლში მათრობს ყინწვისი,
მინდა, რომ სევდას მთვარე ავუნთო...
ხელისგულიდან დილის ნამს გიწვდი...
გიორგობის სხივს შენთვის გზას ვუთმობ...

* * *

ფერარეული თებერვალი ვარ სამანმჩენი,
ვაზის ცრემლობას ავიდევნებ, რა გზანაჩვევი
პეპლის საჭერით შემომხვდება აქ განაჩენი...
მხრებაწურული ამინდივით
წვიმს მამაჩემი...

* * *

ჩემს მარტოობას მარტოსულად ვერა ვტოვებდი,
სევდის გემოთი ალაზნის მზეს ვეგვარტომები...
არ გადამიჭრა სადედოფლო შინდის რტოები,
ვარ თებერვალი – გაზაფხულის გემატოგენი...

გაზაფხული

შემოდის მარტი მარტოს იერით,
მამის ხმა ვაზებს გულზე ევლება...
ისე თბილია დასალიერი,
ვით დაბინდული ხირსის მშვენება...
ვით სილამაზე სევდამოვლილი
ცვრიან ნისლებში რთავს სატირიფოს...
და დედის ხელი – ცრემლგამოვლილი
ჰგავს მჭადის გულზე ჯვარს
ამოტვიფრულს...





ზაზა ჩუბინიძის ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

თამარ გაბრიშვილი, როზა ინანიშვილი, ნინო ჯამურაშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22

ანგარიშის ნომერია: GE81BG 0000000 306158900

***

„ჩვენი სოლი გაკვეთის შივრ კუბილეთით აჭიანებული ხუხულას აგაკს. ყველა, ვინც კი გაზოლება, თითო კუბილს მაინც ალვეს ზედ, აღდა პირიქით, ვისაკენ. და ვი, რომ აე ალაპილანთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ორი სლით, ეგით, ეთელი კალთით იზაცებენ ივას, რასაც თითო-თითოდ ლებლნენ სანები“...

***

„ლეს, 9 აგვისტოს, ღილის ჯილ საათზე, აჭლეი და ვიზრალენი, რომ ჩვენ ირგვლივ შემოლომის აკერი ილბა. გაგვაგებინეთ შემოვიხილ ნარის სარეილა (ეე ხოე შემოლოვასა და ზაეთარი ენერ ჟირითალდ, გაგრაე ნარილენ საქვეგში განლარეულა ეს ლეს ლეკა“.

ანეული — ვიზაფხულის ხნული